

იური სიხარულიძე

ჭანეთი (ლაზეთი)

საისტორიო გეოგრაფიის მასალები
გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
ბათუმი 1979

წინათქმა

ჭანეთის ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა 50-იან წლებში დავიწყეთ ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორიდან. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც დღეს საქართველოს ფარგლებშია და მოიცავს როგორც ისტორიული, ისე ეთნოგრაფიული ჭანეთის ნაწილს. 60-იან წლებში ჩატარებული აღწერის შედეგები 1977 წელს გამოქვეყნდა. აღწერა ეთნოგრაფიული ჭანეთის მიწა-წყალი სოფელ კვარიათიდან (ხელვაჩაურის რ-ნი) ესქი-ტრაპიზონამდე (ახლა ხამიდიე, რიზეს ვილაეთი). შემდგომ კვლევა ერთხანს (სოფ. ქემერამდე და სოფ. ვენეჟამდე) ისევ ეთნოგრაფიული ჭანეთის ფარგლებში მიმდინარეობდა, ხოლო შემდეგ კვლავ ისტორიულ ჭანეთში გადავიდა და ასე გაგრძელდა მდ. კალაშამდე (კალაპოტამოს-დერე). ეს ტერიტორია ამჟამად სხვადასხვა ერისა და ტომის ნარევ მოსახლეობას უჭირავს. მათ შორის უმთავრესნი არიან თურქები და ბერძნები. ბერძნული ელემენტი ამ მხარეში და, საერთოდ, მთელ ჭანეთში ახალი მოვლენა როდია. მათივე შენამოქმედია საგეოგრაფიო სახელები ათინა, თეოდორია და სხვა. განსაკუთრებით კომპაქტურად სხდებიან ბერძნები რიზეს მხარეში გვიან შუა საუკუნეებში. ამავე დროს მკვიდრდებიან იქ თურქებიც. ამ გარემოებას არ შეიძლება თავისი კვალი ტოპონიმიაშიც არ აღებეჭდა და თურქული, ბერძნული თუ სხვა ტოპონიმებიც თანდათან მომრავლდნენ. ბევრი მათგანი ადგილობრივ სახელწოდებათა თარგმნის გზით წარმოიქმნა.

ის ნაკლი, რაც ამ მხარის საგეოგრაფიო სახელების შესწავლას ახასიათებდა, ჯერ კიდევ ნ. მარმა შენიშნა. ჭანეთს გამგზავრების წინ. როგორც ჩანს, იგი დიდ იმედებს ამყარებდა ხუთვერსიან რუკაზე, მაგრამ ადგილზე მუშაობამ მეცნიერი მის სრულ უხეირობაში დაარწმუნა. პუნქტებიც სანახევროდ არ იყო აღნიშნული და, რაც იყო, მეტწილად, მცდარად. ეტყობა, ამანაც უბიძგა მას საგეოგრაფიო სახელთა მეტი გულმოდგინებით შეკრებისაკენ.

ნ. მარმა და, შემდეგ, ი. ყიფშიძემაც ენერგიული მუშაობა გასწიეს ხარვეზის შესავსებად, მაგრამ ისინი აქ მაინც ძირითადად მასალების თავმოყრით იყვნენ დაკავებულნი და მათი მეცნიერული ურთიერთშეჯერება და შესწავლა არ უცდიათ. ასე დარჩა საქართველოს ხელახალი ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერის დაწყებამდე.

ჩვენი აღწერა ძირითადად ნარატიულ წყაროებს (ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური, ქართული, სომხური, თურქული და სხვა) ემყარება. გავითვალისწინეთ რუკებიც (ხუთვერსიანი, ხუთკილომეტრიანი და სხვა), ბევრი საინტერესო მასალა შეგვკრიბეთ ხალხშიც და ა. შ.

ყოველივე ამან საკმაოდ საიმედო ბაზა შეგვიქმნა მხარის მეცნიერული ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის.

ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა შესაფერ კარტოგრაფიულ მუშაობასაც მოითხოვს, მაგრამ ვიდრე ძიება გრძელდება, ისტორიული რუკების დაბეჭდვა მოუხერხებელია. ამასთანავე, რადგანაც მასალების ნაწილი უკვე გამოიცა, აღწერილი მხარის ჩვეულებრივი რუკის საჭიროება მაინც აშკარაა. მართალია, ასეთი სამუშაოც დიდ სიძნელეებს აწყდება, მაგრამ ცდა აუცილებელი იყო. რუკაზე ასახულია ძიების ზოგიერთი ასპექტი, კერძოდ, მაკროტოპონიმიური მასალა და ისიც ნაწილობრივ, რადგან რუკის სრული დატვირთვა ამ მხრივ ჯერ კიდევ სერიოზულ კვლევას საჭიროებს. რუკაზე არც ისტორიული ძეგლებია დატანილი, არც ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულთა მიჯნები. ყველაფერი ეს ისტორიულ რუკებზე იქნება გათვალისწინებული, რომელთა შედგენაც მხარის აღწერის დასრულებისა და მოპოვებული მასალის მეცნიერული დამუშავების შემდეგ გახდება შესაძლებელი. (რუკა კარტოგრაფიულად დაამუშავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ელენე ზაუტაშვილმა.

#5#

აღწერა

საპური

ათინის უბნის რუსულ სიაში 35-ეა „ლამლო-პაპათსა“ (34) და „პაპილათს“ (36) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან მოგზ. გვ. 170), ქართულ სიაში არ იხსენიება. ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია ბულეფისწყლის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

რუსულ სიაში „საპო“, ხოლო გვერდით ქართულად უწერია „საპუ“ (იქვე, გვ. 170), ხუთვერსიან რუკაზეა „საპურ“.

პაპილათი

ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში 35-ეა „წანო („სანო“-სა (34) და „მამაკილათს“ (36) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ). გვ. 158), რუსულში – 36-ე „საპო (საპუ) -სა“ (35) და „მამაკილათს“ შორის (იქვე, გვ. 170). ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია „საპურის“ სამხრეთით. ქართულ და რუსულ სიებშია „პაპილათი“, რუკაზე – „ბაბილათი“. ასეთი საგეოგრაფიო სახელი არქაბეს უბანშიც არის (ჩვენი, ჭანეთი, I, გვ. 76). გვხვდება „პაპათი“-ც (იქვე, გვ. 44, 77).

ჩაქეთ-ორა

პაპილათის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ჩაქეტ-ორა“.

აბლას-დალი – მთა ჩაქეთ-ორას აღმოსავლეთით. კომპოზიტის მეორე სიტყვა თურქულია – „მთას“ ნიშნავს, პირველი კი ფონეტიკურად თუმცა თურქულივე „აბლას“-ს („უფროსი და“, საერთოდ, „ასაკოვანი ქალი“) ჰგავს, მაგრამ რამდენად სწორი იქნება მისი

ამგვარი გაგება, ძნელი სათქმელია, რადგან ვინ იცის ამ ძველი თუბალ-კაინური ქვეყნის რომელი სახელწოდება აისახა მასში.

სანო

ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში 34-ეა „ლანგოსა“ (33) და „პაპილათს“ (35) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158).

ხუთვერსიან რუკაზე აბლას-დაღის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა აღნიშნული, ბუიუკ-დერეს მარცხენა სანაპიროზე.

ქართულ სიაშია „წანო“ და გვერდით უწერია „სანო“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), ხუთვერსიან რუკაზეა – „ჩანუ“.

#6#

ამავე სახელწოდებისაა ერთი იაილიც (ჩვენი, ჭანეთი, I, გვ. 113).

ამ საგეოგრაფიო სახელის ფუძის ფონეტიკური მასალა ანალოგიურია სატომო სახელ „სან“-ისა. ასევე ითქმის ვარიანტულ „წანო“-ზეც (შდრ. ეთნონიმი „წან“).

სანოდან ყოფილა აღმოსავლეთ გურიაში განთქმული ხურო ალექსანდრე ქართველი – ბატონო ალექსანდრე, მოგვითხრეთ რაიმე თქვენს სოფელზე, ჭანეთზე, – თხოვდნენ შესვენების დროს ალექსანდრე ქართველს და ისიც ხალისით იწყებდა თავისი საინტერესო თავგადასავლის თხრობას. ვინ უწყის, მერამდენეჯერ ჰყვებოდა იგი ამ გრძელ ამბავს, მაგრამ არასოდეს ბეზრდებოდათ მისი მოსმენა. – ჩემი მშობლიური სოფელი სანო აქედან ძალიან შორსაა, ერთი კვირა მაინც უნდა იაროს კაცმა ფეხით, იქამდე რომ მიაღწიოს. მშვენიერი სოფელია, აქაური სოფლების მსგავსი. კარგა ხანია იქედან წამოვედი, მაგრამ იქაურობას რა დამავიწყებს. ჩემი მუსლიმური სახელი „ალი“ იყო, გვარი – გილიში, თურქები გელოდლებს გვეძახოდნენ. ჩვენი ხალხი ბევრი მოდის აქეთ სამუშაოდ. რა ქნას, კაცს ცხოვრება უნდა. ჩვენში ძლიერ ბევრია ხურო, ამიტომ იქ ოსტატს ფასი არა აქვს. მეც ამიტომ წამოვედი. ერთხანს ოზურგეთს ვიმუშავე. ძალიან შემეყვარეს. თავადმა მაქსიმელიშვილმა მომნათლა კიდევ. აბა, რავა გგონიათ, უბრალო ვინმე არ გეგონოთ, დიდი თავადია ჩემი ნათლია. ნათლობისას ალი ალექსანდრედ შემეცვალეს, გილიში კი – მგელაძედ. ერთმა ციხელმა ზემო გურიაში წამომიყვანა. მის სახლს რომ ვაშენებდი, მეზობლის ქალი მომეწონა და დავეორწინდი. ახლა ციხის (ბუკისციხე – ი. ს.) მკვიდრი ვარ, მყავს ერთი ვაჟი და ორი ბადიში. ბიჭს ჩემი სახელი ჰქვია. ძალიან მკვირცხლია. ვინ იცის, ეგებ კაი კაცი დადგეს“.

ალექსანდრე ქართველის ნაამბობი ჩავიწერეთ სიმონ ბესარიონის ძე სიხარულიძისაგან (დაბ. 1863) სოფ. გოგოლეისუბანში (ჩოხატაურის რ-ნი) 1951 წლის 15 აგვისტოს. ისიც ხურო იყო და ალექსანდრესთან ერთად ხშირად უმუშავნია. ძალიან უქებდა ოსტატობას.

ჭან ოსტატებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დიდი ტრადიცია უჩანთ. განსაკუთრებული ინტენსივობა შეიმჩნევა აქ XIX საუკუნიდან და ასე გრძელდება რევოლუციამდე. ამ ოსტატთა სახელები ხალხის ხსოვნასთან ერთად შემოუნახავთ იმ საადმშენებლო წარწერებსაც, რომლებიც მათ ნახელავ სახლებსა და სხვა ნაგებობებზეა ამოკვეთილი.

სოფელ ხანში (მაიაკოვსკის რ-ნი) ერთ მშვენიერ სახლს აწერია: „ბათომის გუბერნიის არჰავე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ ეფენდი (გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, X, თბილისი, 1941, გვ. 305).

წარწერას თარიღი არ უზის, მაგრამ შინაარსით შეიძლება მისი ამოკვეთის დროის განსაზღვრა. „არჰავეს“ რუსული ადმინისტრაციული ერთეული პირველი მსოფლიო ომის დროს შეიქმნა (დ. კობახიძე, დარბეული ჭანეთი, გაზ. „სახალხო ფურცელი“, 19. 1. 1917, გვ. 3) და რამდენიმე წელს არსებობდა. ომერ ეფენდისთან ერთად უმუშავნიათ მის ძმებს – აჰმედსა და მუსტაფასაც. ამ ოსტატთაგან მრავალ იმერელს შეუსწავლია ხურობა.

და მხოლოდ ხანის ხეობა როდი იყო აქ გამონაკლისი. ჭანი „უსტები“ დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყვნენ.

ბევრი მათგანი ქვით ხუროც ყოფილა და ნაქები, როგორც ხის ოსტატები. ამას მოწმობს თუნდაც კულაშის ჯვარცმის ეკლესიის გალავანი, რომელიც 1891 წელს აუგია ივანე #7#

დივასოღლის. წარწერაში ოსტატის არც ტომობრივი ვინაობაა მითითებული და არც სადაურობა, მაგრამ კულაშს დღესაც აქა-იქ არიან შემორჩენილნი, რომელთაც კარგად ახსოვთ ივანე ქართველის (ასე უწოდებდნენ მას ქრისტიანობაზე დაბრუნების შემდეგ) ჭანური წარმოშობა (ჩვენი, ვაკე-იმერეთის საისტორიო გეოგრაფიის საკითხები, I, სამიქელაძე, მოხსენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საისტორიო განყოფილების სხდომას 1976 წლის 7 დეკემბერს).

როგორც ხის, ისე ქვის ოსტატები თუ სხვა ხელობის (ვაჭრები, მეთამბაქოეები) ჭანები განსაკუთრებით ბლომად იყვნენ დასავლეთ საქართველოში პირველი მსოფლიო ომის წინ. ერთი იმდროინდელი ავტორი მათ რიცხვს ჭანეთის მთელი მოსახლეობის 75%-ით საზღვრავს (დ. კობახიძე, დასახ. სტატია, გვ. 3).

მაკალისკერდი

სანოს დასავლეთით. ათინის უბნის სოფელთა ნუსხაში არ იხსენიება. აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე.

ხან-დალი

ხან-დალი – მთა მაკალისკერდის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ხან (სპ.) „ფუნდუკი“, დაღ (თურქ.) „მთა“.

კომინუ

ხან-დალის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

დადივათი

ნ. მარის სიაში 33-ეა „ჯიგეთურასა“ (32) და „მამაკივას“ (34) შორის (მოგზ. გვ. 610). ათინის უბნის ქართულ სიაში კი 37-ეა „პაპილათს“ (36) და „სუკითას“ (38) შუა (ი. ყიფშიძე,

ჭან. მოგზ. გვ. 158). რუსულში – 38-ე „მამაკვივათსა“ (37) და „ცუკიტას“ (39) შუა (იქვე, გვ. 170). ნ. მარი იმ ზონაში მიუთითებს, სადაც „მამაკვივათია“ (მოგზ. გვ. 610). ხუთვერსიან რუკაზე კომინუს დასავლეთითაა აღნიშნული. ნ. მარს „დადევათი“ უწერია (მოგზ. გვ. 610) ქართულ სიაში – „დავიდათი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში – „დადივათი“ (იქვე, გვ. 170). რუკაზეა „დადივათი“.

ვიჯე-თუდენი

დადივათის აღმოსავლეთით, ბეიუკ-დერეს მარცხენა სანაპიროზე. ხუთვერსიან რუკაზეა „ვიჯე-სუფლა“ (სუფლა (არაბ.) „ქვემო“). ჩვენმა ინფორმატორებმა „ვიჯე-თუდენის“ (თუდენი (ჭან.) „ქვემო“) ფორმით დაგვისახელეს.

ვიჯე-ჟილენი

ვიჯე-თუდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით, იმავე მდინარის იმავე მხარეზე. ხუთვერსიან რუკაზეა „ვიჯე-ულია“ (ულია (არაბ.) „ზემო“). ვიჯე-ჟილენი (ჭან.) „ზემო ვიჯე“.

#8#

ლამლო

ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში 33-ეა „ხოტრსა“ (32) და „წანოს“ (34) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში – 34-ე „ხოტრსა“ (33) და „საპოს“ (35) შორის (იქვე, გვ. 170).

ქართულ სიაში მხოლოდ „ლანგო“ არის (იქვე, გვ. 158), რუსულში კი – „ლამგო პაპატ“ (იქვე, გვ. 170). ნ. მარის სიაში მხოლოდ „პაპათია“ (29; მოგზ. გვ. 610). აქვე მითითებულია მისი ადგილმდებარეობაც ათინიდან ზემოთ, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე (იქვე). ხუთვერსიან რუკაზე ამ ზონაში ყურადღებას იქცევს „ლამხუ“ (ვიჯე-სუფლას დასავლეთით). რუსულ სიაში „ლამგოს“ გვერდით ქართულად უწერია „ლამლო“. უფრო სწორიც თითქმის ეს უნდა იყოს.

აჯაბა

ლამლოს აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკას გარდა, დადასტურებულია მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფელთა რუსულ სიაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 171). სინამდვილეში ეს სოფელთა მდ. ბეიუქ-დერეს დასავლეთითაა (ბულეფის ხეობიდან მიმავალ გზაზე). ხუთვერსიან რუკაზეა „ადჟაბა“, რუსულ სიაში – „აჩაბა“.

მელმენათი

აჯაბას სამხრეთ-აღმოსავლეთით. ფურტუნას სათავეების სოფელთა ნუსხაში 32-ეა „აჩაბასა“ (31) და „მელესკურს“ (33) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 171). სოფელთა სიაშია „მელმანაში“ და გვერდით უწერია „მელმენათი“ (იქვე). ხუთვერსიან რუკაზეა „მალმინათი“.

მელესკურ-წარი – ათინაწარის მარჯვენა შენაკადი. სახელწოდება წარმოდგება ხეობის ერთ-ერთი სოფლის („მელესკურის“) სახელისაგან.

მელესკური

ათინის კაზის ნ. მარისეულ აღწერილობაში 29-ეა პაპათის შემდეგ (მოგზ. გვ. 610). მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფელთა სიაში 33-ეა „მელმენაშა“ (32) და „ჩინგითს“ (34) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 174).

ნ. მარი მელესკურს ამავე სახელის მდინარის მარცხენა სანაპიროზე მიუთითებს (მოგზ. გვ. 556), ხუთვერსიან რუკაზე მდინარის მარჯვენა მხარეზეა აღნიშნული. ნ. მარი „მელესკური“-ს ფორმით წერს (მოგზ. გვ. 556, 610), ასევეა ი. ყიფშიძის მასალებშიც (ჭან. მოგზ. გვ. 171), რუკაზეა „მანასკორი“.

#9#

დანგრე

ათინა-კაშკარის გზაზეა, ჩინგითამდე (გ. ყაზბეგი, სამი თვე... გვ. 128).

ჩინგითი

ათინა-ბულეფის წყალგამყოფ ქედზეა, დანგრეს შემდეგ (გ. ყაზბეგი, სამი თვე... გვ. 128). მდ. ფურტუნას ზემო წელის სოფელთა სიაში 34-ეა „მელესკურსა“ (33) და „ტენზინას“ (35) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 171).

ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია „მანასკორის“ აღმოსავლეთით. გ. ყაზბეგი და ი. ყიფშიძე „ჩინგითი“-ს ფორმით იხსენიებენ, რუკაზეა „ჩასკიტ“.

ჯიხა

ასე იწოდება ადგილობრივ ძველი ციხის ნანგრევები სოფელ ბაშქოის თავზე. ის ინახულა და აღწერა ნ. მარმა ჭანეთში მოგზაურობისას. ციხემდე ბილიკებით მიისვლება, ნანგრევებზე მცენარეულობა წამოზრდილა. ნ. მარის გამყოლმა ჭანმა ბიჭუნებმა ციხის სახელი არ იცოდნენ, ისინი მას მხოლოდ „ჯიხა“-ს ეძახდნენ (ნ. მარი, მოგზ. გვ. 558). ციხე ნაგებია თლილი ქვით, უხეში წყობით. შემონახულა კარები. შიგნით რაღაც ნაგებობის ნაშთია. ადგილობრივთა ცნობით, თითქოს აბანო უნდა იყოს. ამას გარდა, ნ. მარი იქ სხვა ნაგებობის კვალსაც წააწყდა. რომელზეც დიდრონი ხეები ამოზრდილიყო (იქვე).

ციხის ასაკს ნ. მარი არ ეხება, ჩვენ კი საკმარისი მასალა საამისოდ ჯერჯერობით არ გავვაჩნია.

ნ. მარი არც ციხის დანიშნულებაზე ამბობს რასმე. ჩვენი დაკვირვებით, ეს ციხე მელესკურის ხეობაში ისპირიდან მომავალ გზაზე ამყარებდა კონტროლს.

ყალე

მელესკურის სათავეებშია. სახელწოდება წარმოდგება იმ „ყალე“-საგან („ციხე“), რომელიც ამ სოფელში მდებარეობს. ასე ეძახიან მას ხემშინები, ხოლო ჭანები „ყალე“-საც (არაბ.-თურქ. კალეს დიალექტური ფორმა) და „ჯიხასაც“ (ზან. „ციხე“).

ნ. მარი „კალე“-ს მხოლოდ სოფლის სახელად იცნობს, ხოლო ციხეზე არაფერს ამბობს (მოგზ. გვ. 558). ი. ყიფშიძე მხოლოდ იმის აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ სოფელში „ძველი ციხეა“ (ჭან. მოგზ. გვ. 153). უფრო კონკრეტული ჩვენებანი არ გაგვაჩნია.

რაც შეეხება ციხის ფუნქციას, ეს თითქოს ნათელია: არზუმ-ათინის გზის კონტროლი. ეს გზა XX საუკუნის დამდეგსაც ინარჩუნებდა ძველ მნიშვნელობას (ნ. მარი, მოგზ. გვ. 558).
#10#

გაბაკირი

ჩინგითის დასავლეთით.

ღულივათი – თაზილეს სამხრეთ-დასავლეთით (ხუთვერსიანი რუკა). ათინის უბნის სოფელთა რუსულ სიაში ჩამატებულია „ბულეფის“ წინ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 169, რედ. შენ. 7). ჭანური სოფელია (იქვე) ი. ყიფშიძის მასალებშია „ღულივათი“ (ჭან. მოგზ. გვ. 169, რედ. შენ., 7), რუკაზეა „გოლივატ“.

თაგინა-თაფასი – მთა ღულივათის აღმოსავლეთით.

კოშა

თაგინა-თაფასის აღმოსავლეთით.

ბაშლი

თაგინა-თაფასის დასავლეთით. ბაშლი (თურქ.) „თავიანი“.

ხემშინი

ბაშლის დასავლეთით. მეორე სახელი „სარდალიზენი“.

სალვა

ხემშინის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ტობანი

სალვას სამხრეთით.

ოსკუნ-დაღი – მთა სალვას სამხრეთით. ოსკუნ-დაღი „ოქროს მთა“ (?) (ოსკ (სომხ) „ოქრო“).

ტოგა

ოსკუნ-დაღის დასავლეთით (ხუთვერსიანი რუკა). გვხვდება „ტოგონისა“ და „ტოკონის“ ფორმითაც (ჩვენი ს-დ საქ. ტოპ. II, გვ. 54, 55). ა. ახვლედიანის დაკვირვებით ეს ზანური ტერმინი „ნამოსახლარს“ ნიშნავს. შდრ; ტოგონი (ხინო).

თუდენი ბულეფი

ათინის უბნის სოფელთა რუსულ სიაში 29-ეა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 169), ქართულში – 28-ე (იქვე, გვ. 158). თუდენი ბულეფი მდ. ათინის მარჯვენა მხარეზეა, პირველი ზღვიდან (ნ. მარი, მოგზ. გვ. 610). ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია ბულეფისწყლის მარცხენა მხარეზე, ზღვის სანაპიროზე.

რუსულ სიაშია „ბულეფი სუფლა“ და ქვემოთ ქართულად უწერია ჭანური შესატყვისის #11#

„თუდენი ბულეფი“ (ი. ყიფშიძე ჭან. მოგზ. გვ. 170), ქართულში – „ბულეფი სუფლა“ (იქვე, გვ. 158). თვით ი. ყიფშიძეს „ბულეფი“-ს ფორმით მოაქვს (იქვე, გვ. 154), რუკაზეა „ბოლოფსუფლა“ და ა. შ. ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ჭანურ „თუდენს“, არაბულ-თურქული „სუფლა“ (ქვემო) ამის თარგმანია.

სახელწოდება „ბულეფი“ „ბულის“ მრავლობითი ფორმაა. ბული მეგრულად „ბალს“ ნიშნავს, ხოლო ჭანურად, ნ. მარის მითითებით – „ალუბალს“ (ნ. მარი, ჭან. გრამ. გვ. 132).

იმავე ბულეფისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, თუდენი ბულეფის აღმოსავლეთით მდებარეობს ჟინი ბულეფი.

ჟინი ბულეფი

ათინის უბნის სოფელთა რუსულ სიაში 30-ეა თუდენი ბულეფსა (29) და ილასტას (31) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 169), ქართულში – 29-ე იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 158).

ქართულ სიაშია „ბულეფი ულია“ (იქვე), ასევეა რუსულშიც, ხოლო ქვემოთ ქართულად უწერია „ჟინი ბულეფი“ (გვ. 169). რუკაზე დამახინჯებული ფორმითაა: „ბულბ-ულია“.

ხოტრი

ჟინი ბულეფის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საკმაოდ შორს. ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში 32-ეა „ჯიგეთურასა“ (31) და „ლანგოს“ (33) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში 33-ეა იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 170).

სოფელთა სიებშია „ხოტრი“, ხუთვერსიან რუკაზე – ხუტრი“.

მამაკივათი

ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში 36-ეა „პაპილათსა“ (35) და „დავიდათს“ (37) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 150), რუსულში – 37-ე იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 170). ნ. მარის სიაში 34-ეა „დადევათის“ (33) შემდეგ (ნ. მარი, მოგზ. გვ. 610). ესაა მეორე ზონა ათინის აღმოსავლეთით, ზღვიდან ზემოთ (იქვე).

ქართულ სიაშია „მამაკილათ“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში – „მამაკივათი“ (იქვე, გვ. 170). ასევე უწერია ნ. მარსაც (მოგზ. გვ. 610). რუკაზეა „მემაკივათი“.

ბაშ-ქოი

მამაკივათის დასავლეთით. ნ. მარის აღწერილობაში 25-ეა „ზაჰნათის“ (24) შემდეგ #12#

(მოგზ. გვ. 610). ათინის უბნის ქართულ სიაში 27-ეა „ზახნათსა“ (26) და „ბულეფა სუფლას“ (28) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულშია 28-ე იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 169).

ნ. მარს „ბამ-კოი“ უწერია (მოგზ. გვ. 610), ი. ყიფშიძეს – „ბაშქოი“ (ჭან. მოგზ. გვ. 158) და „ბამ-კეი“ (იქვე, გვ. 169), ასევეა რუკაზეც. ნ. მარი ადრინდელ სახელსაც მიუთითებს – „პეტრე-ნიკოლა“ (მოგზ. გვ. 610).

ბაშქოი (თურქ.) – „თავსოფელი“.

ხანჭკუნი

ტალავათის სამხრეთით. ნ. მარის აღწერილობაში მეთექვსმეტეა „კითათსა“ (15) და „ნოხლან-სუს“ (17) შუა (მოგზ. გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაშია მერვე „კიტატსა“ (7) და „სულეთს“ (9) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში – მეშვიდე იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 169).

ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია მდ. ათინის მარცხენა შენაკადის მარჯვენა სანაპიროზე.

ნ. მარს „ხანჭკუნი“ დაუდასტურებია (მოგზ. გვ. 609), ი. ყიფშიძის მასალებშია „ხანჭკუნ“ (ჭან. მოგზ., გვ. 157, რუსულ სიაშია „ხანჭკუნ“ და გვერდით ქართულად უწერია „ხანჭკუნ“ (იქვე, გვ. 169). ხუთვერსიან რუკაზეა „ხანდჟკუმ“, ხუთკილომეტრიანზე – „ხამჩიკან“.

აბსო

ხანჭკუნის აღმოსავლეთით. ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში 25-ე „კუზიკასა“ (24) და „ზახნათს“ (26) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში – 26-ე იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 169), სიებშია „აბსო“, ხუთვერსიან რუკაზეა „აბსუ“.

კუზიკა

ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში 24-ეა „ტალვათსა“ (23) და „აბსოს“ (25) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში – 25-ე, იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 169). ამავე ადმინისტრაციული ერთეულის ნ. მარისეულ აღწერილობაში 21-ეა „ხუდისასა“ (20) და „ტალვათს“ (22) შორის (მოგზ. გვ. 610).

გ. ყაზბეგი ამ სოფელს ათინა-კაშკარის გზაზე ასახელებს (სამი თვე... გვ. 128), ნ. მარი მდ. ათინის მარჯვენა მხარეზე (მოგზ. გვ. 610). გ. ყაზბეგთანაა „კუზიკი“, ნ. მართან – „ხუზიკა“, ი. ყიფშიძესთან – „კუზიკა“ (ჭან. მოგზ. გვ. 158, 169).

#13#

ზაღნათი

ნ. მარის სიაში 24-ეა „ავსოსა“ (23) და „ბამ-ქოის“ (25) შუა (მოგზ. გვ. 610). ასევეა ი. ყიფშიძის მასალებშიც (ჭან. მოგზ. გვ. 158, 169).

ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია „კუზიკას“ ზემოთ, მდინარის მარცხენა მხარეზე. ნ. მარის „ზაღნათი“-ს ფორმით მოაქვს (მოგზ. გვ. 610), ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში

– „ზახნათი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში „Загнат“ და გვერდით ქართულად უწერია „ზანათი“ (იქვე, გვ. 169). რუკაზეც ისევეა, როგორც რუსულ სიაში. ი. ჯავახიშვილის საქართველოს საისტორიო რუკაზეა „ზანათი“.

სულეთი

ზანათის დასავლეთით. ნ. მარის აღწერილობაში მე-18-ეა „ნოხლან-სუს“ (17) შემდეგ (მოგზ. გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მეცხრეა „ხანჭკუნსა“ (8) და „ნოხლან-სუს“ (10) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 169). ქართულ სიაშია „სულეთი“, რუსულში – „სულეტ“, რუკაზე – „სოლტ“.

გიულშან-თაფასი – მთა სულეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „გიულშან-ტაპასი“, ხუთკილომეტრიანზე – „გიულშენ-ტეპე“. გიულშენ-თაფასი (სპ. თურქ.) – „ვარდნარის გორა“ (შდრ. ვარდციხე (იმერეთის გაღმა მხარეში), ვარდიგორა (ლექხუმში) და მისთ).

დევე-ბოინი – უღელტეხილი გიულშან-თაფასის სამხრეთ-დასავლეთით. დევე-ბოინი (თურქ.) – „აქლემის ყელი. კისერი“ (შდრ. დალი-კავან-ბოინი, ბალთამ-ბოინი და მისთ.).

ჯუნჯა

დევე-ბოინის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ჯავლა-დალი

ჯუნჯას სამხრეთ-დასავლეთით.

კარმაქსიზი

ჯავლა-დალის აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ბანმაკსიზი“.

ბოდალლი

კარმაქსიზის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ბოდალლი“, ფურტუნას ზემო წელის სოფელთა სიაში – „ბოდოლი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170).

#14#

ტონჩა-თაფასი – მთა ბოდალლის სამხრეთ-დასავლეთით.

ორთა-ქოი

ტონჩა-თაფასის აღმოსავლეთით ორთა-ქოი (თურქ.) – „შუა სოფელი“.

ბადარა

ორთა-ქოის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ბადარ“. ფურტუნის ზემო წელის სოფელთა ქართულ ნუსხაში „ბადარა“, რუსულში – „ბუდარა“ და გვერდით რუსულადვე უწერია „ბადარა“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 170).

ათინა-წარი – გამოედინება იმ მცირე ქედიდან, რომელიც პონტის მთავარი ქედის პარალელურად მიემართება (გ. ყაზბეგი, სამი თვე... გვ. 125).

ამ ხეობას მეორენაირად უწოდებენ „ზუგა დერესი“-ს ანუ „ზუგის ხეობას“ (ნ. მარი, მოგზ. გვ. 613).

ნ. მარის ინფორმატორი (ფევეზი-ბეი) ამ სახელწოდებას უკავშირებდა სოფელ „ზუგას“ (ათინის ხეობის ზემო წელში). ნ. მარი არ იზიარებდა ამ მოსაზრებას და ფიქრობდა, რომ როგორც სოფლის, ისე ხევის სახელწოდება წარმოდგება ზღვის აღმნიშვნელი ჭანური სიტყვისაგან „ზულა“. ეს ხეობა, მისი სიტყვით, სწორედ ზღვასთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი მთავარი არტერიაა არა მარტო „ზუგის“ ხემშინებისათვის, არამედ ისპირელებისა და არზრუმელებისათვისაცო (იქვე).

ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, სარწმუნო არ არის, რადგან ზღვისკენ მრავალი სხვა ხევიც მიემართება, მაგრამ არც ერთი, ამას გარდა, ასეთი სახელით არ იწოდება.

მდ. ათინას მრავალი შენაკადი აქვს. მათი სახელებიდან ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ვიცით, ასეთია, მაგალითად, ფოზონი, რომელიც ათინას დაღტომინასთან ერთვის მარცხნიდან (ნ. მარი, მოგზ. გვ. 613).

ათინა-წარის მარჯვენა სანაპიროზე ნ. მარს რამდენიმე ტოპონიმი დაუდასტურებია: ღება (პირველი ზღვიდან, შდრ. ღები – ზემო რაჭაში), კატოი (ღების ზემოთ), ჩალული-სირთი (თურქ. „მრუდე სერი“), ველინა-ორმალი (ირმალი (თურქ.) – „მდინარე“), დუდუვათი (დუდი (ზან.) – „თავი“) (ნ. მარი, მოგზ., გვ. 612).

ათინა

ფლ. არიანეს მიხედვით, ათენამ (ევქსინის პონტოში) სახელი მიიღო „ათენას ბერძნული ტაძრისაგან“, რომელიც იქ მდებარეობდა (მოგზ. გვ. 33). ამასვე იმეორებს V საუკუნის ანონიმიც (გეორგიკა, 2. გვ. 18).

#15#

პროკოპი კესარიელის ცნობით, ეს სახელწოდება თითქოს წარმოდგება ქალის სახელისაგან „ათინური“, რომელიც „წინა ხანებში ამ ქვეყნის ბატონი“ იყო და „რომლის საფლავსაც აქ ახლაც უჩვენებენ“ (იქვე, გვ. 123).

საინტერესოა რომ სომხური გეოგრაფია (VII ს.) ათინას „კოლხურ“ ქალაქთა დიდ ხუთეულში (ზიგანეონი, კოტა, როდიუპოლისი, ათინა, რიზონ) ასახელებს (ა. ერემიანი, არმენია „ამხარციტი“-ის VII ს. სომხური გეოგრაფიის მიხედვით... ერევანი, 1963, გვ. 703, სომხურ ენაზე). 1554 წლის კანუნ-ნამეთი ათინას ლივას საკაზო ცენტრია. ამ კაზაში ერთიანდებოდა 30 სოფელი 4068 მოსახლით – 3627 ქრისტიანი, 310 მუსლიმი (მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს), თბილისი, 1971, გვ. 84. შენიშვნა 148). XIX საუკუნის 70-იან წლების დამდეგს იგივე ადმინისტრაციული ერთეული 25 სოფელს ითვლიდა 2290 კომლით, მათ შორის 47 აფხაზისა იყო. მოსახლეობის საერთო რიცხვი 17 730-ს შეადგენდა. კაზის სიგრძე 20 მილი იყო და ქემერის კონცხამდე ვრცელდებოდა (ინგლისელ კონსულ ჯ. პალგრევის 1872 წლის ანგარიში, ИКОИРГО, ტ. VII, 1882, № 2, გვ. 69).

ამჟამად ათინას „ფაზარი“ (სპ. „ბაზრის“ თურქული ფორმა) ეწოდება.

კიზ-კალე – ციხე აგებული ყოფილა ათინას კონცხზე (ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით). ჯ. პალგრევი თავის 1872 წლის ანგარიშში მას „ნახევრადანგრეულად“ იხსენიებს (გვ. 68). იმავე ავტორის ცნობით, ამ ციხეს „კიზ-კალე“ რქმევია (იქვე). ეს სახელწოდება მცირეოდენი სახესხვაობით (კიზ-კულე) ათინის დასავლეთითაც გვხვდება.

ლიმანი – არიანეს ცნობით, ათინას მცირე ნავმისადგომი ჰქონია, რომელიც მხოლოდ ზაფხულში გამოიყენებოდა. ამ ნავსადგურში ხომალდებს შეეძლო თავი დაეცვათ მხოლოდ ბორეასაგან. რაც შეეხება სხვა ქარებს (აპოკტი, თრასკია), მათგან დახიზვნა ამ ნავმისადგომში შეუძლებელი იყო (არიანე, გვ. 33). ამასვე იმეორებს V საუკუნის ანონიმიც (გეორგიკა, 2, გვ. 18).

ათინის ნავსადგური რომ ქარისაგან დაცულია, ამას მიუთითებს ჯ. პალგრევიც, მაგრამ ამასთანავე ამჩნევს, რომ კარგი ნავმისადგომისათვის პირობები არ გააჩნია: ზღვის თავთხელობა და წყალქვეშა კლდეები (გვ. 68-69).

ათინის „ნოლა“ – ნოლას წარმოქმნა აქ, ისე როგორც „აფსარში“ თუ ჭანეთის სხვა ხევებში საზოგადოებრივი განვითარების შედეგია. ეს მოვლენა აქ წინაფეოდალურ ხანაშია საგულვებელი.

#16#

ბაზარი

ჯ. პალგრევის ჩვენებით, ათინის საბაზრო მოედანი ვრცელი იყო და 174 დუქანს შეიცავდა (გვ. 69). აქვე მიუთითებდა ის დაუმთავრებელ მეჩეთს, რომლის მშენებლობაც სულთან სელიმს (XVI ს.) დაუწყია.

ნ. მარის აღწერილობაში ბაზარი მე-19-ეა მდ. ათინის მარცხენა სანაპიროზე, ქალაქიდან ზემოთ (მოგზ. გვ. 610). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში პირველია (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში ამ ადგილას „ათინაა“ დასახელებული და გვერდით ქართულად უწერია „ბაზარი“ (იქვე, გვ. 168).

ნ. მარის ცნობით, „ბაზარი“ ათინას „მეჰლე“ ანუ კვარტალია (მოგზ. გვ. 610).

არაბ მუჰალლესი

ი. ყიფშიძე, ამის გარდა, ამ პუნქტის მეორე სახელსაც – „არაბოლლი (არაბები)“ იხსენიებს (ჭან. მოგზ. გვ. 164). ეს ადგილი ათინის „უბანი“ (resp. აგარა) უნდა იყოს. სახელწოდების გარდა (არაბმუჰალლესი), ამას მისი მდებარეობაც („ათინიდან 10 წუთის სავალი“) მოწმობს (იქვე). სახელწოდება უკავშირდება „არაბოლლის“ (არაბის შვილს), რომელიც ამ უბნის მკვიდრი ყოფილა. „მუჰალლესი“ არაბული „მეჰელეს“ („უბანი“) დამახინჯებული ფორმაა.

ნოლაშ-დიხა

ნ. მარის აღწერილობაში მე-19-ბ-ეა „ბაზარი“-ს შემდეგ (მოგზ. გვ. 610). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მეორეა „ბაზარსა“ (I) და „შილერითს“ (3) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157). ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 168).

ნოლა-დიხა ერთ ვერსზეა ათინიდან (იქვე, გვ. 164).

ნ. მარს „ნოლა-დიხა“ უწერია (მოგზ. გვ. 610). ასევეა ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულშია „ნოადიხა“, რომელიც იქვე ქართულად „ნოლადიხად“ არის შესწორებული (იქვე, გვ. 168), ხ. სარდარიშ-კამბურიშის წარმოთქმითაა „ნოლაშ-დიხა“.

„ნოლა“ ჭანურად „ბაზარს, ქალაქს“ ნიშნავს, ქართულში კი მრავალი მნიშვნელობით იხმარება (მ. ალავიძე, რას ნიშნავს ნოლა, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 10, III. 1979, გვ. 4).

ნოლაშ-დიხა ათინის (ბაზრის, ქალაქის) მიწა („დიხა“) ანუ „აგარა“ ჩანს.

#17#

გლობონი

გლობონი – ადგილი ათინის ხეობაში ქალაქიდან ერთი საათის სავალზე (ნ. მარი, მოგზ. გვ. 612).

შილერითი

ათინის სამხრეთ-დასავლეთით. ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მესამეა „ნოლადიხასა“ (2) და „ხოშნიშინს“ (4) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 168). ამავე სოფელს იხსენიებს ნ. მარი იმავე გარემოცვაში (მოგზ. გვ. 610).

ნ. მარს „შილერითი“ უწერია (მოგზ. გვ. 610), ი. ყიფშიძეს – „შილერითი“ (ჭან. მოგზ. გვ. 157, 168) და „შილეთი“ (იქვე, გვ. 164). მცირე განსხვავებითაა რუკაზე – „შილარიტ“.

ლაროსი

შილერითის ჩრდილო-დასავლეთით ნ. მარის აღწერილობაში მეორეა კუკულათის შემდეგ (მოგზ. გვ. 609). ი. ყიფშიძის მასალებში კუკულათთანაა გაერთიანებული (ჭან. მოგზ. გვ. 157, 168). ერთი ცნობით, ლაროსი ტორდოვათის „მეჰელეა“ (ნ. მარი, მოგზ. გვ. 609).

ხუთვერსიან რუკაზეა „ლავუსი“, ნ. მარს უწერია „ლაროს“ (მოგზ. გვ. 609), ი. ყიფშიძეს – „ლაროზ“ (ჭან. მოგზ. გვ. 157, 169) და „ლარონი“ (იქვე, გვ. 169). ირაჭველის სტატიაშია „ლახოს“ (გვ. 11).

ამ სახელწოდების სოფელი რიზეს მხარეშიცაა.

კუკულათი

ლაროსის სამხრეთით. ნ. მარის აღწერილობაში პირველი სოფელია (მოგზ. გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-13-ეა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), ასევეა რუსულშიც (იქვე) გვ. 169).

ნ. მარს „კუკულათ“-ი აუწერია (მოგზ. გვ. 609), ასევეა რუსულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 169) და ხუთკილომეტრიან რუკაზეც. ქართულ სიაში „კუკულეთი“ (იქვე, გვ. 157),

ხუთვერსიან რუკაზე – „კუკულატ“. ნ. მარის ცალკე ასახელებს (მოგზ. 609). ქართ. სიაში: „ლაროზ“-თანაა გაერთიანებული (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157, 169).

ხომნიშინი

კუკულათის აღმოსავლეთით. ნ. მარის აღწერილობაში „ნოლა-დიხასა“ და „შილერითს“ შორისაა (მოგზ. გვ. 610), ი. ყიფშიძის მასალებში - „შილერითსა“ (3) და „ჭაჭივათს“ (5) შუა (ჭან. მოგზ. გვ. 157, 168, 169).

#18#

ნ. მარს „ხომნიშინი“ და „ხოზნიშინი“ ჩაუწერია (მოგზ. გვ. 610). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაშია „ხომნიშინი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), ასევეა რუსულშიც და გვერდით ქართულად უწერია „ხომნიშინი“ (იქვე, გვ. 169).

ათინის უბნის სოფელთა ქართული სიით „ხომნიშინი“ შერეული (ჭანურ-ხემშინური) სოფელია 46 კომლით (იქვე, გვ. 157). კომლთა რაოდენობა იგივეა რუსულშიც, ოღონდ მოსახლეთა ეთნიკური ვინაობა არაა მითითებული (იქვე, გვ. 169). შენიშვნაში კი, რომელიც გვერდით აქვს მიწერილი, ამ სოფელს „დევრიშეფე-ჩოდ“-დ აცხადებს (იქვე, გვ. 169, შენ. 1). აქვე ისიცაა აღნიშნული, რომ ხომნიშინის მოახალშენე ბოშებს („ციგნებს“) ლაზური სცოდნიათ, მაგრამ არ ლაპარაკობდნენ თურმე და „თათრულიც“ სხვაგვარი ჰქონიათ (იქვე).

ხომნიშინი (ჰომნიშინი) სპარსული კომპოზიციისა და „სამო სამყოფელს“ ნიშნავს.

არანაში

ხომნიშინის სამხრეთით. ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მეექვსეა „ჭაჭივათსა“ (5) და „კიტათს“ (7) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. 157), ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 169). ათინიდან სამ ვერსზეა (იქვე, გვ. 164).

ი. ყიფშიძის მასალებშია „არანაში“, ხუთვერსიან რუკაზეა – „არნაშ“.

ლოშიჩა

არანაშის აღმოსავლეთით.

ხოზარი

ლოშიჩას სამხრეთ-დასავლეთით ხუთვერსიან რუკაზეა „ხოზარ“.

ჯიათი

ხოზარის დასავლეთით.

ჯაჯივათი

ნ. მარის აღწერილობაში მე-14-ეა „არანაშსა“ (13), და „კიტათს“ (15) შუა (მოგზ. გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მეხუთეა „ხომნიშინსა“ (4) და „არანაშს“ (6) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157). ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 169).

ნ. მარს უწერია „ჯაჯივათი“ (მოგზ. გვ. 609), ასევეა რუსულ სიაშიც (ი ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 169) და ი. ყიფშიძის 3 აგვისტოს დღიურშიც (იქვე, გვ. 172). ქართულ სიაშია „ჭაჭივათი“ (იქვე, გვ. 157).

#19#

კითათი

ნ. მარის აღწერილობაში მე-15-ეა „ჯაჯივათისა“ (14) და „ხაჩკუნს“ (16) შუა (მოგზ. გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-7-ეა „არანაშსა“ (6) და „ხანჭკუმს“ (8) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), ასევეა (რუსულშიც (იქვე, გვ. 169).

ნ. მარს უწერია „კიტატი“ (მოგზ. გვ. 609). ქართულ სიაშია „კიტათი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში – „კიტატ“ (იქვე, გვ. 169).

ჭიტა კითათი

იხსენიება ათინის უბნის სოფელთა რუსული სიის ქართულ მინაწერში, როგორც „ფევზი-ეფენდის საზაფხულო“ ბინა (ი. ყიფშიძე, მოგზ. გვ. 169), ჭიტა (ჭან.) – „პატარა“.

ქუა-ორანწინონი

ნ. მარის ერთ-ერთი ინფორმატორის (ფევზი-ბეის) ცნობით, ასე იწოდებოდა სოფელი ათინის კაზაში (მოგზ. გვ. 613). არც ი. ყიფშიძე იხსენიებს და არც ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკებზეა აღნიშნული. ამ სოფლის ღირსშესანიშნაობებიდან ინფორმატორს გვირახი დაუსახელებია (იქვე).

ქუა (ჭან.) „ქვა“, ორანწინონი „ორანწკილონის“ (ჭან.) სახენაცვალი ფორმა) – „სარაწკუნა“.

ნოხლან-სუ

ხანჭკუნის სამხრეთით. ნ. მარის აღწერილობაში მე-17-ეა „ხაჩკუნსა“ (16) და „სულეთს“ (18) შუა (მოგზ. გვ. 613). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-10-ეა „სულეთსა“ (9) და „ხუნარს“ (11) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 169).

ნ. მარს „ნოხლან-სუ“ უწერია (მოგზ. გვ. 609). ასევეა ხუთვერსიან რუკაზე და ქართულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157). რუსულ სიაში „ნოხლაპსო“ და გვერდით ქართულად უწერია „ნოხლაფსუ“ (იქვე, გვ. 169).

სახელწოდების მეორე ნაწილი თურქულია (სუ – „წყალი“), პირველის რაობა სამიებელია.

კალეჯუკი – ადგილი ზღვის სანაპიროზე. ნ. მარის ცნობით, ტორდოვათის ნავსადგური (მოგზ. გვ. 609).

#20#

ი. ყიფშიძის ერთ შენიშვნაშია „კალეჯული“ (ჭან. მოგზ. გვ. 169, რედ. შენ. 2).

ხუთვერსიან რუკაზეა „კალაჯიკი“.

კალეჯუკ (თურქ.) – პატარა ციხე.

ჩვენი დაკვირვებით, თანამედროვე კალეჯუკის მიდამოებში უნდა არსებულიყო თითქოს ბიზანტიურ საგეოგრაფიო თუ აგიოგრაფიულ ძეგლებში დადასტურებული სოფელი „კორდილა“ (V საუკუნის ანონიმი) თუ „კორდილონი“ (ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა).

ანონიმი გეოგრაფი „კორდილეს“ ადინეოსის წყალსა და ათინას შუა ასახელებს (გეორგიკა, 2, გვ. 17). უკანასკნელის ადგილმდებარეობა ცნობილია, პირველს კი ყიბლადალ-დერესთან, რომელიც მაფარვის დასავლეთით ერთვის ზღვას. ანონიმი კორდილეს ადინეოსსა და ათინას შორის თითქმის საშუაოზე გულისხმობს! მისი ჩვენებით, ეს პუნქტი პირველს 100 სტადიონით შორავს, ხოლო უკანასკნელს – 80-ით (იქვე).

ამ მონაცემების მიხედვით ტომაშევი კორდილს Akt-sekekaleh-ის ახლოს ვარაუდობდა (იქვე, გვ. 29).

თუ ის მანძილები სწორია, რასაც ანონიმი გვთავაზობს და ამასთანავე ადინეოს-ყიბლადალ-დერეს იგივეობასაც ვერწმუნებით, მაშინ კორდილი მელიათის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა საძიებელი. თუ ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობასაც გავიხსენებთ, რომელშიც „კორდილონი“-ი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს სანავსადგურო პუნქტთა შორის იხსენიება, მაშინ იგი დღევანდელ კალეჯუკთან შეიძლება გავაიგივოთ, რადგანაც მელიათის ჩრდილო აღმოსავლეთით, სადაც „კორდილონი“ ივარაუდება, ნავმისადგომობით კალეჯუკს ათინამდე ვერცერთი პუნქტი ვერ შეედრება.

ქრისტიანულ სამყაროში კორდილონი იმით იყო ცნობილი და პატივდებული, რომ იქ განისვენებდა ქრისტეს რჯულისათვის ერთ-ერთი უძველესი მოწამე ფარნაკიოსი (IV საუკუნის დამდეგი). „ადიკურვეს მყავნებელია მათთა და მივიდეს ადგილ, კორდჯლონ წოდებულად. და მუნ მიიცვალა ცხოვრებით მშჯდობით და უღმობელად საღმთოღც ფარნაკიოს, მესამედ დღედ მსვლელობასა და იულისისა თჯსსა, და საფლავად დაიდვა ძმათა მიერ“ – გვამცნობს ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, 1957, გვ. 621).

ამავე სახელწოდების პუნქტი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზეც იყო. არიანე მას ფალოკალიას სამხრეთ-დასავლეთით მიუთითებს – ასი სტადიონის დაშორებით (მოგზ. გვ. #21#

51). მისი ჩვენებით, იგი ნავსადგური ყოფილა (იქვე). ამ სახელის ფუძე მცირედი სახეცვლილებით დაცულია („ოკორდულე“, „ოკორდული“, „ოკორდილ“-ი) ართაშენის უბნის ერთი სოფლის სახელწოდებაშიც (ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ. 91). მისივე ვარიანტული ფორმა უნდა იყოს თითქოს „კორდელითი“-ც (არქაბეს უბანში იქვე, გვ. 73-74).

თორდოვათი

ნ. მარის აღწერილობაში მე-3-ეა „ლაროსსა“ (2) და „დუხნემათს“ (4) შორის (მოგზ. გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-14-ე „კუკულეთ-ლაროხსა“ და „ავრამით-ზელექს“ (15) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ, გვ. 157). ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 169). ნ. მარს „ტორდოვათი“ უწერია (მოგზ. გვ. 609). ასევეა რუსულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ, გვ. 169), ქართულში კი ამასთან ერთად „თ“-ნ თავკიდურიც არის მოცემული (იქვე, გვ. 157). ეს პუნქტი

სოფელ კოქსოვათის ახლოსაა საგულვებელი, რადგანაც ათინის უბნის სოფელთა სიებში იგი ამ სოფელთანაა გაერთიანებული (იქვე, გვ. 157, 169). ამის გარდა, საყურადღებოა ისიც, რომ რუსულ სიაში ეს სოფლები (თორდოვათი, კოქსოვათი) „კალეჯუკთან“ იხსენიებიან (იქვე, გვ. 169). ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ცნობა: „კალეჯუკი ტორდოვათის ნავსადგურია“ (ნ. მარი, მოგზ. გვ. 609). ამავე რიგისაა რუსულ სიაში ამ სოფელთან მოცემული შენიშვნა „(ლაზი) კალეჯული“ (ი. ყიფშიძე. ჭან. მოგზ. გვ. 169).

ყოველივე ამის გათვალისწინებით თორდოვათ-ტორდოვათი კოქსევეთსა (დასავლეთით) და „კალეჯუკს“ (აღმოსავლეთით) შუა მდებარე ზღვის სანაპირო სოფელია (ხუთვერსიან რუკაზე „კაკსოვათიც“ არის აღნიშნული და „კალაჯიკიც“). ამ პუნქტს უნდა გულისხმობდეს აგათია მირინელის „თეოდორიადა“, რომელიც ჭანთა 556 წლის ამბოხების აღწერილობაში იხსენიება. ამ აჯანყების ჩასაქრობად ფაზისიდან გაგზავნილმა თეოდორე ჭანმა შეაღწია „მტრის მაშინდელი მიწა-წყლის შუაგულში. მან დაიბანაკა თეოდორიადასა და ეგრეთწოდებული რიზეს გარშემო“ (გეორგიკა, III, გვ. 182).

პ. ინგოროყვამ ყურადღება მიაქცია ლაზთა მიტროპოლიტის გერმანეს მოხსენების ერთ ადგილს, სადაც იხსენიება ლაზეთში ზღვის პირად მდებარე წმინდა დიდმოწამის თეოდორეს სახელობის მონასტერი და ფიქრობს, რომ სახელწოდება ქალაქისა ამ მონასტრის სახელს უკავშირდება (გიორგი მერჩულე, გვ. 262, შენიშვნა 1). აგათია მირინელის ჩვენებაზე დაკვირვება პ. ინგოროყვას საშუალებას აძლევს თეოდორიადა ან რიზეს ერთ-ერთ უბნად იგულისხმოს ანდა „ქ. რიზეს სანაპიროებში მდებარე პუნქტად“ (იქვე). უფრო მართებულიც ეს უკანასკნელი ჩანს, რადგან აგათია სქოლასტიკოსი თეოდორიადას ნათლად რიზესაგან. #22#

თეოდორიადას ადგილმდებარეობის გასათვალისწინებლად საინტერესოა ისიც, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი მას რიზეს უწინარეს ასახელებს, თეოდორე ჭანი ჯერ თეოდორიადას მიადგა, ხოლო შემდეგ – რიზეს. ამ ნიშნით თეოდორიადა რიზეს ჩრდილოეთითაა საგულვებელი. ამ მიდამოებში კი თავისი სახელწოდებით, მდებარეობით და სხვა მონაცემებით (ნავსადგური, ციხე) ყურადღებას სწორედ თორდოვათი (ტორდოვათი) იქცევს.

სახელწოდება, როგორც ჩანს, უკავშირდება თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიას, რომელიც ამ სოფელში ყოფილა მისი აგების ზემო ქრონოლოგიური ზღვარია ჭანთა 556 წლის აჯანყება, ხოლო ქვემო – სამიებელია.

ამ ძეგლის დავთვლი სოფლის წარსულის მეცნიერული გათვალისწინებისათვის საგულისხმო მასალებს შეგვძენდა სავლე ისტორიულ-გეოგრაფიული ძიება, მაგრამ, ჯერჯერობით, ამის შესაძლებლობა, სამწუხაროდ, არ არის.

გადმოცემით, თითქოს ამ სოფლიდან უნდა იყვნენ წამოსულნი ჭანიშვილები. ამ რამდენიმე ხნის წინ ძველმა ბოლშევიკმა ვასილ ჭანიშვილმა გვიამბო: „დავიბადე ოზურგეთის მაზრის ლიხაურის თემში. ჩვენს სოფელს ნიაბაური ჰქვია. იგი ქვედა და ზედა უბნებად იყოფა. შესანიშნავი სოფელია, მაგრამ როგორც მამაჩემი და ბიძაჩემი იტყოდნენ – ძველების გადმოცემით, ჩვენი ადრინდელი სამკვიდრო სოფელი, საიდანაც ჩვენი შორეული

წინაპრები მოსულან, კიდევ უფრო უკეთესი ყოფილა. მის სახელწოდებად ძველები „თორდო“-ს თუ რაღაც მისნაირს ასახელებდნენ.

როცა ჭანეთს ოსმალო მოდგომია, ჩვენი წინაპრები იძულებული გამხდარან აყრილიყვნენ და სხვაგან ეძიათ თავშესაფარი. სახლის უფროსი, გადმოცემით, მონასტრის წინამძღვარი ყოფილა. სახელი აღარ შემონახულა, გვარს კი დაასახელებდნენ, მაგრამ დღეს კარგად აღარ მახსოვს, ვგონებ „ინაშვილს“ თუ „ინაშს“ იტყოდნენ.

წამოსულა ის დალოცვილი მთელი თავის ახლობლებით, გადმოუვლია ჭოროხი, კინტრიში, და ტალახას უღელტეხილით გადმოსულა აჭისწყლის ხეობაში, სადაც მაშინ უღრანი ტყე ყოფილა. აქ ერთ მაღალ გორს მინდობია, რომელსაც ახლა გორმაღალს უწოდებენ და იქ დაბინავებულა. ეშინოდათ, თურმე, მდევერები მოგვიკითხავენ და, თუ ადგილობრივ მოსახლეობას ეცოდინება, ადვილად მოგვაგნებენო. ამისათვის არ გაუმხელიათ თავი.

ასე გასულა კარგა ხანი, მაგრამ მუდამ ხომ ვერ იცხოვრებდნენ მალულად. და აი ერთ მშვენიერ დღეს გორმაღალს გურიელის მონადირენი შესევიათ და ჭანი მოახალშენებიც მათ აღმოუჩენიათ. მთავარს ძალიან გახარებია მათი პოვნა. წინამძღვარი დიდი პატივით მიუწვევია სასახლეში და კარის მოძღვრად დაუსვაშს, სხვები კი მთიდან ჩამოუყვანია და გორის ძირას დაუსახლებია. მოძღვრის სიცოცხლეში ისინი არც რაიმე გადასახადს იხდიდნენ და არც სხვა რამ საბატონო ვალდებულება სდებიათ. საბატონყმო ურთიერთობაში ისინი მოგვიანებით ჩართულან და გურიის სამთავრო საგვარეულოს ერთ-ერთი განშტოების (თავად მაქსიმელეშვილთა) ყმები გამხდარან. პაპაჩემიც და მამაჩემიც მათი ნაყმეები ყოფილან.

#23#

ახალ ადგილზე დამკვიდრების შემდეგ ჩვენს ძველებს ჭანური გვარსახელით კი აღარ იხსენიებდნენ თურმე, არამედ სატომო სახელით („ჭანი“) მიმართავდნენ, რაც შემდეგ თაობას ახალ საგვარეულო სახელად დაუმკვიდრდა და ჭანიშვილი ეწოდა“.

აჭისწყლის ხეობაში ჭანური წარმოშობის მოსახლეობა ნიაბაურს გარდა, სოფელ აჭშიც არის. ვ. ჭანიშვილისვე ცნობით, ადრე იმათაც ჭანიშვილებს უწოდებდნენ, ხოლო გამუსლიმანების შემდეგ – „ლაზიშვილებს“. ერთსაც და მეორესაც დღემდე შემორჩათ მათი ნათესაური სიახლოვის ხსოვნა. „ახლაც კარგად მახსოვს კალანდას მათი სტუმრობა ნიაბაურში. მართალია ისინი გამაჰმადიანებული იყვნენ, მაგრამ ძველ ტრადიციას მაინც იცავდნენ, ხალისით მონაწილეობდნენ მამაპაპურ ქრისტიანულ რიტუალებში და ჩიჩილაკის გალოცვაშიც ერთიმეორეს ასწრებდნენ.

ბიძაჩემი დიდად მორწმუნე კაცი იყო, ეკლესიის მსახური, ხშირად მინახავს სამრეკლოზე, ეკლესიაში სანთლების გამყიდველად, გვარის საწირავის მომწყობად და სხვა.

ჭანიშვილების გვარის საწირავი იყო მოზვერი. გვარი წელიწადში ერთხელ კლავდა მოზვერს ამ საქმეს ერთი პირი განაგებდა. მე რომ მახსოვს თომა ბიძია მოივლიდა, გვარ-ლიხაურის გარდა ავიდოდა ხიდისთავში, ბახვში, გურიანთაში, აჭში და თვითეული ოჯახიდან მოკრეფდა ფულს მოზვერის საყიდლად. დაწყებული კაპიკიდან, თუ მეტი არა, ეს კაპიკი ყველას უნდა გადაეხადა გვარის საწირავში წილის მისაღებად. დათქვამდა წირვის

დღეს, როდესაც ყველა მოვიდოდნენ. მოზვერს წაიყვანდნენ აჭის ეკლესიაზე დასაკურთხებლად. იქვე დაკლავდნენ, შემდეგ მოიტანდნენ საერთო თავშესაფრის ადგილზე და საერთო ქვაბში მოხარშავდნენ. გაიშლებოდა სუფრა და ყველა მიიღებდა ხორცის ნაჭერს. ხოლო იმათ, რომლებიც არ ესწრებოდნენ, შინ უგზავნიდნენ თავის წილს“.

თუ ამ გადმოცემას ვერწმუნებით, ჭანიშვილთა გადმოსახლება ძველი სამკვიდროდან ოსმალთა შემოსვლისთანავე (XVI ს 40-იანი წლები) მომხდარა. და მხოლოდ „წინამძღვრის სახლი“ როდი იყო გამოწაკლისი. ამ დროს მრავალი სხვაც ილტვოდა ჭანეთიდან. ნაწილი გურიას ეხიზნებოდა, ხოლო ნაწილიც ოდიშსა, აფხაზეთსა და იმერეთს. მაგრამ ამით როდი დასრულებულა ჭანთა ლტოლვა ჩრდილოეთისაკენ. ისინი კანტიკუნტად გამუსლიმანების შემდეგაც მოდიოდნენ და რჩებოდნენ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ესენი მეტწილად ხელოსნები იყვნენ, განსაკუთრებით, ხუროები. აქეთკენ მოეშურებოდნენ ისინიც, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით მშობლიურ კუთხეში არ დაედგომებოდათ და სხვა. ყველა ასეთ ფაქტს გულმოდგინე მოძიება და შესწავლა ესაჭიროება.

კიზ-კულუ – ასე იწოდება ერთი ისტორიული ძეგლი ათინის დასავლეთით – ნავით ერთი საათის სავალზე (გ. ყაზბეგი, სამი თვე... გვ. 128). ქართველ მკვლევართაგან იგი პირველად იხსენიება და აღწერა გ. ყაზბეგმა 1874 წელს. მისი ჩვენებით, კულე ორსართულიანი სწორკუთხა ნაგებობაა (იქვე). 1917 წლის აგვისტოში კიზ-კულე მოინახულა და საკმაოდ დაწვრილებითაც აღწერა ი. ყიფშიძემ: „ციხე ორსართულიანი, შეიძლება, სამიანიც ყოფილა, – შენიშნავს მკვლევარი, – სამხრეთისაკენ იყურება. კედლებში სათოფეები აქვს. კარი დასავლეთით აქვს: კარებს ზევით ერთი ქვა ძალად ამოგლეჯილია. ცხადია, ზედ წარწერა ყოფილა. მშენებრად ჩანს აქედან „კალეჯუკის“ ციხე“ (ჭან. მოგზ. გვ. 173).

ზოგიერთი ადგილობრივი გადმოცემა ამ ყულეს გენუელებს („ჯინივიზი“) უკავშირებს (იქვე, გვ. 184). ასეთივე აზრისაა ბჟიშვიანიც (გ. ყაზბეგი, სამი თვე... გვ. 128). არის ისეთი გადმოცემებიც, რომლებიც ამ ძეგლს თამარის აგებულად მიიჩნევენ (ი. ყიფშიძე, ჭან. გვ. 4). ასეთი სახელწოდების ძეგლი ოსმალეთში და მის გარეთ არაერთია (მაგ. სტამბულში).

კიზ (ქიზ თურქ.) – ქალწული, ქალივილი, კულე (არაბ.) – კოშკი.

დუხნევათი

ნ. მარის ერთ-ერთ ინფორმატორს ფევზი-ბეის დუხნევათი ტორდოვათის „მეჰლე“-დ დაუსახელებია (მოგზ. გვ. 609).

ჯაბათი

კალეჯუკის სამხრეთ-აღმოსავლეთით; ნ. მარის აღწერილობით მე-11-ეა (შიგნით კუკულათიდან), ხუნარის ქვემოთ (მოგზ. გვ. 609). ი. ყიფშიძის მასალებში ათინის უბნის მე-12-ე სოფელია (ჭან. მოგზ. გვ. 157, 169).

ნ. მარს „ჯაბათი“ ჩაუწერია (მოგზ. გვ. 609). ასევე მიუთითებს ი. ყიფშიძე (ჭან. მოგზ. გვ. 157, 169): ხუთვერსიან რუკაზეა „დჟანგატ“.

ხუნარი

ნ. მარის აღწერილობაში მე-12-ეა „ჯაბათის“ ზემოთ (მოგზ. გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართული სიით მე-11-ეა „ნოხლან-სუსა“ (10) და „ჯაბათს“ (12) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 169).

ხიჯაბათი

ჯაბათის სამხრეთით.

ტალვათი

ხიჯაბათის სამხრეთით ნ. მარის ათინის კაზის სოფელთა სიაში 22-ეა „ხუზიკას“ (21) შემდეგ (მოგზ. გვ. 610). ქართულ სიაში 23-ეა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158), რუსულში – 24-ე (იქვე გვ. 169).

ნ. მარს „ტალვათი“ ჩაუწერია (მოგზ. გვ. 610) ასევეა ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაშიც (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 158) და ხუთვერსიან რუკაზეც. რუსულ სიაშია „დალავატ“ და გვერდით ქართულად უწერია „დალვათი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 169).

#25#

კოქსოვათი

კალეჯუკის დასავლეთით. ათინის უბნის ქართული სიით მე-14-ეა „კუკულეთ-ლაროზსა“ (13) და „ავრამით-ზელექს“ (15) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), ასევეა რუსულშიც (იქვე, გვ. 169). ი. ყიფშიძის მასალებში ტორღოვათთანაა გაერთიანებული (იქვე, გვ. 157, 169).

ქართულ სიაშია „კოქსევეთი“ (იქვე, გვ. 157), რუსულში – „კოკსოვატ“ (იქვე, გვ. 169), ასევეა ხუთვერსიან რუკაზეც.

დალქი

კოქსოვათის დასავლეთით.

ვენეკ-წარი – ეს ჰიდრონიმი დაგვიდასტურა ხ. სარდარიშ-კამბურიშმა (ს. აგარა, ხელვაჩაურის რ-ნი). იგი ი. ყიფშიძის მასალების „ვენეკ-სუსა“ და „ვენეკ-დერეს“ (ჭან. მოგზ. გვ. 169, შენ. 5) შეესატყვისება.

როგორც ათინის უბნის სოფელთა რუსული სიიდან ჩანს, „ვენეკ-სუ“ ის მდინარეა, რომელზეც სოფ. მელიათია აღნიშნული (იქვე). მდინარეს სახელი მიუღია მის შუაწელზე მდებარე სოფლისაგან. რა სახელით იწოდებოდა, ან რა სახელით იწოდება ახლა იგი ზემო წელზე, საძიებელია. ხუთვერსიან რუკაზე უსახელოდაა აღნიშნული.

მელიათი

ნ. მარის აღწერილობაში მე-7-ე სოფელია „ზელექსა“ (6) და „ქემერს“ (8) შუა (მოგზ., გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-18-ეა „ბოგინასა“ (17) და „ქემერს“ (19) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 157), რუსულში – მე-19-ე იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 169).

ხუთვერსიან რუკაზე ვენეკ-წარის მარჯვენა მხარეზე აღნიშნული, ზღვასთან. ნ. მარის ცნობითვე, ზღვისპირა სოფელია (მოგზ., გვ. 609).

ვენეკი

ნ. მარის აღწერილობაში მე-9-ეა (მოგზ. გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-20-ეა ქემერსა (19) და „სურმეზათს“ (21) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში – 21-ე იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 169).

ამ სოფელს უნდა გულისხმობდეს ხუთვერსიანი რუკის „ვანის“, რომელიც ვენეკ-წარის მარჯვენა მხარეზე აღნიშნული.

ქართულ სიაში „ვენეკ“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში „ვენეკ“ და ზემოთ ქართულად უწერია „ვენელი“ (იქვე, გვ. 169), რუკაზეა – „ვანის“.

#26#

ვენეკი დასავლეთით ჭანურის გავრცელების ერთ-ერთ უკიდურეს სოფლად ითვლებოდა ამ ნახევარი საუკუნის წინათ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 154), რუსულ სიაში „ვენეკ“-ის გასწვრივ ქართულად წერია. ზოგმა იცის და ზოგმა არა“ (იქვე, გვ. 169). დღეს რა ვითარებაა, არ ვიცი.

ბორამითი

ვენეკის აღმოსავლეთით.

სურმენათი

გორამითის სამხრეთით ნ. მართან მე-10-ეა ზელექიდან მოკიდებით (მოგზ. გვ. 609). ათინას უბნის სოფელთა ქართულ სიაში 21-ეა „ვენექსა“ (20) და „ხუდისას“ (22) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157-158), რუსულში – 22-ე იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 169).

ამ სახელწოდების ფუძე – სულჯუმენე – შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე სხვაგანაც გვხვდება. დიდი ხანია ასე იწოდება ნავსადგური მდ. კარა-დერეს შესართავში (ოფის დასავლეთით).

მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ პრ. კესარიელის „სუსურმენა“ სწორედ ამ პუნქტს გულისხმობს. როცა ტრაპეზუნტელთა საზღვრებზე მიუთითებს, ბიზანტიელი ავტორი ამბობს: „ტრაპეზუნტელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსურმენამდე და ეგრეთწოდებულ რიზემდე, რომელიც ზღვით მიმავალისათვის ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული ტრაპეზუნტს“ (გეორგიკა, 2, გვ. 121-122). უფრო ადრინდელ ავტორთან (V საუკუნის ანონიმი) სუსურმენე-ს ნაცვლად „სუსარმია“ გვაქვს. მისი ცნობით, „ტრაპეზუნტიდან ისოს ნავსადგურამდე, რომელსაც ახლა ეწოდება სუსარმია, 180 სტადიონია ანუ 24 მილიონი“ (იქვე, გვ. 16).

სუსარმიას ადგილსამყოფელი სავსებით შეესატყვისება დღევანდელ სურმენეს, რომელიც ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდებარეობს. პროკოპის სუსურმენაც თითქოს აქვეა საძიებელი, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი ამას სწორად არ მიიჩნევს და სუსურმენას რიზეს მიდამოებში ვარაუდობს (Real. Erzielopedia, IV, 1931, გვ. 374), პროკოპის ჩვენების ასეთი

გაგება უმართებულო არ უნდა იყოს. გარდა სახელთა ერთგვარი განსხვავებულობისა, ანგარიშშია მისათვლელი ტრაპეზუნტელთა სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრის არც თუ ისე მარჯვე მინიშნება პროკოპისთან. ამიტომაც შეუძლებელი არ უნდა იყოს, რომ აქ, ამ სექტორში მდებარე დღევანდელი სურმენათი ვივარაუდოთ. მართალია, ის რიზეს აღმოსავლეთითაა და არც ისე ახლოს არ არის, რომ ოდესმე მართლაც შეიძლება ყოფილიყო თუ ეთნიკური არა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის სასაზღვრო პუნქტი.

#27#

„დროების“ კორესპონდენტ „იამე“-სათვის 1916 წელს სურმენე ადგილობრივ „დიდებულეზა“-დ განუმარტავთ (იამე, ბათომიდან ტრაპეზუნტამდე „დროება“, 1916, # 605, 19. VI. გვ. 3), მაგრამ რომელ ენაზეა ეს ანდა სწორია თუ არა ასეთი ვერსია, ამაზე ავტორი დუმს.

ბუკნა

სურმენათის სამხრეთით.

სუდისა

ათინის კაზის სოფელთა ნ. მარისეულ სიაში მეოცეა „კუზიკას“ (21) წინ (მოგზ. გვ. 610). ი. ყიფშიძის ერთ სიაში 22-ეა „სურმენათსა“ (21) და „ტალმათს“ (23) შუა (ჭან. მოგზ. გვ. 158), ხოლო მეორეში – 23-ე იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 169).

ზელექი

ნ. მარის აღწერილობაში მეექვსეა „კალეჯუკსა“ (5) და „მელიათს“ (7) შუა (მოგზ. გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-15-ეა „თორდოვათ (ტორდოვათი) – კოქსევათსა“ (14) და „ხაჭაპითს“ (16) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში – მე-16-ე „ავრამითსა“ (15) და „ხაჭაპითს“ (17) შუა (იქვე, გვ. 169).

ნ. მარი ცალკე სოფლად ასახელებს. ასევეა რუსულ სიაშიც ქართულ ნუსხაში ავრამითთანაა გაერთიანებული.

ნ. მარს „ზელეკ“-ი უწერია (მოგზ. გვ. 609), ასევეა რუსულ სიაშიც და გვერდით ქართულად მინაწერით „ზელედი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 169), ხოლო ქართულშია „ზელექი“ (იქვე, გვ. 157).

ნ. მარი ზელექელებს ამ სანახებში (თორდოვათიდან დაწყებული ზელექამდე) ყველაზე საუცხოო მენავეებად ახასიათებს (მოგზ. გვ. 609).

ავრამითი

ათინის უბნის სოფელთა რუსულ სიაში მე-15-ეა „ტორდოვატ-კოქსოვატსა“ (14) და „ზელეკს“ (16) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 169). ქართულ სიაში გაერთიანებულია ზელექთან და მე-15-ეა „თორდოვათ (ტორდოვათი) – კოქსევათსა“ (14) და „ხაჭაპითს“ (16) შორის (იქვე, გვ. 157).

ნ. მარი არ იხსენიებს (ალბათ, ზელექში გულისხმობდა მისი ინფორმატორი).

ამ ორიოდე წლის წინათ ახალსოფელში (ხელვაჩაურის რ-ნი) შევხვდი ავრამითელ ფატიმე ახმეტის ასულ ბაბალიშს (დაბ. 1876), რომელმაც მიაშბო: „15 წლამდე ავრამითს ვიზრდებოდი. მამაჩემი „ტაში“ (ქვის ოსტატი) იყო. ჯერ ძროხებს ვაძუებდი, მერე კი გზაზე #28#

ვმუშაობდი. ერთი ირიზელი დედაკაცი შემიჩნდა: „ეზრეთ ხარ და ეზრეთ ხარო“. მერე რაა საშველი-მეთქი. „წამოიწყევ მაჭახელს, გაგათხოვებ და რაჰათს იქნებო“. ისე თქვენმა მტერმა ირაჰათოს, როგორი რაჰათიც მე მეღირსა... ო, ჩემო ავრამითო, რაფრა მენატრები ახლა შენ! ჩემს სოფელს აწი ვედარ ველირსები ნენევ, მის მეზარულში ვერ ჩავყრი ძვლებს... მეზარული ჯამესთან იყო. ჩვენი ჯამე! მაგონდება მისი წუწვი ხოჯა, ო, რა ედემ რეზი (უსინდისო) კაცი იყო. ამის გამო მამამ არ გამიშვა მასთან, გოგუფეს გლახათ ექცევას და უსტავლეელი დავრჩი. სხვა სოფლიდან იყო ის წყეული ხოჯა.

ავრამითის იმ უბანს, სადაც ჩვენ ვესახლეთ ბაბალიშებს ეძახდნენ. ჩემი ნენეის სოფელი ქვემოთ იყო და ტოხრიები ერქვა, თუ მსგავსი რაღაც, კარგად არ მახსოვს დიდი ხანი გავიდა, დამავიწყდა. ჩვენს ზევით ციგნები ცხოვრობდნენ.

ავრამითი შესანიშნავი სოფელია. არც ძალიან ცხელა და არც ძალიან ცივა. დიდი სოფელია, ზღვას მოშორებული. ბაბალიშებს გარდა, იქ კინიშებიც ცხოვრობდნენ და სხვებიც ბევრი იყო.

ო, რა ბაბა მყავდა! ო, რა ნენე მყავდა! რა მეზობლები! რა მოყვასები? ო, იმ ირიზელ ჯაზს რა ვუთხრა?!

ქათიბი ხარ ხომ? ამას რომ წერ, ავრამითს ხომ არ გინდა წამიყვანო და ქნა სიკეთე! იქნებ შენ მიდიხარ იქეთ? თუ წახვიდე და ნახო ჩემი ავრამითი, მოიკითხე ჩემიანები. ბევრი ყანიები გვქონდა, აბა ავრამითის ღელიებს რა მოთვლის. ყველას თავისი სახელი ჰქონდა, მარა ასი წლისას აღარ მახსოვს. ძროხებს რომ ვაძუებდით, იმას „ხაჭი“ ერქვა, სოფლის გარეთ იყო. იქ სულ ქალები ვიყავით იმას იქით იყო „მეზრნე“ – ესეც საძუარი. ჯამე სადაც იდგა, იმ ადგილს „ჯამე-დუხს“ ეძახდნენ, სხვა აღარ დამრჩა თავში...

„ვენექი“ მახსოვს კიდევ, ჩვენი სოფლის „სკელე“ იყო. ო, რა კაი წყალია „ვენექ-სუი“, ანკარაა, ვბანაობდით, თევზიანიცაა.

ჩუენი სოფლის პირისპირაა „ნაპილოზი“. კაი სოფელია მელიათიც. სხვა აღარ მახსოვს..

ადრე ლექსებიც ვიცოდი. დესტანებიც ბევრი გამიგონია ავრამითს... ახალგაზრდობა დიდი ბედნიერებაა. ჩემებრ მოხუცებას სიკდილი სჯობს, მარა სადაა!

ხაჩაფითი

ნ. მარი ამ სოფელს ზელექიდან მოკიდებით ასახელებს „სურმენათისა“ (10) და „ბოგინას“ (10-ბ) შუა (მოგზ., გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-16-ეა „ავრამით-ზელექსა“ (15) და „ბოგინას“ (17) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 157). რუსულში მე-17-ეა „ზელექსა“ (16) და „ბოგინას“ (18) შუა (იქვე, გვ. 169). ნ. მართანაა „ხაჩაფითი“ (მოგზ. გვ. 609), ქართულ სიაში „ხაჭაპითი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში – „ხაჩაპითი“ (იქვე, გვ. 169).

ხემშინური სოფელია (ნ. მარი, მოგზ., გვ. 609).

ბოგინა

ნ. მარის აღწერილობაში მე-10-ბ-ა „ხაჩიფათისა“ (10-ა) შემდეგ (მოგზ. გვ. 609). ათინის უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-17-ეა „ხაჭაპითსა“ (16) და „მელიათს“ (18) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში მე-18-ეა იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 169).

ბოგონაც ხემშინური სოფელია (ნ. მარი, მოგზ., გვ. 609).

#29#

ქემერი

ნ. მარის აღწერილობაში მეექვსეა მელიათის შემდეგ (71) (მოგზ. გვ. 609). ათინას უბნის სოფელთა ქართულ სიაში მე-19-ეა „მელიათსა“ (18) და „ვენექს“ (20) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 157), რუსულში მეოცეა იმავე გარემოცვაში (იქვე, გვ. 169) აქვე ქართულად მიწერილია: „ლაზური აღარ იციან“.

ხუთვერსიან რუკაზე ზღვის სანაპიროზეა აღნიშნული მდინარის დასავლეთით.

ნ. მარისა და ი. ყიფშიძის მასალებშია „ქემერ“-ი, ასევე იხსენიებს კ. კოხი (გვ. 125), რუკაზეა „კამარ“.

„კამარ“ (სპ.) – თალი. ქემერი „კამარ“-ის თურქული ფორმაა. სახელწოდება უნდა წარმოდგებოდეს ხიდისაგან. ძველ თალიან ხიდებს „ქემერქოფრ“-ს უწოდებენო.

ნ. მარი ქვევრს იმ ექვს სოფელს შორის ასახელებს (ტორდოვათი, დუხნევათი, კალეჯუკი, ზელექი, მელიათი, ქემერი), რომლებიც „კაიკობას“ მისდევდნენ (მოგზ. გვ. 609).

გვიან შუა საუკუნეებში ქემერი ერთხანს საქართველოს სასაზღვრო პუნქტიც იყო. ამის ხსოვნა ჭანეთში დღემდეა ცოცხალი. „ქემერიდან მოკიდებული კავკავამდის ძველად სულ კავკასია-საქართველო იყო“ – ამბობდა მემედ-ეფენდი თაბუკაშვილი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 172).

ქემერ-ბურუნი – მდებარეობს ზღვისპირას, ამავე სახელწოდების სოფლის (ქემერის) ტერიტორიაზე და სახელიც მისგან შერქმევია.

ქემერ-ბურუნი (თურქ.) „ქემერის კონცხი“.

გადმოცემით, თამარის დროს ამ კონცხზე თითქოს რკინის პალო ყოფილა (გ. ყაზბეგი, სამი თვე..., გვ. 129).

1804 წელს შედგენილ ერთ დოკუმენტშიც რკინის პალო ქემერშია ნაგულისხმევი (კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, II, გვ. 539).

ი. ჯავახიშვილის საისტორიო რუკაზეა „რკინისპალოს მთა“ ახლანდელ „კირკლარ-დაღის“ ადგილასაა აღნიშნული. ზ. ჭიჭინაძე მას სულ სხვაგან (ტრაპიზონში) მიუთითებდა (ლაზისტანი, 1927, გვ. 4).

„რკინისპალოს“ ლოკალიზების ცდა შემდეგშიც იყო (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 301), მაგრამ ამ საკითხს ჯერ კიდევ სერიოზული კვლევა ესაჭიროება.

#30#

ქემერის კონცხი ათინის ოლქის საზღვარსაც დებდა სამხრეთ-დასავლეთით. აქედან იგი ყალნი-დერეს შესდევდა, გადაჰკვეთდა ათინას-წყალს, ბეიუქ-დერეს და მიადგებოდა ვერშემბეგს (ი. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ტფილისი, 1919, გვ. 46).

ქესმა-ტაში – მთა ბუქნას დასავლეთით. ქესმა-ტაში (თურქ.) – „დასერილი ქვა“.

ქუჩუქ-ტაშხანა

ქესმა-ტაშის დასავლეთით, ზღვის სანაპიროზე. ქუჩუქ-ტაშხანა (თურქ.) – „პატარა ქვის სახლი“.

ჩანაკლი-ლაჯე – ქესმა-ტაშის დასავლეთით.

ჩილინგერი

ჩანაკლი-ლაჯეს სამხრეთ-აღმოსავლეთით. რიზეს მხარის მაფავრის სასოფლო ოკრუგის სოფელთა სიაში მე-13-ეა „მილოსსა“ (12) და „არსიფორის“ (14) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ 161). ჩილინგერი – ჩილინგირი (სპ.) – „ზეინკალი“.

აშიკლარი

ჩილინგერის სამხრეთით, მისივე სახელის მდინარის მარჯვენა სანაპიროზე. აშიკლარი (არაბ.-თურქ.) – „მიჯნურები“.

აშიკლარ-დარასი – ზღვას ერთვის ქუჩუქ-ტაშხანას დასავლეთით. სახელწოდება წარმოიშვა სოფლის სახელისაგან „აშიკლარი“ აშიკლარ-დარასი (არაბ.-თურქ.) – „მიჯნურთა ხევი“ (?).

ბეიუქ-ტაშხანა

მდ. აშიკლარ-დარასის დასავლეთით, ზღვის სანაპიროზე ბეიუქ-ტაშხანა (თურქ.) – „დიდი ქვის სახლი“.

სეფილი-ქოი

ბეიუქ-ტაშხანას სამხრეთით, აშიკლარ-დარასის მარცხენა სანაპიროზე, შესართავთან ახლოს. ხუთვერსიან რუკაზეა „სეფალი-კეი“, ხუთკილომეტრიანზე – „სოფოლი“. სეფილი (არაბ.) – „მწირი“, „ღარიბი“; ქოი (თურქ.) – „სოფელი“.

იანიქ-დალი – სეფილი-ქოის სამხრეთით. იანიქ-დალი (თურქ.) – „დამწვარი მთა“.

#31#

მაფავრი

იანიქის მთის დასავლეთით, ბეიუქ-ტაშხანას შემდეგ, ათინიდან 25-ე ვერსზე. მოზრდილი სოფელია... გაშენებულია ზღვის პირზე, ვაკე ადგილზე, დუქან-ბაზრით... ფორთოხალი ბლომათ არის. უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა ნაოსნობას მისდევენ. აქ

ცხოვრობენ ქართულად მოლაპარაკე ლაზები“ (ს. ბაქრაძე, ქალაქი რიზე, გაზ. „საქართველო“, 1917, 17 თიბათვე, (#130), გვ. 4).

კ. კოხს „მაფავრი“-ს ფორმით მოაქვს (გვ. 125), პალგრევეს „მაფაური“-ს (გვ. 75). ი. რაჭველიც ასე წერს (დასახ. სტ. გვ. 11). რუკაზეა „მეპარი“. მ. ვანლიში და ა. თანდილავა „მაფავრი“-ს გვერდით „მეფურ“-საც მიუთითებენ (ლაზეთი, გვ. 77) და „მეფეურ“-საც (იქვე).

ქანური „მაფავრი“ სიტყვასიტყვით „საფოთლედ“ ითარგმნება (ფავრი – „ფოთოლი“, ნ. მარი, ქან. გრამ. გვ. 192), მაგრამ ჩვენ მაინც „საფურცლე“-ს ვამჯობინებთ, რადგან ასეთი სახელწოდება დიდი ხანია დამკვიდრებულია ჩვენს საგეოგრაფიო ნომენკლატურაში (სოფ. საფურცლე, დუშეთის რ-ნი).

პალგრევი „მაფაურს“ უბრალო ადმინისტრაციულ ერთეულად თვლის (გვ. 75), რომლის მსგავსიც ამ მხარეში მხოლოდ ყარა-დერე ყოფილა (იქვე).

ი. ყიფშიძის მასალებში დაცული რიზეს მხარის რუსულ ნუსხაში მაფავრი „სასოფლო ოკრუგია“, რომელშიც თოთხმეტი სოფელი ერთიანდებოდა: „მარჩევა“, „ხულვენიტა“, „მარიევა“, „ზანჯელი“, „კომიკა“, „მამული“, „გალატა“, „სირთი“, „ფანაგი“, „მესავრი“, „ციკარონი“, „მილოსი“, „ჩილინგერი“ და „არსიფოსი“ (ქან. მოგზ. გვ. 161).

სირთი

იანიქ-დაღის სამხრეთით, იმ მდინარის მარჯვენა მხარეზე (ზემო წელზე), რომელიც მაფავრთან ერთვის ზღვას.

მაფავრის სასოფლო ოკრუგის სიაში სირთი მე-8-ეა „გალატასა“ (7) და „ფანაგ“ (9) შორის (ი. ყიფშიძე, ქან. მოგზ. გვ. 161).

„სირითი“ (თურქ. – „სერი“) ხშირია ჭანეთის ტოპონიმიში (ჩვენი ჭანეთი, I, გვ. 81, 100, 110).

იაქა

მაფავრის სამხრეთით, ყიბლა-დად-დარასის მარცხენა სანაპიროზე. ხუთვერსიან რუკაზეა „იაგა“. ოდნავ განსხვავებულ „იაკა“-ს ვხვდებით რიზეს მხარის სოფელთა ნუსხაშიც, სადაც ის მეორეა „არკოტილსა“ (1) და „ცანზევას“ (3) შორის (ი. ყიფშიძე, ქან. მოგზ. გვ. 161). „იაკა“-ს წერს ი. რაჭველიც (დასახ. სტ. გვ. 11).

„იაქა“ თურქულში მრავალი მნიშვნელობით იხმარება, მათ შორის „ნაპირი“, „მხარე“.

#32#

თერკამი

მაფავრის დასავლეთით. ი. ჯავახიშვილის საქართველოს საისტორიო რუკაზეა „ტერკამი“.

შაირლარი

მაფავრის სამხრეთ-აღმოსავლეთით. შაირლარი (არაბ., თურქ.) – „მოშაირეები“, „მელექსეები“.

კუკუშლი

შაირლარის აღმოსავლეთით.

მადენქოი

კუკუშლის სამხრეთით. მადენქოი (არაბ.-თურქ.) – „მადნეულის სოფელი“.

ბუზლი-ფინარი

მადენქოის სამხრეთით, მდინარის მარჯვნივ. ხუთვერსიან რუკაზეა „ბუზლი-პინარ“, ხუთკილომეტრიანზე – „ბუზლუპინარ“. ბუზლიფინარი (თურქ.) – „ცივი (ყინულოვანი) წყარო“.

კაფუდან-ფაშა

ზუბლი-ფინარის ზემოთ (იმავე მხარეზე), რიზეს მხარის დარას სასოფლო ოკრუგის სოფელთა ნუსხაში მესამეა „ხოხონჩსა“ (2) და „კამანის“ (4) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 162).

სოფელთა სიაშია „კაპიტან-ფაშა“ (იქვე). ხუთკილომეტრიან და ხუთვერსიან რუკებზეა „კაპდურან-პაშა“. „კაპიტან“ – „კაპდურან“ აქ „კაფუდან“-ის დამახინჯებული ფორმებია. უნდა იყოს კაფუდან (– კაფთან) – ფაშა (იტალ.-თურქ.). „საზღვაო მინისტრი“, „ფლოტის უფროსი“ (ოსმალეთში).

თირაქლიქი

კაფუდან-ფაშას სამხრეთით, (მდინარის იმავე ნაპირზე). თირაქ (თურქ.) – „სავარცხელი“. თირაქლიქი (თურქ.) – „სასავარცხელი“ (?).

ორმანჯიკი

თირაქლიქის სამხრეთით. ორმანჯიკ (თურქ.) – „პატარა ტყე“.

ტაქფურ-თაფასი

ტაშ-ქოის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შორს. მეორე სახელით „დალაქი გიოლი“ „ტაქფური“ სახენაცვალი ფორმაა „ტექფური“-სა (ისტორიულად ბიზანტიის იმპერიის ოლქის მმართველი). ამავე სამოხელეო ტერმინს უნდა გულისხმობდეს ხუთკილომეტრიანი რუკის „ტფური“ (ბეიუკ-დერეს მარცხენა სანაპიროზე), რომელიც აქაც „თეფეს: უკავშირდება (ჩვენი, ჭანეთი, I, გვ. 105).

#33#

მეორე სახელწოდების პირველ ნაწილს („დალაქ“) თურქულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მათგან აქ მხოლოდ ფლორომია საინტერესოა; „ჭარელა“ (მესხურად – „ვარდიფერა“). დალაქხი-გიოლი (თურქ.) „ჭარელას (ვარდიფერას) ტბა (?)“.

ორშა-ქოი

ტაქფურ-თაფასის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ბაშ-ქოი

ორშა-ქოის დასავლეთით.

ციბლა-დალ-დარასი – მოედინება ციბლა-დალიდან და ერთვის ზღვას მაფავრის დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ციბლა-დაგი-დარასი“.

ციბლა (არაბ. კიბლა) – მხარე, საიტკენაც მიმართულნი არიან მუსლიმები ლოცვისას, სახელდობრ, მექის მიმართულებით (გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, 1951, გვ. 190-191).

ციბლადალ-დარასს ძველი ბერძნული წყაროების „ადიენთან“ აიგივებენ (არიანე, მოგზ. ნ. კეჭალმადის კომენტ. გვ. 166 და რუკა). არიანე ამ მდინარის სახელს „ადიენის“ ფორმით იხსენიებს (იქვე, გვ. 36). ფსევდო-სკილაქს კარიანდელი „ოდინიოსს“ უწოდებს, „ტაბულა პევტენგერაანა – „ადინეონს“ (იქვე, ნ. კეჭალმადის კომენტ. გვ. 66), უსახელო ავტორი – „ადინეონს“ (გეორგიკა, 2, გვ. 17). მართებული ფორმის დასადგენად თუ შინაარსის გასარკვევად ჯერჯერობით საკმარისი მასალები არ გავაჩნია. ადგილმდებარეობაზე კი ასეთი ჩვენებებია: არიანე „ადიენს“ მდ. ასკუროსსა (მდ. რიძიოსიდან 30 სტადიონზე) და ათენს შუა ასახელებს: პირველიდან 60, ხოლო მეორიდან 180 სტადიონზე (მოგზ., გვ. 36).

განსხვავებულ ჩვენებებს იძლევა V საუკუნის ანონიმი ავტორი. იგი „ადინეონს“ ასკურის-წყალსა და კორდილესს შუა მიუთითებს. პირველიდან 60, ხოლო მეორედან 100 სტადიონზე (გეორგიკა, 2, გვ. 17).

ანონიმის ასკურის-წყალი ეს იგივე არიანეს ასკუროსია, რადგან მანძილი (60 სტად.) იგივეა. წინააღმდეგობას. აქ არც ათენის მაგიერ დასახელებული კორდილე ქმნის, რადგან მანძილში რაიმე სიახლე არაა. უსახელო ავტორს ის 180 სტადიონი, რომელსაც არიანე ასახელებს, თავისებურად გაუყვია და კორდილესა და ათენს შორის არსებული მანძილის (80 სტადიონის) გათვალისწინებით ადინეონიდან კორდილემდე 100 სტადიონი გამოუყვანია. არიანეს მანძილები, რომელსაც ანონიმი მისდევს, ნაკლებ სარწმუნო და მეტწილად მცდარია. ეს ჯერ კიდევ კიპერტმა შენიშნა. უსახელო ავტორის ცნობით, ადიესონს კარგი ნავმისადგომიც ჰქონია (გეორგიკა, 2, გვ. 17).

#34#

საბუნჩილარი

ციბლადალ-დარასის შესართავში, საბუნჩილარი (თურქ. დიალექტ.) – „მესაპნეები“.

ბაიაზ-სუ

არმუდლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ბაიაზ-სუ (თურქ.) – „თეთრი წყალი“.

ბუზლი-ფინარი – ქვაბული ბაიაზ-სუს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ყარა-ალაჩლი-დადი – ბუზლი-ფინარის სამხრეთით (რუკაზეა „ყარა-აგაჩლი-დაგ“), ეს თურქული ორონიმი „თელიან მთას“ ნიშნავს (შდრ. ყარა-ალაჯა, ყარადაჯი და მისთ.).

ღომნოსი

ყარა-ალაჩლი-დაღის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ღამნოს“.

ყარა-ალაჯა-მეჰალესი

ღომნოსის დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ყარა-აგაჯა-მაგლასი“. ყარა-ალაჯა-მეჰალესი (არაბ.-თურქ.) – „თელის უბანი“.

ბიბროსი

ყარა-ალაჯა-მეჰალესის აღმოსავლეთით.

შაზი

ბიბროსის სამხრეთით.

ჩუკურლუ-ხოჯა

შაზის სამხრეთით.

ენიჯა-ქოი

ჩუკურლუ-ხოჯას სამხრეთით.

ჩაჩაქი

ენიჯა-ქოის აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ჩაჩაკ“.

უზუნ-დარა

ჩაჩაქის სამხრეთ-დასავლეთით. უზუნ-დარა (თურქ.) – „გრძელი ხევი“ (შდრ. უზუნ-ქოი (რიზეს დასავლეთით)).

ხალიჯანი

უზუნ-დარას დასავლეთით.

#35#

ჩათალ-დარა

ხალიჯანის სამხრეთ-დასავლეთით. ასეთი ჰიდრონიმები ხშირია.

ინჯა-სუ

ჩათალ-დარას სამხრეთ-აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ინჯა-სუ“, ხუთვილომეტრიანზე – „ინჯე-სუ“. „ინჯა-სუ (თურქ.) – „თავთხელი წყალი“.

არმუთლი

ბაიაზ-სუს დასავლეთით. ამ სოფელს უნდა გულისხმობდეს რიზეს მხარის ლაროსის სასოფლო ოკრუგის „არმუთლა“, რომლითაც იწყება ამ ოკრუგის სოფელთა ნუსხა (მას მოსდევს „ლიჩინოსი“ – ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 162). ხუთვერსიან რუკაზეა „არმუდლუ“.

ყარა-ალაჯა

არმუთლის სამხრეთით. ყარა-ალაჯა (თურქ.) – „შავი ხე“ (თელა).

მალ-თაფა – გორა ყარა-ალაჯას სამხრეთ-დასავლეთით. თაფა (თურქ.) – „ბორცვი“. „მალ“-ის რაობა საძიებელია. ეგვიპე სიტყვა გამოიყოფა „მალპეტშიც“, მეორე სახელით „მალპეტერიკ-ლიმანი“ (ზღვის სანაპიროზე რიზეს დასავლეთით, ალი-ფაშასა და დარა-ბაზარს შუა).

ყარა-დარა – მალ-თაფას სამხრეთით. ყარა-დარა (თურქ.) – „შავი ხევი“.

ჯაზი-დალი – მთა სექედლის აღმოსავლეთით, მუსა-დალის მახლობლად. ჯაზი-დალი (თურქ.) – „ჯადოქრის მთა“.

მუსა-დალი – მთა ჯამი-დალის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „მუსადაგ“, ხუთვილომეტრიანზე – „მუსა-დარლი“. მუსა-დალი (თურქ.) – „მუსას მთა“.

დამურ-თაფასი – მალლობი მუსა-დალის სამხრეთით. დამურ-თაფასი (თურქ.) – „რკინის ბორცვი“ (შდრ. დამურ-დალი, დამურ-კაფი და მისთ.)

ბექჩილარი

დამურ-დალის სამხრეთით. ბექჩილარი (თურქ.) – „დარაჯები“.

ველიქოი

ბექჩილარის დასავლეთით ხუთვერსიან რუკაზეა „ველიკვი“.

აყ-ფინარი – ქვაბული ველიქოის სამხრეთ-დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „აკ-პინარ“, რაც „აყ-ფინარის“ (ლიტ თურქ. აკ-ფინარი) რუსული ტრანსკრიფციაა. აყ-ფინარი (თურქ.) – „თეთრი წყარო“.

#36#

ფინდიკლი

აყ-ფინარის სამხრეთით. ფინდიკლი (თურქ.) – „თხილიანი“, „თხილნარი“.

ბეიუქ-ქოი

ფინდიკლის აღმოსავლეთით. ბეიუქ-ქოი (თურქ.) – „დიდი სოფელი“.

ტაშ-ფინარი – ქვაბული ბეიუქ-ქოისთან. ხუთვერსიან რუკაზეა „პაშა-პინარი“. ტაშ-ფინარი (თურქ.) – „ქვის წყარო“.

კალვაქოზი

ბეიუქ-ქოის სამხრეთ-დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „პალვაკოზ“.

ჩამიღ-ოქი

სექედლის აღმოსავლეთით, ზღვის სანაპიროზე; ხუთვერსიან რუკაზეა „ჩამიგოკი“.

სექედლი

ჩამიღ-ოქოს დასავლეთით, ზღვის სანაპიროზე.

ბოზუქ-ყალა

სექედლის დასავლეთით, ზღვის სანაპიროზე. ბოზუქ-ყალა (თურქ.) - „დანგრეული ციხე“.

თაგნიქი

ბოზუქ-ყალას სამხრეთ-დასავლეთით. რუკაზეა „ტაგნიკ“.

ყარა-მახმუდი

თაგნიქის დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ყარა-მახმუდ“ ყარა-მახმუდი (თურქ.) – „შავი მახმუდი“.

ხამიდიე

ყარა-მახმუდის დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „გამიღია“ ხამიდი (ხემიდი) ადამიანის საკუთარი სახელია. ხამიდიე (თურქ.) – „სახამილო“.

ხეირათი

ხამიდიეს სამხრეთით.

ტაშლიქ-თაფასი – ხამიდიეს აღმოსავლეთით. რუკაზეა „ტაშლიგინ-ტაპასი“. ტაშლიქ-თაფასი (თურქ.) – „ქვიანი ბორცვი“.

ტაშლიქი

ტაშლიქ-თაფასის დასავლეთით. ტაშლიქი (თურქ.) – „ქვიანი“.

#37#

ტაშლი-დარა – იქვე ტაშლი-დარა (თურქ.) – „ქვიანი ხევი“.

ზინჯირლი-ქოფრი

ტაშლიქის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ზინჯირლი-კეპრი“. ზინჯირ (თურქ.) – „ჯაჭვი“, ქოფრი (თურქ.) – „ხიდი“ (შდრ „ჯაჭვის ხიდი“ რიონზე, ქუთაისში).

ზავონდიქი

ზინჯირლი – ქოფრის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

სალამათი

ზავოდნიქის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „სალამატ“. სალამათუნ (არაბ.) – უშიშროება, ხსნა, უსაფრთხოება (გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 99)/

ლარუსი

სალამათის სამხრეთით. ამ სოფელს უნდა გულისხმობდეს რიზეს მხარის „ლაროს“-ი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 162).

კირკანლი

ლარუსის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „კერკანლი“.

ყიბლა-დაღი – კირკანლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „კიბლა-დაღ“.

დუმან-ყაია

ყიბლა-დაღის ჩრდილო-დასავლეთით ხუთვერსიან რუკაზეა „დუმან-ყაია“. დუმან-ყაია (თურქ.) – „ნისლიანი კლდე“.

ქირამიდ-ქოი

დუმან-ყაიას ჩრდილოეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „კირამიდ-კოი“. ქირამიდ (თურქ.) – „კრამიტი“.

მამიშ-ფაშა-ხანი

ასკი-ხანის ჩრდილო-დასავლეთით.

ასკი-ხანი

სახელწოდების პირველი ნაწილი თურქული „ესქი“-ს („მველი“) სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს თითქოს. იგივე სიტყვა გამოიყოფა სოფლის სახელშიც „ასკიჩა“ (დიქტაშის ჩრდილოეთით).

ხარუს-დაღი – მთა ასკი-ხანის აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ხარუს-დაღ“-ი, ხუთვილომეტრიანზეა – „ხაროს-დაღ“-ი.

კუმ-ხალა – ხარუს-დაღის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ბალთაშ-ბოინი – კუმ-ხალას აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ბალტაშ-ბოინი“, ხუთვილომეტრიანზე არაა აღნიშნული. ბალთა (თურქ.) – „ცული“, ბოინი (თურქ.) – „კისერი“, „ყელი“, „უღელტეხილი“.

#38#

ბალთაშ-დაღი – მთა ბალთაშ-ბოინის აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ბალტაშ-დაღ“-ი, ხუთვილომეტრიანზე – „ბალტაშ-ტეფე“.

სუდლიჯა

ტაშლი-დარას სამხრეთით, მდ. რიზეს მარჯვენა სანაპიროზე. სუდლი (თურქ.) – „რძიანი“, სუდლიჯა – „რძიანი“ (?).

ჯამი-დალი – მთა სუდლიჯას სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „დჟამი ტაგ“-ი. „ჯამი“ საგეოგრაფიო კომპოზიტებში ხშირად „მეჩეთის“ მნიშვნელობით გვხვდება („ჯამი-კარი“, „ჯამისერი“, „ჯამი-ღელე“, „ჯამიჭალა“ და მისთ.). ასევეა აქ თუ არა არ ვიცით, რადგან ქანურში ომონიმური ფლორონიმიცაა. ი. ყიფშიძეს „ჯამიშის“ ფორმით მოაქვს (ქან. მოგზ. გვ. 164). ჯამი (მაღლობი) ცალკეც გვხვდება.

ფაზარ-ქოი

ჯამი-დალის აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ბაზარ-კეი“. ფაზარ-ქოი (თურქ.) – „ბაზრის სოფელი“.

გეზათ-ქოი

ჯამი-დალის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „გეზად-კეი“.

ჯამი – მაღლობი გეზათ-ქოის აღმოსავლეთით.

ალაჯა

ჯამი-დალის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ალაჯა (თურქ.) – „ჭრელი, ფერად-ფერადი“, სხვა მნიშვნელობით. „ლაქებიანი“.

ტაშ-ქოფრი – ჯამის მთის სამხრეთ-დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ტაშ-კეპრი“. ხუთკილომეტრიანზეა – „ტაშ-კოპრი“. ტაშ-ქოფრი (თურქ.) – „ქვის ხიდი“.

ქასარჩილარი

ტაშ-ქოფრის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „კასარჩილარი“. ქასარჩილარი (დიალექტ. თურქ. ქესერჩილარისა) – „მეწაღდეები“.

კოტინუსი

ქასარჩილარის სამხრეთით.

მურადიე

კოტინუსის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „მურადია“. მურადიე (თურქ.) – „სამურადო“ (ადამიანის საკუთარი სახელისაგან).

#39#

ხანი

მურადიეს აღმოსავლეთით. ხანი (სპ.-თურქ.) – „ფუნდუკი“.

ყარა-იამიში

ხანის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხუთვერსიან რუკაზეა „კარაიმიშ“, ყარა-იამიშ (თურქ.) – „შავი ხილი“.

ათბარლიქი

ყარა-იამიშის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ატბარლიგ“.

ქუჩუქ-ჩაირხანი

ათბარლიქის აღმოსავლეთით. ქუჩუქ-ჩაირხანი (თურქ.) – „პატარა სამოვრის ფუნდუკი“.

ყარა-სუ

ქუჩუქ-ჩაირხანის სამხრეთ-დასავლეთით. რიზეს მხარის სალარხის სასოფლო ოკრუგის სოფელთა ნუსხაში მეთორმეტეა „კარაიმიშა“ (11) და „ლესტენკოს“ (13) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 161). ყარა-სუ (თურქ.) – „შავი წყალი“.

ჩაირი

ყარა-სუს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩაირი (თურქ.) – „სამოვარი“.

ხარუს-დაღი – მთა ჩაირის აღმოსავლეთით და ასკი-ხანის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ხარუს-დაგ“, ხუთკილომეტრიანზე – „ხაროს-დაგ“.

ისლამ-ფაშა

ხეირათის დასავლეთით, ზღვისპირას. საგეოგრაფიო სახელი წარმოდგება ფაშას საკუთარი სახელისაგან. ფაშების სახელს ხშირად ვხვდებით ახალ (თურქულ) ნომენკლატურაში (შდრ. ქემალ-ფაშა, ალი-ფაშა და მისთ.).

ბაღდადლი

ისლამ-ფაშას დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ბაღდადლი“. ბაღდადლი (თურქ.) – „ბაღდადიანი, „ბაღდადელი“.

ბაქმაზლი

ბაღდადლის აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ბახმაზლი“, ხუთკილომეტრიანზე – „პეკემეზლი“. ბაქმაზლი (თურქ.) – ბაქმაზიანი“ (შდრ. გურ. „პეტმეზი“)

ჩორაბჩილარი

ბაქმაზლის სამხრეთით. ჩორაბჩილარი (თურქ.) – „მეწინდები“.

#40#

ხალდოსი

რიზეს ჩრდილოეთით იხსენიება რიზეს შემოგარენის ჰუსეინ სულეიმან-ზადესეულ აღწერილობაში, რომელიც ყიფშიძეს ჩაუწერია არქაბეში 1917 წელს (ჭან. მოგზ. გვ. 160). ს. ბაქრაძეს უწერია „ხალდასი“ (დასახ. სტ.). ი. ყიფშიძეს – ხალდოსი“.

რიზეს მხარის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის რუსულ ნუსხაში ხალდოსი ერთ-ერთი სასოფლო ოკრუგის ცენტრალური სოფელია.

3. სულეიმან-ზადე ხალდოსით იწყებს ახლომახლო სოფლების ჩამოთლას (იქვე), ხალდოსის სოფელთა სიაში მერვეა „სირახოსსა“ (7) და „საჩინოს“ (9) შუა (იქვე, გვ. 161).

ხალდოსის სასოფლო ოკრუგი 13 სოფელს აერთიანებდა: გუტოსი, ენი-ქოი, კალოს ტენი, კუვაროსი, მუფტი მაჰალლე, რომანოზი, სირახოსი, ხალდოსი, ხაჩინოსი, ხუმრიქი, ჩანჯული, ჩარიხოსი და ჩონჯიკი (იქვე, გვ. 160-161).

ხალდი საგეოგრაფიო სახელად სხვაგანაც გვხვდება. მ. ვანლიშისა და ა. თანდილაშვილის ცნობით, ერთ დროს თითქოს ასევე იწოდებოდა ესქი-ტრაპიზონიც (მათი, ლაზეთი, გვ. 66, შენიშვნა 2).

თ. მიქელაძე ყურადღებას აქცევს რიზეს მხარის სოფელთა აღწერილობაში დადასტურებულ „ხალიტოს“-საც (მისი, მიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 125). იგი სალარხის ოკრუგის უკანასკნელი (22) და „ხორველის“ (21) მომდევნო სოფელია (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 161). ეს მართლაც საინტერესო ფაქტია, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ჭირს მისი მომარჯვება, რადგან „ხალიტოს“ არ არის ამ საგეოგრაფიო სახელის ერთადერთი უდავო ფორმა და მის გვერდით „ხალატოს“-იც ჩნდება (იქვე, შენიშვნა 1). მაგრამ ეს მაინც არ ქმნის აქ რაიმე მნიშვნელოვან დაბრკოლებას, რადგან დასავლეთ საქართველოში სხვაგანაც საკმაოდ დადასტურებული „ხალდი“ (სვანეთში ამ სახელწოდების სოფელია, ხოლო ლეჩხუმში სოფელიც და მდინარეც (მ. ალავეძე რაჭულ-ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელები, ქუთაისი, 1958, გვ. 153; თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 125) და ა. შ.).

რიზეს „ხალდოს“-ში საგეოგრაფიო სახელთა ბერძნული მაწარმოებელი – „ოს“ გამოიყოფა. რაც შეეხება მის ბოლოკიდურ „დ“-ონს სუფიქსად (მრავლობითის მაწარმოებელი) ვარაუდობენ (ნ. მარი, ტერმინი „სკვითი“, რჩ. შრომები, ტ. V, 1935, გვ. 29 (რუს. ენაზე); ა. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. მეცნ. აკად მოამბე, II, № 3, 1941, გვ. 761-763; თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 125).

#41#

ამ მეტად საინტერესო საგეოგრაფიო სახელს ჯერ კიდევ სერიოზული კვლევა ჭირდება.

ხურტოსი

ხალდოსის სასოფლო ოკრუგის სოფელთა ნუსხაში პირველია „კუვაროსის“ (2) წინ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160). 3. სულეიმან-ზადეს აღწერილობაში მე-16-ეა (და უკანასკნელი) „ქამაშინოს“ შემდეგ (იქვე).

ოფიციალურ რუსულ მასალაშია „გურტოს“. ი. ყიფშიძის ინფორმატორის ჩვენებით კი – „ხურტოს“ (იქვე).

ენი-ქოი

ხალდოსის სასოფლო ოკრუგის სოფელთა სიაში მეორეა „ხურტოსსა“ და „კალოსტენს“ (3) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160), იხსენიება ჰ. სულეიმან-ზადეს აღწერილობაშიც (იქვე). რა ერქვა ამ „ახალ სოფელს“ (თურქ. ენი-ქოი) ადრე, საძიებელია.

კალოსტენი

ხალდოსის სასოფლო ოკრუგის სოფელთა ნუსხაში მესამეა „ენი-ქოისა“ (2) და „კუვაროსს“ (4) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160). ჰ. სულეიმან-ზადეს რიზეს შემოგარენის სოფელთა აღწერილობაში არ იხსენიება, მაგრამ ესეც რომ ქალაქს ეკვრის კარგად ჩანს, იმ შენიშვნიდანაც რომელიც გვერდზე უწერია („часть гор“ – იქვე).

კუვაროსი

ხალდოსის სასოფლო ოკრუგის სოფელთა სიაში მეოთხეა „კალოსტენსა“ (3) და „მუფტს“ (5) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160). იხსენიება ჰ. სულეიმან-ზადეს რიზეს შემოგარენის აღწერილობაშიც (იქვე). ქალაქის ახლოს რომ არის, ეს რუსულ მასალაშიცაა მითითებული (იქვე).

ასეთივე სახელწოდების პუნქტი არკოტილის სასოფლო ოკრუგშიც (7), არის დადასტურებული (იქვე, გვ. 161).

მუფტი მაჰალლე

რიზეს მიდამოების ჰ. სულეიმან-ზადესეულ აღწერილობაში მესამეა „კუვაროსსა“ (2) და „ხაჩანუს“ (4) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160), ხალდოსის სასოფლო ოკრუგის ნუსხაში კი მეხუთეა „კუვაროსსა“ (4) და „რომანოზ ხუმრიკს“ (6) შორის (იქვე, გვ. 160-161).

#42#

პირველი მასალა სახელწოდებას „მუფტი-ქოი“-ს ფორმით გვაწვდის, ხოლო მეორე – მხოლოდ „მუფტი“-ს ან „მუფტი მეელისის“ გვთავაზობს (იქვე, გვ. 160). „მეელისი“ არაბ.-თურქ. მაჰალლეს („უბანი“) დამახინჯებული ფორმაა და აქ უპირატესობაც ამ ცნობას („უბანს“) უნდა მიეცეს, რადგან „მუფთი“ (არაბ.) პირი, რომელიც იძლევა დასკვნას იურიდიული კაზუსის გამო (გ. წერეთელი, დას. ნაშრ. გვ. 180) ჩვეულებრივ ქალაქის ერთ-ერთ უბანში იჯდა ხოლმე (შდრ. „მუფტიეს“ უბანი ბათუმში).

რომანოზი

ხალდოსის სასოფლო ოკრუგის ნუსხაში მეექვსეა „მუფტისა“ (5) და „სირახოსს“ (7) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160-161), ხოლო ჰ. სულეიმან-ზადესეულ აღწერილობაში მე-12-ეა „ფინდოსსა“ (11) და „იქსენიტს“ (13) შორის (იქვე, გვ. 160). უკანასკნელში ცალკეა დასახელებული (იქვე, გვ. 160), ხოლო პირველში „ხუმრიკთანაა“ გაერთიანებული (იქვე, გვ. 161).

სახელწოდება ეკლესიის სახელისაგან (წმ. რომანოზი) უნდა წარმოდგებოდეს.

სიხაროსი

ხალდოსის სასოფლო ოკრუგის სოფელთა სიაში მე-7-ეა „რომანოზ-ხუმრიკსა“ (6) და „ხალდოსს“ (8) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 161). ჰ. სულეიმან-ზადე არ იხსენიებს.

ხაჩანუსი

რიზის შემოგარენის ჰ. სულეიმან-ზადესეულ აღწერილობაში მე-4-ეა „მუფტი-ქოისა“ (3) და „ფაფიქს“ (5) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 160), ხალდოსის სასოფლო ოკრუგის ნუსხაში მეცხრეა „ხალდოსსა“ (8) და „ხუმრიკს“ (10) შორის (იქვე, გვ. 161).

ჰ. სულეიმან-ზადესთან „ხაჩანუს“-ია (იქვე, გვ. 160), ხოლო რუსულ სიაში „ხაჩინოს“ (იქვე, გვ. 161).

ხუმრიქი

ხალდოსის სასოფლო ოკრუგის სოფელთა სიაში მეათეა „ხაჩინოსსა“ (9) და „ჩანჯულს“ (11) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 161). ჰ. სულეიმან-ზადეს აღწერილობაში არ იხსენიება. აქ ეს ტოპონიმი ორგზის გვხვდება: პირველად რომანოზთან ერთიანობაში (6), ხოლო მეორეჯერ – ცალკე. რუსულ სიაშია „ხუმრიკ“ (იქვე, გვ. 161 და სხვა), ი. რაჭველს „ხუმბრუკ“-ოს ფორმით მოაქვს, (მისი, დასახ. სტატია, გვ. 11) და ა. შ.

„ხუმრიკ“ ხუმრიქ-ის რუსული ტრანსკრიპცია.

ჩარიხოსი

ხალდოსის სასოფლო ოკრუგის სოფელთა ნუსხაში მე-12-ეა „ჩანჯულსა“ (11) და „ჩონჯიკს“ (13) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 161). ჰ. სულეიმან-ზადე არ იხსენიებს.

#43#

ჩანჯული

ჰ. სულეიმან-ზადე არ იხსენიებს, ხოლო ხალდოსის სასოფლო ოკრუგის ნუსხაში მე-11-ეა „ხუმრიკსა“ (10) და „ჩარიხოსს“ (12) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 160).

ჩონჯიკი

ხალდოსის სასოფლო ოკრუგის სოფელთა სიაში მე-13-ეა „ჩარიხოსის“ (12) შემდეგ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 160), სულეიმან-ზადე არ იხსენიებს.

ფაფიქი

ჰ. სულეიმან-ზადესეულ აღწერილობაში მეხუთეა „ხაჩანუსსა“ (4) და „ენიქოის“ (6) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 160). რიზეს მხარის სოფელთა რუსულ ნუსხაში არ იხსენიება.

ფაშა-იანი

3. სულეიმან-ზადეს აღწერილობაში მე-7-ეა „ენი-ქოისა“ (6) და „ვონითს“ (8) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160), რიზეს მხარის რუსულ სიაში არ იხსენიება.

ვონითი

რიზის მხარის სოფელთა აღწერილობაში არ იხსენიება, 3. სულეიმან-ზადესთან კი მერვეა „ფაშა-იანსა“ (7) და „კალეს“ (9) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160).

კალე

3. სულეიმან-ზადესთან მე-9-ეა „ვონითსა“ (8) და „ემეთილს“ (10) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160), რიზეს მხარის სოფელთა ნუსხაში არ იხსენიება.

ფინდოსი

3. სულეიმან-ზადესთან მე-11-ეა „ემეთილსა“ (10) და „რომანოზს“ (12) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ., გვ. 160), რიზეს მხარის სოფელთა სიაში არ იხსენიება.

იქსენითი

რიზის მხარის სოფელთა აღწერილობაში არ იხსენიება, 3. სულეიმან-ზადესთან მე-13-ეა „რომანოზსა“ (12) და „როშიის“ (14) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160).

#44#

როშიითი

3. სულეიმან-ზადესთან მე-14-ეა „იქსენიტსა“ (13) და „ქამაშინოს“ (15) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160). რიზეს მხარის სოფელთა ნუსხაში არ იხსენიება.

ქამაშინოსი

რიზის მხარის სოფელთა სიაში არ იხსენიება, 3. სულეიმან-ზადესთან მე-15-ეა „როშიისა“ (14) და „ხურტოს“ (16) შორის (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160). საგეოგრაფიო სახელი ფუძით იმეორებს აჭარულ გვარსახელს „ქამაშიძე“.

რიზე-წარი – ასე უწოდებენ ჭანები რიზეს აღმოსავლეთით მომდინარე წყალს (ხ. სარდარიში-კამბურიში). ხუთვერსიან რუკაზე სახელწოდება არ აწერია, ასევე ათკილომეტრიანზეც. ამ მდინარის სახელს არც ვახუშტი მოიხსენიებს, მის მიმდინარეობას კი აგვიწერს: „გამომდინარე ჭანეთის მთისა... და მომდინარე ჩრდილოთ კერძოდ“ (აღწერა, გვ. 142).

საქართველოს საისტორიო რუკაზეა (1923) „რიზეს წყალი“.

ბერძნულ წყაროებშია „რიძიოს“ (არიანე, ანონიმი გეოგრაფი V საუკუნისა). ამ ჰიდრონიმის უძველესი ფორმა უნდა იყოს „რიზან“ (ამის კვალი „რიზას“ („რიზეს“ ვარიანტული ფორმა) შემოუნახავს). იმ დროს, როცა ეს სახელწოდება ჩნდება, ზანები ჯერ კიდევ პონტოს მთიანეთში სხედან. არიანეს „ჭანიკე“-ს (თიანივეს) ჩრდილოეთი მიჯნებიც სწორედ რიზანის და მისი დასავლეთით მიმდინარე კალოსისა და ოფის ზემო წელზე

ივარაუდება (არიანე, მოგზ. გვ. 36). მდინარის სახელი შემდეგ მის დასავლეთით მდებარე პუნქტზე გავრცელდა (მდრ. ბათუსი, ფაზისი და მისთ.). არიანეს ცნობით, მდ. რიზოსი მდ. კალოსსა და ასკუროსს შუა მოედინება. პირველიდან ის 120 სტადიონით ყოფილა თითქოს დამორებული, ხოლო მეორისაგან – 130-ით (იქვე). ასკუროს-ასკურაზე უკვე ითქვა ზემოთ, კალოსი კი ეს რიზეს დასავლეთით მომდინარე ახლანდელი კალოს-პოტამოს-დერეა.

ამასვე იმეორებს V საუკუნის ბერძენი ანონიმიც (გეორგიკა. 2. გვ. 17).

რიზესწყლის ხეობა უძველესი დროიდან ჭოროხის ხეობის ზემო წელისა და ზღვისპირეთის დამაკავშირებელი თვალსაჩინო არტერია იყო და ასეა დღესაც. ამ ხეობაში მიემართება გზა ისპირისაკენ (ჯიმილსა და ხემშინზე გავლით).

კონსული პალგრევი ამ ხეობას „ამიროს“-ის სახელით იხსენიებს (გვ. 74, 76). მისივე ცნობით ეს მდინარე ყველაზე დიდია ათინასა და რიზეს შორის (გვ. 74).

#45#

ამ ხეობაშია:

ხარველი

მდ. რიზეს მარჯვენა სანაპიროზე, ქვემო წელზე (ი. ჯავახიშვილის საქართველოს საისტორიო რუკა). ამავე პუნქტს უნდა გულისხმობდეს რიზეს მხარის სოფელთა სიის „ხორველი“, რომელიც სალახის სასოფლო გაერთიანებაში 21-ეა „ფოსასა“ და „ხალიტოს“-ის (22) გარემოცვაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 161).

რუსპა

ხარველის აღმოსავლეთით, მდ. რიზეს მარჯვენა სანაპიროზე (ი. ჯავახიშვილის რუკა). რიზეს მხარის სოფელთა სიაშია „ურუსპა“. იმავე სალახის ადმინისტრაციულ ერთეულში ეს სოფელი მე-18-ეა „სინგესსა“ (17) და „ვატლას“ (19) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 161).

ხონა

ხარველის პირდაპირ, მდ. რიზეს მარცხენა სანაპიროზე (ი. ჯავახიშვილის რუკა).

ანდონი

რიზის მხარის სოფელთა სიაში სალარხის სასოფლო ოკრუგშია მითითებული. იხსენიება „ამბარლუკ“-სა (1) და „არონ“-ის (3) გარემოცვაში (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 161). სიაშია „ანდონ“ პალგრევის ანგარიშში – „ანტონ“ (გვ. 76).

ტამ-იოქუში – ადგილი სოფელ ანდონის ზემოთ (პალგრევი, დასახ. ანგარიში, იქვე). „ტამ-იოქუში“, პალგრევის განმარტებით, „კლდოვანი აღმართია“ (იქვე). სიტყვასიტყვით ეს კომპოზიტი „ქვა-აღმართს“ ნიშნავს. დადასტურებული გვაქვს „ტამ-იოხუმ“-ის ფორმითაც (ხ. სარდარიშ-კამბურიში), „იოხუმ“ დიალექტიზმია.

ტამ-ქოფრი – „ტამ-იოხუმ“-ის მიდამოებშია (ხ. სარდარიშ-კამბურიში). ქვის ხიდები ჭანეთში ხშირია. მოსახლეობა მათ, როგორც მოგზაურები შენიშნავენ, ქართულ ხიდებს

უწოდებს (იამე, დასახ. სტატია, გვ. 3). ხშირად ასეც იყოს შეიძლება, მაგრამ არც იმისი დავიწყებაა მართებული, რომ ამგვარ ხიდებს აქ სხვებიც (მაგ. რომაელები) აგებდნენ. ოსმალებმა ტრადიცია უარყვეს და კრამიტით დახურული ხის ხიდები შემოიტანეს (იქვე).

რიზე

გაშენებულია ზღვის სანაპიროზე ნაწილი ვაკეა, ხოლო ნაწილი – ზეგანი.

რიზე წყაროებში მრავალი ფორმით იხსენიება: „რიძუს“ თუ „რიზუს“ (პტოლომე),

#46#

„რიზაიონ“ (პრ. კესარიელი), აგათია მირინელი, „რიზონი“ (უსახელო სომხური გეოგრაფია) „რვზონ“, „რიზონ“ (ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა), „რელია“ (ტაბულა პეეტენგერიანა) და სხვაი.

სახელწოდების უმველესი მოხსენიება ჯერჯერობით არიანესთანაა და ისიც მხოლოდ მდინარისა. ამ დროს, რომ ომონიმური პუნქტიც უნდა არსებობდეს, ამას მოწმობს პტოლომე, რომელიც ცოტა მოგვიანებით ასახელებს მას.

პრ. კესარიელი რიზეს „სოფელს“ უწოდებს (გეორგიკა, 2, გვ. 219), სომხური გეოგრაფიით კი „ქალაქია“ (რიზე აქ „კოლხეთის“ ხუთ უმთავრეს ქალაქთა (ფაზისი, ზიგანეონი, როდიუპოლისი, ათინა, რიზონ) შორის იხსენიება.

ადრეფეოდალურ ხანაში რიზე ტრაპეზუნტის ქვეყანაში ერთიანდებოდა. პრ. კესარიელის მოწმობით, ეს ქვეყანა „დაბა სურმენემდე და ეგრეთ წოდებულ რიზამდე“ ვრცელდებოდა (გეორგიკა, 2, გვ. 221).

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბიზანტიის პოლიტიკური აქტიურობის პერიოდში, რაც თვალსაჩინოდ ცხოველდება იუსტინიანე კეისრის დროს, რიზეს განსაკუთრებული ფასი ედება და ზღუდითაც ამაგრებენ.

მაღე რიზეს საეპისკოპოსო კათედრაც დაარსდა, ხოლო მოგვიანებით საეპარქიო ცენტრადაც იქცა (გეორგიკა, IV, 2, გვ. 192).

IV საუკუნის დამდეგს რიზეს აწამეს და იქვე დაკრძალეს რომის იმპერიის ოქროს სარტყლიანი მხედარი და „ქრისტეს მოღვაწე“ ორენტიოსი. „უწყალონი და უკდემნი იგი მკლველნი მესეულად შეუდგეს წურთილსა საქმესა და ლოდი დამოჰკიდეს ორიენტიოსს ქედსა და პლატაკით ზღუად შთააგდეს წმინდად“, მაგრამ ზეციურმა სასწაულმა, რაც აგრე დამახასიათებელია აგიოგრაფიისათვის, ორენტიოსი „მართლად მავალი ღელვათა ზედა, ცოცხალი მისცა... ჳმელსა... სადა იგი, ქედსა თვსსა დამოკიდებულისა ლოდისა დამამყარებელმან და შესატყვსთა ღმრთისა მმადლობელმან, სიწყნარით მისცა სული ჳელთა მძღუანველისა ამის ანგელოზისათა, შემდგომად ორ ღლეთა ძმისა მისისა ეროტოსს აღსრულებისა“ (ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა, კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 321.).

1547 წელს რიზე ოსმალებმა დაიპყრეს. მხარის აღწერისა და ოსმალური ადმინისტრაციის შემოღებისას რიზე კაზის ცენტრი გახდა. 1554 წელს, როცა ეს მოხდა, რიზეს კაზა 21 სოფელსა და 2923 სახლს (კომლს) აერთიანებდა 4569 მოსახლით – 3617 ქრისტიანი, 316 მუსლიმი (მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 84, შენიშვნა, 148).

#47#

ქანეთის 1554 წლის დავთარშივე აღწერილია რიზეს მირლივას ხასიც – 8 სოფელი, 35 უბანი და 2225 სახლი. შემოსავალი – 192481 ახჩა (იქვე).

მოგვიანებით რიზე სანჯაყად იქცა.

1872 წლის ჩვენებით, რიზეს ადმინისტრაციული ერთეული 89 სოფელს შეიცავდა 6321 კომლით (მათ შორის 81 ბერძნული იყო) და 39321 მცხოვრებით. თვით ქალაქი კი ითვლიდა 1170 სახლს, საბაზრო მოედანი – 400 დუქანს. აქვე იყო შვიდი მეჩეთი, ორი ბერძნული ეკლესია, ორი აბანო, საბაჟო, სატელეფონო სადგური. სანაოსნოს ოსმალური სააგენტო და სხვა დაწესებულებანი (ჯ. პალგრევის ანგარიში, გვ. 74).

ამჟამად რიზე ვილაეთის ცენტრია. რიზეს ვილაეთში ერთიანდება მთელი აღმოსავლეთი ქანეთი მელენი სარფიდან მოკიდებული.

თაფა

რიზეს მიდამოებში მდებარე ამ „გადმოშვერილ ბორცვზე“ გამაგრდნენ 556 წლის აჯანყებისას ქანები და „შუბები და ისრები დაუშინეს რომაელებს ზემოდან“ (გეორგიკა, III, გვ. 183). ზემოდანიშნულმა გარემოებამ ძლიერ შეაძრწუნა ბრძოლაში ნაცადი მტერი, მაგრამ ის მაინც არ შედრკა: „ბევრი რომაელი ამოვიდა თხრილიდან და გაშმაგებით ეცა მოწინააღმდეგეს“ (იქვე), რომაელებმა დაკარგეს ორ ათეულამდე მეომარი, ხოლო სხვები სამარცხვინო ოტებით გადაურჩნენ სიკვდილს (იქვე). ამ წარმატებით გახალისებულმა აჯანყებულებმა დატოვეს ბორცვი და ველზე დაემშენენ, სადაც რომაელები იყვნენ დაბანაკებულნი. შეიქნა თავგანწირული ბრძოლა. ქანები რომაელების ბანაკში შეჭრას და მტრის ამოწყვეტას ესწრაფვოდნენ, უმიზნოდ არც რომაელები იყვნენ და ამიტომაც ბრძოლა ორივე მხრიდან შეუპოვარი იყო. მაგრამ თვისტომთა დასათრგუნავად ლაზეთიდან გამოგზავნილმა სარდალმა თეოდორე ქანმა იმარჯვა: რომაელთა ლაშქრის ერთი ნაწილი მოხერხებულად გაიყვანა ბანაკიდან და მოულოდნელად ზურგიდან დასცა აჯანყებულებს. ხერხმა გაჭრა, ქანთა ჯარი პანიკამ მოიცვა და მტერმაც მიზანს მიაღწია. აჯანყებულთა დანაკარგს აგათია მირინელი ორი ათასი კაციტ განსაზღვრავს, სხვები კი გაფანტულან (იქვე, გვ. 184).

ეგივე აქტი გამხდარა საფუძვლად ქანთა საბოლოო დამორჩილებისა და დახარკვისა, რომელსაც ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოდორე ქანის მოხერხებასა და მამაცობას უმადლის (იქვე, გვ. 185). თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქანთა დამორჩილებას კონსტანტინეპოლში, ამას ადასტურებს იუსტინიანე კეისრის ერთი კანონთაგანი, რომელშიც ქანეთში მოპოვებული გამარჯვებაც არის აღნიშნული (იქვე).

#48#

თეოდორე ქანისთანა კონდოტიერები ჩვენს ისტორიაში, სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათად გვხვდებიან. ეს გარემოება მუდამ ჯეროვან სიფხიზლეს მოითხოვს, რადგან ისინი მხოლოდ წარსულის უწყინარ ბინადრებად როდი გრძნობენ თავს.

ემეთილი

რიზეს ერთ-ერთი უბანია (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 160).

„ემეტი“-ი ერთ-ერთი კაზი-ს სახელია „კიუტანქოდს“ ვილაიეთში.

აკრა-მეგალე

ასე იწოდება რიზეს კონცხი სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკაში“, რომელიც VI საუკუნის მეორე ოცწლეულში უნდა იყოს შედგენილი.

აკრა-მეგალე (ბერძნ.) – დიდი კონცხი (გეორგიკა, III, გვ. 283).

ეს კონცხი ქალაქის დასავლეთით მდებარეობს.

კალე – „ქალაქის უძველეს ბორცვებზე მოსჩანან კვიპაროსები და მარჯვნივ ყველაზე მაღლა ადგილობრივი ცხოვრების ერთგული მოწმეა კედელჩამონგრეული ციხე“ – შენიშნავს ვინმე „იამე“ წერილში „ბათომიდან ტრაპიზონამდე“, რომელიც 1916 წელს დაბეჭდა „დროებამ“ (№ 603, გვ. 3). მასვე განუზრახავს ციხის დათვალიერება, მაგრამ გზა დაბნევიდა და უკან დაბრუნებულა.

რიზეს ციხე და მის მცველთა შორის გამორჩეული ჰასანი იხსენიება 1700 წლის ერთ ოსმალურ ფირმანში, (ოსმალური დოკუმენტური წყაროები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ (XVI-XVIII სს), ოსმალური ტექსტი დაადგინა, თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და ფაქსიმილები დაურთო ნ. შენგელიამ, 1979. გავეცანით ნ. შენგელიას თავაზიანი ნებართვით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

არ ვიცი, ძველი ციხე (პანური, ბიზანტიური) გამოიყენეს ოსმალებმა თუ ახალი ააგეს.

„ბიზანტიური კედლებისა და კოშკების ნანგრევებს „იხსენიებს“ ჯ. პალგრევი 1872 წლის ანგარიშში (გვ. 74).

დაგირმან-დარა – ხუთვერსიან რუკაზეა „დაკირმან-დარა“. დაგირ-მან-დარა (თურქ.) – „წისქვილის ხევი“.

გელგელი

დაგირმან-დარას სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „გელგალი“, ხუთვილომეტრიანზე – „გელგელ“.

რომანოზი

გელგელის აღმოსავლეთით, რიზეს მხარის სოფელთა ნუსხაში ხალდოსის ოკრუგის #49#

მეექვსე სოფელია ხუმრიქთან გაერთიანებული (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 161). ხუთვერსიან რუკაზეა „რამინოს“ სოფელთა სიაში – „რომანოს“.

კავალლი

რომანოზის სამხრეთით. **კავალლი** – ალვის ხეები. ამ ფლოროსიმისაგან ნაწარმოები ადგილთა სახელები საკმაოდ ხშირია ჭანეთის გვიანდელ ტოპონიმიაში („კავაკდობი“

ტოპონიმი სოფ. სოველში (ჩვენი, ჭანეთი., I, გვ. 50), „კავალდიბი“ – ადგილი ორთახოფაში (იქვე, გვ. 63) და მისთ.)

თიგლაჯი-ქოი

კავალდის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ტიგლაჯი-კეი“.

სოლუქ-ჩემმა

თიგლაჯი-ქოის დასავლეთით ხუთვერსიან რუკაზეა „სოგიკ-ჩემმა“. სოლუქ (თურქ.) – „ცივი“, ჩემმა (სპ.) – „წყარო“ (ჩემმა ცალკეც გვხვდება).

სანბურ-ხარტი

სოლუქ-ჩემმას სამხრეთით.

კუსა

ხანბურ-ხარტის აღმოსავლეთით.

სალარხა

კუსას სამხრეთით რიზეს მხარის სოფელთა სიაში სასოფლო ოკრუგის ცენტრია, ცალკე სოფლად არ იხსენიება. სალარხის ოკრუგი 22 სოფელს აერთიანებდა: ამბარლუქი, ანდონი, არონი, აფიანოსი, აქინლესი, დერეხაში-ლიმბოსი, ივეროსი, კანდევა, კაპნესი, ყარამიში, ყარა-სუ, ლესტენკოსი, ლიკოსი, მაგალოს, სარანდიკოსი, სინგერი, ურუსპა, ფატლა, ფოსა, ხორველი, ხალიტოსი (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 161).

იალი-ტაში

სალარხის დასავლეთით ხუთვერსიან რუკაზეა „პახლევან-ტაში“. ფახლევან (სპ.) – „ფალავანი“, ტაში (თურქ) – „ქვა“.

ქოთლი

ფეხლევან-ტაშის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „კოტლა“.

კირკლარ-თაფასი

ქოთლის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „კირკლარ-ტაპასი“ („ორმოცთა მთა, #50# ბორცვი“). ასევე იწოდება მთა ჭანეთის ქედზეც ხალდიზენ-დალლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

აღგეზი

კირკლარ-თაფასის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხუთვერსიან რუკაზეა „ახგეს“. ამ სოფელს უნდა გულისხმობდეს თითქოს რიზეს მხარის სოფელთა ნუსხის „ახინგესი“

(სალარხის ოკრუგის მეხუთე სოფელი, ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 161) ალგეზ (თურქ.) – „თეთრი თვალი“.

ქემურჩილარი

ალგეზის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხუთვერსიან რუკაზეა „ქემურჩილარ“.
ქემურჩილარ (თურქ.) – „მენახშირეები“.

იალლი-ტაში

ქემურ-ჩილარის სამხრეთ-დასავლეთით. იაღი თურქულში მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება: ზეთი, ცხიმი... (იაღლი – ზეთიანი, ცხიმიანი და მისთ.).

ჩარან-ყაია – ქედი იაღლი-ტაშის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ქენარ-ქოი

რიზეს დასავლეთით, ზღვისპირას. ხუთვერსიან რუკაზეა „კანეარ-კეი“. ქენარ-ქოი (თურქ.) – „სანაპირო სოფელი“.

ჩიფთა-კავალი

ქენარის დასავლეთით, ზღვისპირას. ხუთვერსიან რუკაზეა „ჩიფთა-კავაკ“, ხუთკილომეტრიანზე – „ჩიფტე-კავაკ“. ჩიფთა-კავალი (თურქ.) – „წყვილი ალვის ხე“.

რაშოდია

ჩიფთა-კავალის დასავლეთით. ამ სოფელს უნდა გულისხმობდეს რიზეს მხარის სოფელთა სიის „რაშოტა“. იგი აქ „ხამალიოსის“ სასოფლო გაერთიანების მეორე სოფელია „ხამალიოსსა“ (1) და „კალამოსს“ (3) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 161).

ხამალიოსი.

რიზეს მხარის ერთი სასოფლო ოკრუგის ცენტრი. ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნული არ არის, მაგრამ რადგან ხამალიოსის სასოფლო ოკრუგში შემავალი „რაშოტას“ ადგილმდებარეობა გაირკვა (ჩიფთა-კავალის დასავლეთით), ხამალიოსი (და მიმდებარე სოფლებიც) მის ახლომახლოა საგულვებელი. ამ ადმინისტრაციულ ერთეულში #51#

„ხამალიოსისა“ და „რაშოტა“ გარდა, ერთიანდებოდა: „კალამოსი“, „ჩიკარანი“ და „ათიანოსი“ (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 161).

ათიანოსი

ათიანოსი ხამალიოსის სასოფლო ოკრუგის მეხუთე სოფელია (იქვე). ამავე სახელწოდების სოფელია სალარხის მიდამოებშიც (იქვე).

კავალი

ჩიფთი-კავალის დასავლეთით, ზღვისპირას. კავალ (თურქ.) – „ალვის ხე“.

ალი-ფაშა

კავალის დასავლეთით, ზღვისპირას. ფაშას პატივსაცემად შერქმეული სახელია. ძველს, ჯერჯერობით, ვერ მივაკვლიეთ.

მარმარ-კელენი

ალი-ფაშას აღმოსავლეთით. „მარმარ“, „მერმერ“-ის (თურქ. „მარმარილო“) დიალექტური ფორმა უნდა იყოს, ხოლო „კელენის“ რაობა საძიებელია.

უზუნ-ქოი

მარმარ-კელენის დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ოზუნ-კეი“. უზუნ-ქოი (თურქ.) – „გრძელი სოფელი“ (შდრ. უზუნდარა და მისთ.).

ქილარი

უზუნ-ქოის აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „კილაროს“. ქილარი (თურქ.) – „საკუჭნაო“.

სახორი

ქილარის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხუთვერსიან რუკის გარდა, ი. ჯავახიშვილის საისტორიო რუკაზეც არის აღნიშნული სოფელ ხოწას მახლობლად.

ომა

სახორის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ი. ჯავახიშვილის საისტორიო რუკა).

ონჯევანი

მდ. „კალაპოტამის“ მარჯვენა სანაპიროზე, ომას დასავლეთით (იგივე რუკა). #52#

ხანზირი

ონჯევანის ჩრდილო-დასავლეთით, რიზე-ოფის გზაზე (იგივე რუკა).

ბილდიჩირი

სახორის დასავლეთით. ბილდიჩირ (თურქ.) – „მწყერი“.

არაკლი-ხოჯა

ბილდიჩირის სამხრეთით.

ორდი-ბაზარი

არაკლი-ხოჯას სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ორტი-ბაზარი“. ორდი (თურქ.) – „ჯარი“, ბაზარი (სპ.) – „ბაზარი“.

ორდი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში სხვაგანაც (ბარცხანა) გვხვდება (იხსენიება 1748 წლის თაფუში „ორდიდუზის“). დუზ (თურქ.) – „ვაკე“ ფორმით (ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა მფლობელობის პერიოდში, 1948, გვ. 60).

აიაქა-თაფასი – მთა ორდი-ბაზარის აღმოსავლეთით აიაქა (თურქ.) – „ფეხი“, თაფასი (თურქ.) – „მთა, ბორცვი“.

ქეჩიოლი

აიაქა-თაფასის სამხრეთ-დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „კეჩი-ოლი“. ქეჩი ოლი (თურქ.) – „ბილიკი“, „თხის ბილიკი“.

კალუტორუსი

ქეჩიოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ყიზილ-თოფრალი

კალუტორუსის სამხრეთ-დასავლეთით. მდ. ყარა-დერას მარჯვენა სანაპიროზე ხუთვერსიან რუკაზეა „ყიზილ-ტოპრაკი“. ყიზილ-თოფრალი (თურქ.) – „წითელი მიწა“. ამავე სახელით იწოდებოდა გონიის მხარის „ახალი სოფელი“.

ჩაირლი

ყიზილ-თოფრალის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მდ. ყარა-დერეს მარჯვენა სანაპიროზე. ჩაირლი (თურქ.) – „სათიბიანი, სამოვრიანი“.

მალპეთი

კავადის დასავლეთით, ზღვისპირას. ქართულ პერიოდიკაშია „მალპეთი“ („სახალხო ფურცელი“, 1916, № 604, გვ. 3), ხუთვერსიან რუკაზე – „მალპეტერიკ-ლიმანი“.

დარა-ბაზარი

მალპეთის დასავლეთით ხუთვერსიან რუკაზეა „დარა-ბაზარი“. დარა-ბაზარ (თურქ.-სპ.) – „ხევის ბაზარი“.

#53#

მაგალოსი

დარა-ბაზარის დასავლეთით. რიზეს მხარის სასოფლო ოკრუგის სოფელთა ნუსხაში მეთხუთმეტეა „ლიკოსსა“ (14) და „სარანდიკოსს“ (16) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ. 161). ხუთვერსიან რუკაზეა „მაგანოს“, სიაში – „მაგალოს“. მაგალოს (ბერძ.) – „დიდი“.

თარსანა

მაგალოსის დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ტარსანა“.

სარაი-ქოი

თარსანას დასავლეთით, ზღვისპირას. სარაი-ქოი (სპ.-თურქ.) – „სასახლის სოფელი“ (შდრ. ბახჩისარაი ყირიმში და მისთ.).

იალი-ქოი

სარაი-ქოის დასავლეთით. იალი (თურქ.) – „ზღვის (მდინარის) ნაპირი“.

ფათხია

იალი-ქოის დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ფატხია“.

სანიქ-ტაში

იალი-ქოის აღმოსავლეთით.

ბახაიდინ-ფაშა

სანიქ-ტაშის აღმოსავლეთით. „ბახაიდინ“ სახენაცვალი ფორმაა ადამიანის საკუთარი სახელისა „ბაჰა ად-დინ“.

ქოჩ-ტაში

ბახაიდინ-ფაშას დასავლეთით და ფათხიას აღმოსავლეთით. ქოჩ-ტაში (თურქ.) – „ყოჩის ქვა“.

სარი იერი

ქოჩ-ტაშის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „სარი-იარ“. სარი (თურქ.) – „ყვითელი“, იერი (თურქ.) – „ადგილი“. (შდრ. სარიჩაირი მდ. სხალთის სათავეებში).

ჩეშმა

სარი-იერის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩეშმა (სპ.) – „წყარო“ (შდრ. სოლუქ-ჩეშმა).
ყარა-დარა – მდ. კალოპოტამოს-დერეს მარჯვენა შენაკადი (ერთვის კაბაქ-ქოის ზემოთ). ამ მდინარის მარცხენა სანაპიროზეა ამავე სახელის სოფელიც.

ყარა-დარა

საირლის დასავლეთით. ამ სოფელს უნდა გულისხმობდეს რიზეს ლაროსის სასოფლო #54#

ოკრუგის „გოგორ-კარა-დერე“. ოკრუგის სოფელთა სიაში მესამე „ლიჩინოსსა“ (2) და „გოგორ-ხავლს“ (4) შუა (ი. ყიფშიძე, ჭან. მოგზ. გვ 162). ყარა-დარა (თურქ.) – „შავი ხევი“.

ელ-ბაში – მთა ყარა-დარას სამხრეთ-აღმოსავლეთით.

დაღ-ალთი

ელ-ბაშის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ტაგ-ალტი“. დაღალთი (თურქ.) – „მთის ქვემოთ“.

იაილა-ჩილარი

ქოჩ-ტაშის სამხრეთით, ზღვისპირა ზოლში.

კალაში (კალოსპოტამოსი - კალოპოტამოს) – დიდი მდინარეა. ერთვის ზღვას ფათხიას სამხრეთ-დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „კალოპოტამოს-დერე“, დ. ჩუბინაშვილს „კოლოპოტამო“ უწერია (მისი, ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადუკიის ანუ ჭანეთისა მკვიდრთა მოსახლეთა, „ივერია“, № 15, 1877, გვ. 8, 10). ი. ჯავახიშვილის საქართველოს საისტორიო რუკაზეა „კალაპოტამი“.

დ. ჩუბინაშვილი ამ მდინარის ძველ სახელად „ფსიხრონს“ მიიჩნევდა (მისი, დასახ. ნაშრ. გვ. 8, 10). რას ემყარებოდა მკვლევარი, არ ჩანს. ძველ ბერძნულ წყაროებში ეს ჰიდრონიმი რამდენადმე განსხვავებულადაც („ფსიქროს“) გვხვდება და სხვა მდინარესაც („კალოს“-ის სამხრეთ-დასავლეთით ჩამომდინარეს) მიემართება.

არიანე „კალოს“-ს ფსიქროსიდან 30 სტადიონზე ასახელებს აღმოსავლეთით (მოგზ. გვ. 36). ასევე იქცევა V საუკუნის ანონიმიც (გეორგიკა, 2, გვ. 17).

შავი ზღვის სანაპიროზე ასეთი სახელწოდება სხვაგანაცაა დადასტურებული: კალოსი ერქვა, მაგალითად, ნავსადგურს ტავრიდის ქერონესის ჩრდილოეთით (არიანე, მოგზ. გვ. 54). ვხვდებით „კალონ“-საც (მდ. ისტროსის ერთ-ერთი შესართავი (იქვე, გვ. 59).

ამ მდინარისა და მის ხეობაში გამავალი გზის მნიშვნელობას მოწმობს ის რომაული „ბანაკი“, რომელსაც იქ ანონიმი გეოგრაფი ასახელებს (გეორგიკა, 2, გვ. 17). ამ „ბანაკს“ უნდა გულისხმობდეს ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობის „კენი პარაოლიდი“, რომელიც თხზულების სვინაქსარული რედაქციების „კაინე პარემბოლეს“ („ახალი ბანაკი“) შეესატყვისება (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, გვ. 301). ტრაპიზონის აღმოსავლეთით „კაინე პარემბოლე“ მხოლოდ კალოსსა და აფსაროსში იყო.

ამავე მარტვილობის მიხედვით, აქ მიიცვალა ქრისტეს წმიდა მოწამე ეროსი (ეროტოი).

#55#

ორენტიოსმა და სხვა ძმებმა იგი ზღვის სანაპიროს ახლოს დაკრძალეს და გზა განაგრძეს (იქვე, გვ. 320). ასე იქცა კალოსის „კაინე პარემბოლე“ წმინდა ადგილად და ამიტომაც იხსენიება იგი საქრისტიანოს მესამე მსოფლიო კრების დოკუმენტებში (იქვე, გვ. 301).

კალოსის შემდეგ ასევე დიდი პატივი ხვდათ წილად რიზეს, კორდილონს, აფსაროსს (წინა სამი თუ მხოლოდ ერთი წმიდა საფლავის მქონენი იყვნენ, უკანასკნელში ორმა წმინდანმა – ფირმოს და ფირმინოსის – ჰპოვა სამუდამო განსასვენები).

„კალოს“-ის შინაარსი ერთი შეხედვით თითქოს ნათელია (ბერძნულად „კარგს“ ნიშნავს), მაგრამ ასეთი ახსნა ძალიან სათუოა, რადგან ბერძნები ადგილობრივ საგეოგრაფიო სახელებს ჯერ თავისებურად აფორმებდნენ, ხოლო შემდეგ მათ გააზრებას ესწრაფოდნენ (სამაგალითოდ „ბათომი“-ც კმარა). ასევე უნდა იყოს აქაც. კალოსი ადგილობრივი კალაშიდან

უნდა მომდინარეობდეს. ამას გვაფიქრებინებს: 1. „კალოს“-ის ფონეტიკური სიახლოვე „კალაშ“-თან. 2. ძველი ბერძნების დამოკიდებულება ადგილობრივ საგეოგრაფიო სახელებთან და 3. „კალაშ“-ის გავრცელება ზანთა (ჭანთა, ლაზთა, მეგრეთა და სხვათა) გადანაცხოვრ მიწა-წყალზე. კალაში გვხვდება როგორც ჰიდრონიმად, ისე ტოპონიმადაც. ამ სახელით იწოდება მდინარე აღმოსავლეთ გურიაში (ი. მეგრელიძე, ლაზური და მეგრული ფენა გურულში, მოსკოვი-ლენინგრადი, 1938, გვ. 99, 102 (რუსულ ენაზე); ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმისკა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბილისი, 1971, გვ. 95) და სათესველი გონიის მხარეში (ჩვენნი, ს.-დ. საქ. ტოპ., 1, გვ. 138).

იგივე ფუძე გამოიყოფა ჰიდრონიმიც „კალუა“ (მდ. ბჟუჟის შენაკადი გომის მთის მიდამოებში, ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრ. გვ 99).

კაბაქ-ქოი

იაილა ჩილარის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „კაბაკ-კეი“. კაბაქ (თურქ.) – „გოგრა“.

ოქთოლი

დაღ-ალთის სამხრეთ-დასავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ოკტოლი“.

სივართა

ოქთოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „სივარტა“.

#56#

ხურმალიქი

მდ. კალაშის მარჯვენა სანაპიროზეა სივართასა და ყაი-ბაშს შორის. ხუთვერსიან რუკაზეა „ხურმალიკ“. ხურმალიქ (თურქ.) – „სახურმე“.

ყაია-ბაში

ხურმალიქის აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ყაია-ბაშ“. ყაია-ბაში (თურქ.) – „კლდის თავი“.

ჩუხმალი

ყაია-ბაშის სამხრეთით.

ჯავიზლიქი

ჩუხმალის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჯავიზლიქ (თურქ.) „კაკლიანი“ (შდრ. ჯევიზდიბი, ჯევიზდიბიშთეფე) მელენი სარფში.

იმქენჯა-დარასი – ხუთვერსიან რუკაზეა „იმქანჯა დარასი“, ხუთკილომეტრიანზე – „იმქენსი-დერე“. იმქენჯა (სპ.-თურქ.) „წვალემა“, „ტანჯვა“, „დარასი“ (თურქ.) „ხევი“. ერთვის მდ. კალაშს (კალაპოტამოსს) მარჯვნიდან.

იმქენჯა-დალი – ხუთვერსიან რუკაზეა „იმქანჯა დაგი“ („ტანჯვა-წვალეების მთა“).

კურაი-საბლა

მდ. ჯიმილისა და კალაშის შესაყარში. ხუთვერსიან რუკაზე „კურა-საბლა“, ხუთკილომეტრიანზე არაა აღნიშნული. კურაი (არაბ.) – „სოფელი“, „საბლა“ სოფლის სახელი (შინაარსი სამიებელია). მეორე სახელი ჩაღრან-ყაია (თურქ.) – „კლდე, რომელიც იძახის“.

ილიჯა

კურაი-საბლას ჩრდილო-აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ალიჯა“, ხუთკილომეტრიანზე – „ილიჯა“.

ილიჯა (თურქ.) – „ცხელი მინერალური წყარო“.

ჯიმილ-დარე – მდ. კალაშის (კალაპოტამოსი) მარჯვენა შენაკადი. ხუთვერსიან რუკაზეა „ჯამალ-დარასი“, ხუთკილომეტრიანზე – „ჯიმილ-დერე“. ი ჯავახიშვილის რუკაზეც, „ჯიმილი“ არის.

თარაბზუნ-ტაში – მთა დამირ-კაფის აღმოსავლეთით, ხუთვერსიან რუკაზეა „ტარაბზუნ-ტაშ“. თარაბზუნ-ტაში (თურქ.) – „ტრაპიზონის ქვა“.

ფაშა-ქოი

თარაბზუნ-ტაშის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ფაშა-ქოი (თურქ.) – „ფაშის სოფელი“.

#57#

ჯიმილი

ფაშა-ქოის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ჯანილი“, ხუთკილომეტრიანზე – „ჯიმილი“. ასევეა ი. ჯავახიშვილის საქართველოს საისტორიო რუკაზეც.

რკინის მთა

ჯიმილის ხევის სათავეებში, ეშმაკის მთის („შეითან დალი“) აღმოსავლეთით. ხუთვერსიან და ხუთკილომეტრიან რუკაზეა „დამირ-დალი“.

„რკინის მთა“ (დამირ-დალი) ჭანეთის ქედის ერთი მოზრდილი მასივია, რომლის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებიდან გამოედინება ჯიმილის წყალი (მდ. კალაშის კალაპოტამოსი) მარჯვენა შენაკადი.

რკინის მთა ჭოროხის ხეობიდან ზღვისპირეთში მიმავალი გზების გარემოცვაში მოქცეული. სამხრეთ ძირობაზე (მადურში) ერთდება ალბურიქისა და ნანზინის გზები, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით გამოუვლის რკინის მთას და შეითან-დალთან ორად იყოფა.

ერთი თვით ამ მთას მისდევს დასავლეთით, ხოლო მეორე ჩრდილოეთით და ჯიმილისწყლის ხეობაში ეშვება.

კურაი-საბლა

ჯიმილისა და ჩამლიქ-დარასის შესაყარის ქვემოთა, მდ. კალაშის მარჯვენა სანაპიროზე. ხუთვერსიან რუკაზეა „კურაი-საბლა“. კურაი (არაბ.) – „სოფლები“, საბლა – სახელი (წარმომავლობა და შინაარსი გასარკვევია). მეორე სახელია ჩალრან-ყაია (თურქ.) – „კლდე, რომელიც იმახის“.

დამირ-კაფი

კურაი-საბლას აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „დამირ-კაპუ“.

პ. ინგოროყვას მესხეთის მხარეთა (VIII-X სს) სქემატურ რუკაზე ზედ მდინარეზეა აღნიშნული ქართული სახელწოდებით „რკინის კარი“ და გაიგივებულია „რკინის პალოსთან“ (გიორგი მერჩულე, გვ. 301). იგივე სახელწოდება ამავე ფორმით („რკინის კარი“) დატანილია საქართველოს XIII საუკუნის რუკაზე, რომელიც 1964 წელს შეადგინა ა. ასლანიკაშვილმა (რედ. ნ. ბერძენიშვილი). „რკინის კარი“ ამ პუნქტის ძველჭანური სახელწოდების თარგმანი უნდა იყოს, „დამირ-კაფი“ კი კიდევ უფრო გვიან (ოსმალთა შემოსვლის შემდეგ) დამკვიდრდა.

„რკინის კარი“ სხვა ადგილასაც დასტურდება, არსიანის ქედზე – შუა აჭარისა და შავშეთის გზაზე (ჩვენს ს-დ, საქ, ტოპ. I, გვ. 96, 158).

#58#

თულუმფინარი

დამირ-კაფის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „თულუმფინარი“. თულუმ (თურქ.) – „ტიკი“, ფინარი (თურქ.) – „წყარო“.

ჩამლიქი

თულუმფინარის აღმოსავლეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ჩამლიკ“. ჩამლიქ (თურქ.) – „ფიჭვნარი“. ეს ტოპონიმი მცირე სახესხვაობით სხვაგანაც გვხვდება („ჩამლუკ“-ი – იალალი მარსისის მთაზე (ჩვენი ჭანეთი, I, გვ. 81, 82).

იაილა

ჩამლიქის აღმოსავლეთით. აღნიშნულია ხუთვერსიან რუკაზე.

სივრი-ყაია

იაილას სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „სიორი-ყაია“, ხუთკილომეტრიანზე – „სივრი-ყაია“. სივრი (თურქ.) – „წვეტიანი“, ყაია (თურქ.) – „კლდე“.

შეითან-დარასი – „ჯიმილ-დარასის“ სახელწოდება ზემო წელზე. შეითან-დარასი (თურქ.) – „ემშაკის ხევი“.

შეითან-დაღი – მთა „შეითან დარასის“ სათავეებში.

ვარდა

მდ. კალაშის (კალაპოტამოსის) შუა წელზეა (ი. ჯავახიშვილის საისტორიო რუკა).
ვარდა (თურქ.) – „საგუმაგო“.

ოხლა-მორი

ჩუხმალის სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა).

ხაჯიმ-შეიხი

ოხლა-მორის აღმოსავლეთით (ხუთვერსიანი რუკა).

აივალიქ

ხაჯი-შეიხის სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა). აივალიქ (თურქ.) – „კომშნარი“.
ჯეზარლი-დალი – მთა „დერე-ქოის“ სამხრეთ-დასავლეთით (ხუთვილომეტრიანი რუკა).

მათლი

კურაი-საბლას აღმოსავლეთით, მეორე სახელია „ქირაზლი“ (ხუთვერსიანი რუკა).
ხუთვილომეტრიან რუკაზე მხოლოდ უკანასკნელია აღნიშნული („იქიზდერეს“ სამხრეთით).
„მათლის“ შინაარსი გასარკვევია, ხოლო „ქირაზლი“ (ბერძ.-თურქ.) – „ბლიანს“ ნიშნავს.
#59#

ქირაზლი-დალი – მთა მათლის (ქირაზლის) სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა).
ქირაზლი-დალი (თურქ.) – „ბლიანის მთა“.

დარა-ქოი

ბაირ-ქოის სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა). დარა-ქოი (თურქ.) – „ხევის სოფელი“.

ბაირ-ქოი

ქირაზლი-დალის აღმოსავლეთით (ხუთვერსიანი რუკა). ბაირ-ქოი (თურქ.) – „მთის კალთის სოფელი“.

ერალმა

დარა-ქოის სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა). ერალმა (თურქ.) – „მიწავაშლა“.

კაჩანი

ერალმას სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა).
გიოლ-იაილა – კაჩანის აღმოსავლეთით (ხუთვერსიანი და ხუთვილომეტრიანი რუკები). გოლ-იაილა (თურქ.) – „ტბის იალაღი“.

გიოლ-იაილა-დალი („ტბის იალაღის მთა“) – „გიოლ-იაილას“ ჩრდილოეთით (ხუთკილომეტრიანი რუკა).

დაღ-ბაში-ბელი – უღელტეხილი, „გიოლ-იაილას“ აღმოსავლეთით ხუთვერსიან რუკაზეა „დაღ-ბაში-ბილი“. კომპოზიტის პირველი ორი სიტყვა „მთის თავს, წვერს“ აღნიშნავს, ხოლო მესამე „ბელის“ დამახინჯებული ფორმაა. „ბელი“ თურქულში რამდენიმე მნიშვნელობისაა: წელი, ხევი, ბილიკი. ამათგან მთის წვერს უფრო უკანასკნელი (ბილიკი) შეესატყვისება.

მეშე

კაჩანის სამხრეთით. ხუთკილომეტრიან რუკაზეა „მეშე“, ხოლო ხუთვერსიანზე – „მიშე“. მეშე (თურქ.) – „მუხა“.

შიმშირ-ქოი

მეშეს სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა). შიმშირ-ქოი (თურქ.) „ბზის სოფელი“.

რუზგარლი

მეშეს სამხრეთით. ხუთკილომეტრიან რუკაზეა „რუზგარლი“ (თურქ. „ქარიანი“), ხოლო ხუთვერსიანზე დამახინჯებული ფორმითაა დატანილი – „რუზგადლი“.

კორლი-ქოი

კაჩანის დასავლეთით (ხუთვერსიანი რუკა).

#60#

ჩათალ-თაფა – მთა კორლი-ქოის დასავლეთით (ხუთვერსიანი და ხუთკილომეტრიანი რუკები). ჩათალ-თალა (თურქ.) „განშტოებული გორაკი, ბორცვი“ (მცირე მთა).

ქესალი

ჩათალ-თაფას სამხრეთით (ხუთვერსიანი რუკა).

ბალლი-ქოი

ქესალის სამხრეთით (ხუთვერსიანი და ხუთკილომეტრიანი რუკები). ბალლი-ქოი (თურქ.) – თაფლიანი სოფელი (შდრ. სათაფლია, თოფურიათი და მისთ.)

ტაშლი-ქოი

ბალლი-ქოის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზეა „ტაშლი-ქოი“ („ქვიანი სოფელი“, ხოლო ხუთკილომეტრიანზე – „ტაშილ-ქოი“.

კირკლარ-დაღი – ტაშლი-ქოის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჭანეთის ქედზე, ხალდიზენის მთებსა და კოხის მთას შორის (ხუთვერსიანი და ხუთკილომეტრიანი რუკები).

კირკლარს თურქულში მრავალი მნიშვნელობა აქვს. აქ კი სიმრავლეს უნდა აღნიშნავდეს თითქოს. ი ჯავახიშვილის საქართველოს საისტორიო რუკაზე ამ ადგილას „რკინის პალოს მთა“ არის აღნიშნული.

„რკინის პალოს“ ამგვარი ლოკალიზების ავკარგის წარმოჩენა მომავალი მეცნიერული კვლევის საქმეა.

დიქ-ტაში

კირკლა-დაღის დასავლეთით (ხუთვერსიანი რუკა). დიქ-ტაში (თურქ.) – „აღმართული ქვა“. ამ ადგილას (აღმოსავლეთ ჭანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვართან) ასეთი ტოპონიმი ძლიერ საინტერესოა.

ასკიჩა

დიქ-ტაშის ჩრდილოეთით (ხუთვერსიანი რუკა). ასკიჩა (თურქ.-სპ.) – „ძველი ჭა“ (?). მინაწერი: რიხეს მხარისა თუ ჭანეთის დანარჩენი კუთხეების საისტორიო გეოგრაფიის მასალები სხვაგვარად მოგვეპოვება, მაგრამ, რადგანაც მათი ლოკალიზება ჯერჯერობით არ მოგვიხერხდა, არც შეიძლებოდა შესულიყო ქვეყნის თანმიმდევრულ (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ) აღწერაში.

#61#

დამატება

ჭანეთის ისტორიისა და საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი

ისევ „ჭანისა“ და „ლაზის“ შესახებ

1945 წელს ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი ჩვეული მეცნიერული სიღრმითა და სიცხადით შენიშნავენ: „...ხომ იყო არა მარტო აღმოსავლეთის, ასე ვთქვათ – რიონის კოლხეთი, არამედ დასავლეთის ჭოროხ-ტრაპეზუნტის კოლხეთიც. სწორედ ამიტომ ლაზების სახელი დაერქვა დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობასაც, თუმცა დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობამ ვერ მოასწრო ლაზიკის სამეფოსთან ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება“.¹

ს. ჯანაშია დასავლეთ კოლხეთზე „ლაზის“ გავრცელების საკითხს ჯერ კიდევ 30-იან წლებში აკვირდებოდა და იმ დროსვე სწორ დასკვნამდე მივიდა: ეთნონიმი „ლაზი“ ამ მხარეში „ლაზიკის სამეფოს დაშლის შემდეგ... გადადის...“²

მასვე განზრახული ჰქონდა სპეციალური ნარკვევი მიემდგინა ამ პრობლემისათვის,³ მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა. საკითხის შემდგომი კვლევა ისტორიკოსთა ახალმა

¹ გაზ. „კომუნისტი“, 14. XII, 1945.

² ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. ენიმკის მოამბე, I, თბ., 1937, გვ. 204.

თაობამ სცადა, მაგრამ, ეტყობა, იგი ჯერ კიდევ ვერ არის ისე დასაბუთებული, რომ სხვა მოსაზრების წამოყენების საცდურს არ ქმნიდეს. ამას მოწმობს ზურაბ თანდილაძის წერილი, რომელიც ჟურნალ „ჭოროხში“ დაიბეჭდა 1978 წელს.⁴

ავტორი კარგად ითვალისწინებს როგორც პრობლემის კვლევის ისტორიას, ისე მის მნიშვნელობას „კოლხურ ტომთა ისტორიის ზოგიერთი ასპექტის სწორად გაგებაში“.⁵

#62#

ადრინდელი მკვლევარები, მისი დაკვირვებით, აქ „კმაყოფილდებოდნენ... მხოლოდ ცალკეული შენიშვნებით“. რაც შეეხება „სატომო სახელთა („ჭანი“, „ლაზი“ - ი. ს.) ისტორიულ-შინაარსობლივი ფუნქციების ფართო დახასიათებას“, იგი „არავის მოუცია“.⁶

რეცენზენტი სწორად მიუთითებს უკანასკნელ დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხისადმი ინტერესის გაცხოველებას და ეთნონიმების – „ლაზისა“ და „ჭანის“ სპეციალური შესწავლის ცდებზე,⁷ განიხილავს ახალ შეხედულებებს, მაგრამ რატომღაც არსად იხსენიებს ს. ჯანაშიას მოსაზრებას, რომელმაც არსებითად სათავე დაუდო ამ პრობლემის სპეციალურ შესწავლას.

ზ. თანდილაძე არ იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო დროს გამოთქმულ შეხედულებას სახელ „ლაზის“ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე საეკლესიო სფეროდან გავრცელებულობის თაობაზე და სხვაგვარ ახსნას გვთავაზობს.⁸ მისი აზრით, ლაზები მხოლოდ „ლაზიკის“ სახელმწიფო საზღვრებით კი არ იფარგლებოდნენ, არამედ უფრო სამხრეთითაც ცხოვრობდნენ თითქოს. მან კარგად იცის, რომ „ამის შესახებ საისტორიო წყაროები თითქოს სდუმან“, მაგრამ ეს მხოლოდ „ერთი შეხედვით“.⁹ ამის ნათელსაყოფად მოჰყავს რამდენიმე მოსაზრება – მეტწილად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდებზე დაყრდნობილი¹⁰ და დაასკვნის: „ეთნონიმი „ჭანის“ თანდათანობით დავიწყება და „ლაზის“ გავრცელება ძირითადად განაპირობა ხანგრძლივი დროის მანძილზე პოლიტიკურად დაწინაურებულ ლაზთა ჰეგემონურმა მდგომარეობამ, მათმა ტერიტორიულ-კულტურულმა და ენობრივმა ერთიანობამ ჭანებთან. ამ ორი ტომის შერწყმის პროცესი, როგორც ჩანს, ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფოს დასუსტების შემდეგაც არ შენელებულა და ლაზებმა ჭანებს ბოლოსდაბოლოს ისე დაავიწყეს სახელწოდება „ჭანი“, როგორც თვითონ ჭანებმა ადრე – ხალიბებს, მოსანიკებს და სამხრეთაღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვა კოლხურ ტომებს“.¹¹ ასეთი რამ შესაფერ პოლიტიკურ პირობებს მოითხოვდა, რაც დასავლეთ კოლხეთს არ შეეძნია.

³ იქვე.

⁴ ზ. თანდილაძე, ახალი ნაშრომი ლაზეთზე, ჟურნ. „ჭოროხი“ 1978, #2, გვ. 86-93.

⁵ იქვე, გვ. 88.

⁶ იქვე.

⁷ იქვე.

⁸ იქვე, გვ. 89.

⁹ იქვე, გვ. 89-90

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე, გვ. 91.

#63#

ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს ჭანეთი, განსაკუთრებით, მისი ჩრდილოეთი მხარე, არ განიცდიდა ლაზეთის კულტურულ გავლენას, მაგრამ ეს გარემოება იმ ხარისხის მოვლენა არ იყო, რომ მის საფუძველზე მომხდარიყო სატომო სახელ „ჭანის“ „ლაზში“ ჩანთქმა. სხვა ვითარება შეიქმნა ლაზიკის სამეფოს გაუქმებისა და ფაზისის სამიტროპოლიტო კათედრის ტრაპეზუნტში გადატანის შემდეგ, როცა ამ ტომისა და ამ მხარის სახელწოდებად თანდათან შემოდის და მკვიდრდება „ლაზი“ და „ლაზია“.¹² ასეთი ვითარების მიუხედავად, არც ძველი ეთნონიმი („ჭანი“) მისცემია სრულიად დავიწყებას და არც ქვეყნის სახელი („ჭანეთი“).

საგეოგრაფიო სახელები.

ჭანეთის საგეოგრაფიო ნომენკლატურაში მრავალი სხვადასხვა ენობრივი წარმოშობის სახელწოდებებს ვხვდებით. მათი გამიჯვნა და მეცნიერული შესწავლა ტოპონომოსის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. ზ. თანდილავა არც ამ საკითხს ტოვებს უყურადღებოდ და დადებითი გვერდით ზოგიერთ ხარვეზსაც ამჩნევს. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა მოლენი სარფის მისეული სატოპონიმო შენიშვნები.

დერემენდერესი – ჰიდრონიმი. ამ სახელწოდებას ადრე თურქული „დეგირმანდერეს“ სახენაცვალ ფორმად მივიჩნევდით.¹³ მოგვიანებით კი ასეთი რამ ფონეტიკურად შესაძლებლად ვერ მივიჩნიეთ და „მენდერესის ხევ“-ად განვმარტეთ. ამაში მცირე აზიაში ამ ჰიდრონიმის (მენდერე, ქუჩუკ-მენდერე) სიხშირეც გვაგულიანებდა.

ზ. თანდილავა ამ ჰიდრონიმს ასე განმარტავს: „სახელწოდებაში „დერემენდერესი“ გვაქვს: დერემენ+დერე+სი („დერემენ“ – წისქვილი; „დერე“ – ხევი, მდინარე, ლეღე; „სი“ – კუთვნილებითი აფიქსი, რომელიც ამ შემთხვევაში ქართული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ექვივალენტია“.¹⁴

ოკანდელე – ეს სახელწოდება ჩვენ ორგზის ჩავწერეთ ადგილზე და ორივეჯერ ამ ფორმით.¹⁵ რამდენადმე განსხვავებულია ი. ასათიანის ჩანაწერი „ოკვანდელე“.¹⁶ ჩვენს ადრინდელ ნაშრომში „ოკანდელე“-დ ადგილი აღინიშნება,¹⁷ ხოლო გვიანდელში ლეღეზეა გამახვილებული ყურადღება.¹⁸ ზ. თანდილავას მხედველობიდან გამორჩენია პირველი და ამიტომაც შენიშნავს „ოკანდალე (< ოკანდელე) ავტორს ჰიდრონიმად მიუჩნევია, სინამდვილეში იგი ადგილის სახელწოდებაა. აქვე გამოედინება ლეღე, რომელსაც („ოკანდალემ ღალი“ ეწოდება“.¹⁹

¹² ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, 1977, გვ. 19-20.

¹³ მისივე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისკა, I, 1958, გვ. 183.

¹⁴ ზ. თანდილავა, დასახ. ნაშრ. გვ. 92.

¹⁵ ი. სიხარულიძე, ს/დ საქ. ტოპ., I, 1958, გვ. 188; მისივე, ჭანეთი, I, 1977, გვ. 31

¹⁶ ი. ასათიანი, ჭანური ტექსტები, თბილისი, 1974, გვ. 72.

¹⁷ ი. სიხარულიძე. ს/დ საქ. ტოპ. I, გვ. 188.

¹⁸ მისივე, ჭანეთი, I, 1977, გვ. 37.

¹⁹ ზ. თანდილავა, დასახ. ნაშრ. გვ. 92-93

აქ უმთავრესი ისაა, რომ რეცენზენტი არ უარყოფს ამ სახელწოდების იმ ფორმას (ოკანდელე), რომელიც ჩვენ მოგვაქვს და მცირე სახესხვაობით ი. ასათიანსაც აქვს დადასტურებული, მაგრამ ის მას ამ ტოპონიმის ადრინდელ სახედ თვლის²⁰ და ამასთანავე ჰიდრონიმის სახელსაც აზუსტებს („ოკანდალეშალი“).²¹

ბოგლული – ადგილი ოკანდელეს დელის აღმოსავლეთით.²² ზ. თანდილავა ამ ფორმას უარყოფს და „ბოგილულს“ აძლევს უპირატესობას²³ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი საუკეთესო შემთხვევაში პარალელურ ფორმად თუ მიიჩნევა მხოლოდ.

ოჯადანე – ადგილი მოლენი სარფში, ქვაჭაჭის სამხრეთ-აღმოსავლეთით.²⁴ ეს ტოპონიმი ადრე ჩვენ მხოლოდ ამ ფორმით („ოჯადანე“) ჩაგვიწერია,²⁵ 1967 წელს კი „ოჭადანე“-ც გვაქვს დადასტურებული²⁶. ასევეა ი. ასათიანთანაც.²⁷ ზ. თანდილავას თქმით, უფრო სწორი „ოჭადანეა“.²⁸

ამ ტოპონიმის ფუძე სიტყვის ძველი ფორმა „ჯადან“-ია. ბერძნული სიტყვისათვის ჭანურს რამდენადმე უცვლია სახე და იგი „ჭადან“-ად უქცევია, მაგრამ მოლენი სარფის მკვიდრთა ძველ თაობაში აქა-იქ მაინც არის შემორჩენილი პირვანდელი ფორმა.

ჩელებეში – ადგილი მოლენი სარფში.²⁹ ადრინდელ ჩანაწერში „ჩელებეში“ გვაქვს,³⁰ ხოლო გვიანდელში – „ჩელებეში“.³¹ ზ. თანდილავა ამ უკანასკნელს მცდარად მიიჩნევს #65#

(პირველს არც იხსენიებს და შემოაქვს სრულიად ახალი ფორმა „ჩებელებეში“.³² ერთი და იმავე ტოპონიმის ფუძის ორგზის ერთნაირი ფონეტიკური ფაქტურით დასტურდება ადგილზე, საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ასე ერთი ხელისმოსმით არ უკუუვადლოთ იგი და სერიოზულად შევისწავლოთ. ჩვენს ფიქსირებულთაგან რეცენზენტის ჩანაწერი ფუძეში მეორე და მესამე თანხმოვანთა („ლ“, „ბ“) ადგილშენაცვლებით განსხვავდება მხოლოდ. რას უნდა ნიშნავდეს „ჩებელი“ არ ვიცით, ასეთი სიტყვა არც ჭანურ ლექსიკონებში იხსენიება და ვერც ადგილობრივ დავადასტურეთ. რადგან ზ. თანდილავა გვარწმუნებს, ჩებელი, მაშასადამე, არსებობს, მაგრამ შესაძლოა უცხოური „ჩელების“ დამახინჯებული ფორმა იყოს.

²⁰ იქვე, გვ. 92.

²¹ იქვე.

²² ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ. 38

²³ ზ. თანდილავა, დასახ. ნაშრ. გვ. 93

²⁴ ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ. 38.

²⁵ მისივე, ს/დ საქ. ტოპ. I, გვ. 188.

²⁶ მისივე, ჭანეთი, I, გვ. 38.

²⁷ ი. ასათიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 72, 73.

²⁸ ზ. თანდილავა, დასახ. ნაშრ. გვ. 93

²⁹ ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ. 40

³⁰ მისივე, ს/დ საქ. ტოპ.. I, გვ. 140.

³¹ მისივე, ჭანეთი, I, გვ. 40.

³² ზ. თანდილავა, დასახ. ნაშრ. გვ. 93.

კაკლიშყონა – ადგილი მოლენი სარფში.³³ ორჯერ ჩავწერეთ და ორივეგზის ამ ფორმით³⁴. ზ. თანდილაგას შენიშვნით, უფრო სწორია „კაკალიყონა“.³⁵

ქვაჯაღანა – ქვაჩქიმეს აღმოსავლეთით.³⁶ გვხვდება „ქვაჭაღანაც“.³⁷ ზი თანდილაგა მხოლოდ უკანასკნელს მიიჩნევს ამ ქვის ერთადერთ ჭანურ სახელად, „ქვაჯაღანა“-ს კი არ სცნობს.³⁸

ქვამარგვალი – ქვაჯაღანას სამხრეთით.³⁹ ზ. თანდილაგას მიხედვით „ქვამურგვალი“.⁴⁰

ქვაოწოდე – ქვის სახელწოდებაა.⁴¹ ზ. თანდილაგას ეს სახელი „ქვაოწოდეს“ ფორმით მოაქვს.⁴²

ყოველი ასეთი შენიშვნა, რა ფორმისაც არ უნდა იყოს ის, სასარგებლოა და ხელს გვიწყობს მეცნიერულ ძიებაში.

რამდენიმე საგულისხმო შენიშვნას შეიცავს გ. ბედოშვილის რეცენზიაც. ეს შენიშვნებიც მეტწილად ცალკეულ ტოპონიმთა ახსნას ეხება.

ქვაჭაჭი – ადგილი (სადოვარი) მოლენი სარფში.⁴³ რეცენზენტს არ აკმაყოფილებს ამ სახელწოდების ჩვენეული ახსნა („ამ კომპოზიციის პირველი ნაწილი (ქვა) განმარტებას არ მოითხოვს, მეორე კი (ჭაჭი) ზანური სიტყვა უნდა იყოს⁴⁴ და ცდილობს სრულყოფას.

#66#

მისი აზრით „ქვაჭაჭ“-ი, უეჭველია, ისეთი სახელწოდებაა, რომელიც ობიექტის თვისებაზე თუ აღნაგობაზე მიგვანიშნებს.⁴⁵ ავტორი ყურადღებას აქცევს მოხეური დიალექტის სიტყვას „ჭაჭ-ი“ („ქვის თხელი და მოგრძო ფიქალი“) და ფიქრობს, რომ იგი „შესაძლოა ფიქლოვან კლდოვან ადგილს ნიშნავდეს.“⁴⁶ მისივე მართებული შენიშვნით „ფუძე ჭაჭ-ის მნიშვნელობის გარკვევა ეგებ ზოგი სხვა, სემანტიკურად ბუნდოვანი, ტოპონიმის ახსნაშიც მოგვეხმარებოდა (ვთქვათ, მესხეთის ჭაჭკარი და სხვა).⁴⁷

³³ ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ. 39.

³⁴ მისივე, ს/დ საქ. ტოპ., I, გვ 140.

³⁵ ზ. თანდილაგა, დახას. ნაშრ. გვ. 93.

³⁶ ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ. 41.

³⁷ იქვე.

³⁸ ზ. თანდილაგა, დასახ. ნაშრ. გვ. 93.

³⁹ ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ 41.

⁴⁰ ზ. თანდილაგა, დასახ. ნაშრ. გვ. 93.

⁴¹ ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ 41.

⁴² ზ. თანდილაგა, დასახ. ნაშრ. გვ. 93.

⁴³ ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ. 38

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ გ. ბედოშვილი, საყურადღებო გამოკვლევა. გაზეთი „წიგნის სამყარო“ 11. VI (# 13) 1979.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ იქვე.

ჭაჭკარი მტკვრის ხეობაშია, ვარძიის მახლობლად, ზედ მდინარეზე. ერთი ნაწილი მტკვრის მარჯვენა მხარეზეა, ხოლო მეორე – მარცხენაზე.⁴⁸ ადგილი კლდოვანია და შეიძლება მართლაც ჭაჭის მოხეურ შინაარსს შეესაბამებოდეს.

ჭაჭი არც გურიის ტოპონიმიკისათვისაა უცხო. ამ სიტყვისაგანაა ნაწარმოები სოფლის სახელი აღმოსავლეთ გურიაში – „ჭაჭიეთი“.

ჭანურის ხოფურ კილოში „ჭაჭ“-ი დღესაც ცოცხალი სიტყვაა, მაგრამ არა ქვის სახეობის აღსანიშნავად, არამედ სხვა მნიშვნელობებით; მათ შორის აქ უფრო საგულისხმოა მრავლობა-მიყრილობის გამოხატვა. გარდა ამ „ქვაჭაჭისა“, „ჭაჭი“ იმავე მნიშვნელობით გვხვდება „ყომურჭაჭ“-შიც.⁴⁹

ქვახეხი – ადგილი სარფის ტერიტორიაზე.⁵⁰ სხვა ფორმით – „ქვახერხი-ლი“, გვხვდება ჭანეთის სხვა კუთხეშიც.⁵¹

ეს სახელწოდება ჩვენ „ჭანეთის ისტორიისა და საისტორიო გეოგრაფიისათვის მეტად საინტერესოდ მივიჩნით, თუმცა საამისო ასპექტების მიუთითებლად.⁵² გ. ბედოშვილი კი შეეცადა მისი შინაარსი ამოეხსნა და ამოსავალი ფორმაც მოძებნა“. „ქვა ხერხილ“-ი, რომლის გამარტივებითაც მიღებულია ქვახეხი // ქვახერხი. „შვახერხილი“ „გაჭრილ/გახვრეტილ კლდეს“, „ვიწრო გასავალს, ქვის კარს, კლდეკარს“ ეწოდება.

#67#

თოლოქრო – სოფლის სახელი ხოფის უბანში.⁵³ ეს ტოპონიმი ჩვენ „თვალოქრო“-დ განვმარტეთ.⁵⁴ რეცენზენტს ეს სწორად მიაჩნია, ოღონდ „თვალ“-სიტყვის მნიშვნელობის მიუთითებლობას მოინაკლისებს. მისი აზრით, „თვალი“ ამ შემთხვევაში წყაროს თვალს ნიშნავს“. ამ ნიადაგზე კი „თოლოქრო (თვალოქრო) უნდა გავიაზროთ, როგორც „წყარო ოქრო // წყარო“ (ყველაზე საუკეთესო, სხვა წყაროებისაგან გემოთი და სხვა თვისებებით გამორჩეული წყარო“. ამის ნათელსაყოფად ის ქართულ და ქართველური ტოპონიმის მონაცემებსაც მიუთითებს: „ჩხორთოლი“, „ცხრაწყარო“, თვალივი – „წყაროებიანი ადგილი, წყარომრავალი ადგილი“ და სხვ.

„თვალს“ (თოლი) მრავალი სხვა მნიშვნელობაც აქვს, მათ შორის, „მდინარეთა ზღვათა შესართავი“ (სულხან-საბა ორბელიანი). ამიტომ, ვიდრე ეს სოფელი ადგილზე არ არის მოხილული, ძნელი სათქმელია, თვალის რომელი შინაარსი დაედო საფუძვლად მის სახელწოდებას. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ საუკეთესო წყაროს აღსანიშნავად ჭანურში „მაფაწყაროა“ მიღებული.

⁴⁸ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ. 1957, გვ. 364.

⁴⁹ ცნობა მოგვაწოდა ი. ასათიანმა.

⁵⁰ ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ. 42.

⁵¹ იქვე.

⁵² იქვე.

⁵³ იქვე.

⁵⁴ იქვე.

ფილარდალი – ადგილი მოლენი სარფში.⁵⁵ ხალხური ეტიმოლოგია ამ კომპოზიციის პირველ ნაწილს „ფირალს“ უკავშირებს. ჩვენ იგი სარწმუნოდ არ მივიჩნით. ამის საფუძველს გვაძლევდა: 1. ადგილის სოფლის ცენტრში მდებარეობა, რომელიც საფირალო თავშესაფარად არ გამოდგებოდა და 2. ამ სახელწოდების მსგავს საგეოგრაფიო სახელებთან („ფილარგეთი“, არქაბეს უბანი; „ფილარგოვათი“, ართაშენის უბანი) მიმართება. გ. ბედომვილი მხარს უჭერს ხალხურ ეტიმოლოგიას და ეჭვი არ ეპარება, რომ „ფილარდალი“ ნამდვილად ფირალდალისაგან გვაქვს მიღებული და რ სონორთა მოსალოდნელი ადგილმონაცვლეობის გზით და „ფირალების ტყეს“ ნიშნავს.

აი, თითქმის ყველა ის საისტორიო თუ სატოპონიმიკო შენიშვნა, რომელიც „ჭანეთი I“-ის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გამოითქვა ჯერჯერობით.⁵⁶

#68#

მინაწერი: უკანასკნელ დროს ყურადღება გამახვილდა აგრეთვე სარფის ერთ ტოპონიმზე, რომელიც სხვადასხვა ფორმითაა დადასტურებული: „ქაუმხაზი“,⁵⁷ „ქ(ვ)აომხაზი“,⁵⁸ „ქვაამხაზი“,⁵⁹ „ქვამხაზი“.⁶⁰

ასე იწოდება დიდი ლოდი ზღვაში. მოლენი სარფში ჩვენი სატოპონიმიო ძიებისას ეს სახელწოდება „ქვადასერილ“-ად განგვიმარტეს;⁶¹

ამავე სოფლის მკვიდრი ელდარ ვანიძე აქ „ქვამიჯნას“, „ზღვარს“ გვთავაზობს.⁶² ზ. თანდილავა კი ამ კომპოზიციის მხოლოდ პირველი სიტყვის რაობას (ქვა) თვლის უეჭველად, ხოლო მეორის („ომხაზი“, „მხაზი“) შინაარსს საძიებლად მიიჩნევს.⁶³ ეს ლოდი მოლენი სარფში (ადრე კი, ალბათ, მელენშიც...) დიდად პოპულარულია, განსაკუთრებით, ბავშვებსა და მეთევზეებში. ზ. თანდილავას ცნობით, თურმე 5-6 წლის ასაკის ბავშვებიც კი ამ ლოდიდან გადახტომით უჩვენებენ თავიანთ ოსტატობას ცურვაში.⁶⁴ იგივე ლოდი საკმაოდ ვრცელი ზედაპირით (იტევს რამდენიმე ათეულ ადამიანს) ემსახურება მეთევზეებსაც.

⁵⁵ იქვე, გვ. 40.

⁵⁶ გამოხმაურებანი ამ წიგნზე სხვაც არაერთი დაიბეჭდა (ლ. ჯანაშვილი, ჭანეთი, გაზ. „ალაზნის განთიადი“ (თელავი) 4, II, 1978, გვ. 4; ნ. აფხაზავა, საჭირო და კეთილი საქმე, გაზ. „წიგნის სამყარო“, 8, II, 1978, № 3, გვ. 5; ალ. ბენდიანაშვილი, საინტერესო გამოკვლევა, გაზ. „ოქტომბრის გზით“ (ხელვაჩაური, 28, II, 1978, გვ. 4), მაგრამ ისინი მხოლოდ „ჭანეთის-I“-ის პოზიტიური მხარეების გადმოცემით კმაყოფილდებიან.

⁵⁷ ი. სიხარულიძე, ს/დ საქ. ტოპ. I, გვ. 140.

⁵⁸ ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ. 41.

⁵⁹ ა. ზამბახიძე, სარფელთა საინტერესო წამოწყება, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 24, X, 1978.

⁶⁰ ზ. თანდილავა, ხალხური დღესასწაული „კოლხობა“, მისი საფუძვლები და პერსპექტივები, გაზ. „ოქტომბრის გზით“ (ხელვაჩაური) 20, I, 1979, გვ. 4.

⁶¹ ი. სიხარულიძე, ჭანეთი, I, გვ. 41.

⁶² ა. ზამბახიძე, დასახ. სტატია.

⁶³ ზ. თანდილავა, დასახ. ნაშრ.

⁶⁴ იქვე.

ყოველივე ამან საფუძველი მისცა სარფის ახალგაზრდობას ამ ლოდის სახელი მიეკუთვნებინათ სასოფლო დღესასწაულისათვის.⁶⁵ ზოგიერთს იგი „შრომისა და ცეკვა-სიმღერის დღესასწაულად“ წარმოედგინა, ხოლო სხვას – „მეზღვაურებისად“ ან „ზღვის დღედ“,⁶⁶ მაგრამ „ქვაომხაზობა“ ვედარ დამკვიდრდა და იგი „კოლხობამ“ შესცვალა (სადღესასწაულოდ დადგინდა ყოველი წლის 19 აგვისტო და იგი პირველად 1978 წელს აღინიშნა).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ერთ-ერთი ჭანური სოფლის „კაპისრე“ — „კაპისტრას“ სახელწოდების ის ფორმაც, რომელიც მ. ვანლიშსა და ა. თანდილავას მოაქვთ – „კაპისტრო“.⁶⁷

#69#

ჭანეთის ზღვის სანაპირო გზის ავ-კარგის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია ყოველი ჩვენება, რომელიც ამ ტრასაზე არსებულ მდინარეებს ეხება. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხარის ყველაზე ღრმა, ფართო და სწრაფი ბუიუკ-დერეს ჯ. პალგრევისეული დახასიათება. მისი კალაპოტი გვიან ზაფხულში თუ დაიძლევა მხოლოდ. დანარჩენ დროს ბორანია ერთადერთი გადამყვანი საშუალება, თუმცა ხშირად ვერც ის შველისო საქმეს.⁶⁸

ქვის ხიდი – მისი ნაშთი შემონახულია მდ. ბუიუკ-დერეს მარცხენა სანაპიროზე, საბორნეს ახლოს. ჯ. პალგრევის ვარაუდით, მისი „წყობა ქართულია“.⁶⁹

ესქი-ტრაპიზონის პლატო – პალგრევის ჩვენებით, ოთხკუთხედის ფორმის შესანიშნავი პლატოა. კონსული დაინტერესებულა ამ ადგილის სიძველეებით, მაგრამ ზედაპირულად საამისოს ვერაფერს წაწყდომია და ვერც მოსახლეობაში მოუპოვებია რაიმე ცნობა ამაზე.⁷⁰

მსხვილმასშტაბიან თურქულ რუკაზე, რომლის რუსული ასლი ჯერ კიდევ რევოლუციამდე გადაუღიათ, მრავალი ისეთი პუნქტი თუ ადგილია დატანილი, რომელიც ასეთივე მასშტაბის გვიანდელ რუკებზე აღარ გვხვდება. იგივე რუკა საგეოგრაფიო სახელთა ვარიანტული ფორმებითაც იქცევს ყურადღებას. რადგანაც ამ რუკას ახლახან გავეცანით (პროფ. ა. ასლანიკაშვილის ხელშეწყობით) და მისი მონაცემები ჭანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერის წინა ნაკვეთებში გათვალისწინებული არაა, ამიტომ აქ მოგვაქვს:

„სარბალაზი-მაზრაასი“ („სარბალაზის სათესველი“) – სარფის სამხრეთით. მეზრე სარფის ადგილას.

„შანა-მაზრაასი“ („შანას სათესველი“) – სარბალაზის სამხრეთით, შანას ადგილას.

„ჯანგახურ-მაზრაასი“ („ჯანგახურის სათესველი“) – შანას სამხრეთით და „მაკრიალ“-ის აღმოსავლეთით.

„ყული-მაზრაასი“ („ყულის სათესველი“) – „მაკრიალ“-ის სამხრეთით.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ ა. ზამბახიძე, დასახ. სტატია.

⁶⁷ მ. ვანლიში, ა თანდილავა, ლაზეთი, გვ. 46.

⁶⁸ კონსულ პალგრევის 1872 წლის ანგარიში, ИКОИРГО, VII, 1882, # 2, გვ. 68.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ იქვე.

„სუველი“ – „ყული მაზრაასი“-ს დასავლეთით. ზღვის სიახლოვეს.

„მანალ-ოღლი“ (მანელ-ოღლი) – „ყული მაზრაასის“ სამხრეთით და „სუველის“ აღმოსავლეთით.

„ჰამშინ-მაზრაასი“ („ხემშინის სათესველი“) – „მანალ-ოღლის“ სამხრეთით.

#70#

„ქუან-დარი-თაფასი“ – მთა „ჰამშინ-მაზრაასის“ სამხრეთით, რუსეთ-თურქეთის 1878 წლის საზღვარზე.

„აბი-ისლახი“ (აბუ-ისლა-აზლადა) – ლიმანის დასავლეთით, ზღვასთან.

„ლაჯაკი“ – ლიმანის დასავლეთით, ზღვასთან.

„ოვამა-თაფასი“ (ოხვამეს მთა) – „ლაჯაკ“-ის სამხრეთით.

„თოხახი-თაფასი“ – „ხიკუპა“-ს (ხიგობა) აღმოსავლეთით.

„ისკარეთი“ – მდ. ხოფას ზემო წელზე, „ჩავუმლის“ სამხრეთით.

ისკარეთის მთა – სოფ. ისკარეთის სამხრეთით.

„ხანდაკი“ („თხრილი“) – „არდალას“ დასავლეთით; მეორე სახელი „გარჯი“ – („გვარჯი“).

„პირონი/იტ-ბურუნ“ („პირონიის კონცხი“) – ზღვის სანაპიროზე, „კისას“ დასავლეთით.

„ბონჯული“ – სოფელი „ანჩოროხის“ დასავლეთით.

„ჯიხა-თაფასი“ („ციხის მთა“) – „ბონჯულის“ სამხრეთ-დასავლეთით.

„აქიუნ-ზაბა-თაფასი“ – „ჯიხა-თაფასი“-ს სამხრეთით.

„ბუხა“ – „ბილარგეთის“ (ფილარგეთის) ჩრდილოეთით.

„ბარიხი“ – „უმირმალის“ სამხრეთით.

„ოტალახო“ (ოტალახე) – „ჩოკალვათის“ აღმოსავლეთით.

„გალატა“ („ღალატა“) – „არხავეს“ სამხრეთით, მდინარის მარცხენა სანაპიროზე.

„კაბსირეი-სუფლა“ – „გალატას“ სამხრეთით.

„კაბსირეი-ულია“ – „კაბსირეი-სუფლას“ დასავლეთით.

„იამიშლიქი“ („ხეხილნარი“) – „კაბსირეი-ულიას“ აღმოსავლეთით, მდ. არქაბეს მარცხენა სანაპიროზე.

„კედირვა“ – „კუდლითის“ (კორდილეტი) ჩრდილოეთით, მდ. არქაბეს მარჯვენა სანაპიროზე.

„პახტა“ – „კედირვას“ სამხრეთით, მდ. არქაბეს მარცხენა სანაპიროზე.

„ჯიგართაზინი“ (ჯიგართაზენი(?)) – „კუპტუნის“ ჩრდილოეთით.

„სოლოქ-სუ (სოლუქ-სუ) თაფასი“ („ცივი წყლის მთა“) – „პოტოჯურ-ულიას“ სამხრეთით.

„ტამ-დიბი-თაფასი“ („ქვისძირა მთა“) – „დერბენდის“ აღმოსავლეთით,

„დაკმა-იაილასი“ – „ტამ-დიბი-თაფასის“ აღმოსავლეთით.

„აჯილუნ-თაფასი“ – მთა „დაკმა-იაილასის“ აღმოსავლეთით.

#71#

„ქოიუნ-იაილასი“ („ცხვრის იალაღი“) – „დაკმა-იაილასის“ სამხრეთით.

„აგარა-იაილასი“ („აგარას იალაღი“) – „ქოიუნ-იაილასის“ სამხრეთით.
„ტოპათი-თაფასი“ („ტოპათის (?) მთა“) – „ქოხარხი-დაღის დასავლეთით.
„მითო-თაფასი“ – მთა „ტოპათი თაფასის“ ჩრდილოეთით.
„ჩათაქ იაილასი“ (უნაგირა იალაღი“) – მდ. „აბო-ვიჩე-დარასის“ მარჯვენა სანაპიროზე, „აბი-ულას“ აღმოსავლეთით.
„ორდიმლი-იაილასი“ – „ჩათაქ-იაილასის“ აღმოსავლეთით, მდ. „აბო-ვიჩე-დარასის“ მარჯვენა სანაპიროზე.
„ჩათალ-ყაია“ („განშტოებული კლდე“) – „კაგუდით-იაილასის“ სამხრეთით.
„შუვალ-იაილასი“ – „ჩათალ-ყაიას“ აღმოსავლეთით.
„შუვალ-თაფა“ – მთა „შუვალ-იაილასის“ სამხრეთით.
„ჩუკურ-მაუქთი“ (რუკაზეა „ჩუკურმა-უქთი“) – „ჩამლიქ-იაილასის“ აღმოსავლეთით ჩუკურ (თურქ.) „ჩაღრმავება“.
„ქოვახიდ-იაილასი“ („ქვახიდის იალაღი“) – „ჩუკურ-მაუქთის“ აღმოსავლეთით.
„დალი-კარან-ზონი“ – უღელტეხილი „შუვალის“ მთის სამხრეთით.
აი მთავარი სიახლენი თუ ვარიანტული სახესხვაობანი, რომლებიც ამ რუკაზე აღმოჩნდა.
მომავალი ძიება კვლავ ახალ მასალებს გვპირდება.

სამიებლები

პირთა სახელები

ა

ათინური 15

ალავიძე 16, 40

ალექსანდრე ქართველი 6

ანონიმი გეოგრაფი 15, 33, 34, 44

არიანე ფლ. 15, 21, 33, 44, 46, 54

ასათიანი ირ. 2, 63, 64, 66

ასლანიკაშვილი 57, 69

ახვლედიანი ა. 10

ახმედი 6

ბ

ბაბალიში ფ. ა. 27

ბაქრაძე ს. 31

ბაგრატიონი ვ. 2, 44

ბედოშვილი გ. 65, 66, 67

ბენდიანიშვილი ალ. 67

ბერძენიშვილი ნ. 52, 61

ბიზანტიელი სტ. 48

ბ

გელიში 6

დ

დივასოღლი ი. 7

ე

ერემიანი ს. 15

ვ

ვანიძე ე. 68

ვანლიში მ. 31, 40, 68

ზ

ზამბახიძე ა. 68

ზაუტაშვილი ე. 4

თ

თაბუკაშვილი მ. 29

თამარი (მეფე) 24, 29

თანდილავა ა. 31, 40

თანდილავა ზ. 62, 63, 64, 65, 68

თეოდორე ჭანი 23, 47, 48

ი

იაშვილი ვ. 52

იაძე 27

ივანე ქართველი 7

ინაშვილი 23

ინგოროყვა 22, 29, 57

იუსტინიანე კეისარი 46, 47

კ

კეკელიძე კ. 15, 21, 46, 54

კესარიელი პრ. 26, 46

კეჭაყმაძე ნ. 33

კიპერტი 34

კობახიძე დ. 6, 7

კოხი 29, 31

მ

მარი ნ. 3, 7, 8, 9, 10, 1, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29, 31, 40,

მაქსიმელიშვილი 6

მგელაძე 6

მეგრელიძე ი. 55

მერჩულე გ. 22, 30, 57

მირინელი ა. 22, 23, 46, 47

მუსტაფა (ხურო) 6
მიქელაძე თ. 40, 41

ო

ომერ ეფენდი 6
ორბელიანი ს. ს. 67
ორენტიოსი 21, 46, 54, 55

პ

პალგრევი ჯ. 5, 16, 31, 44, 47, 48, 69
პტოლომე 46

რ

რაჭველი ი. 17, 31, 42

ს

სარდარიშ-კამბურიში ხ. 6, 16, 25, 44
სვანიძე მ. 15, 46
სიხარულიძე ი. 2, 55, 63, 66
სიხარულიძე ს ბ. 6
სულეიმან-ზადე ს. 40, 41, 42, 43, 44
სულთან სელიმი 16

ტ

ტომაშევი 21

ფ

ფარნაკიოსი 21
ფევზი-ბეი (ეფენდი) 14, 20, 24
ფსევდო-სკილაქს კარიანდელი 33

ყ

ყაზბეგი გ. 9, 12, 14, 23, 24, 29
ყაუხჩიშვილი ს. 2
ყიფშიძე ი. 3, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 24, 25, 26, 27, 28, 29, 32, 37, 38, 39, 40, 41, 43, 44, 45, 48, 49, 50, 51, 53, 54

შ

შენგელია ნ. 48
შანიძე ა. 40
ჩიტაია გ. 6
ჩუბინაშვილი დ. 54

წ

წერეთელი გ. 33, 42

ჭ

ჭანიშვილი ვ. 23, 24
ჭანიშვილი თ. 24

ქიქინაძე ზ. 29

ჯ

ჯავახიშვილი ი. 7, 13, 29, 30, 32, 45, 51, 54, 60

ჯანაშვილი ლ. 67

ჯანაშია ს. 61, 62

ჯიქია ს. 66

საგეოგრაფიო სახელები

ა

აბი-ისლახი 70

აბი-ულია 71

აბლას-დადი 5

აბსო 12

აბსუ 12

აბო-ვიჩე-დარასი, მდ. 7

აბუ-ისლა-აზლალა 70

აგარა 25

აგარა-იაილასი 71

ადიენი 39

ადიენოსის წყალი 21

ადჟაბა 8

აუსამითი 27, 28

ავრამით-ზელექი 22, 25, 28

ათბარლიქი 39

ათიანოსი 5

ათინა 3, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 23, 24, 25, 27, 28, 29, 30, 33, 44, 46

ათინაწარი 8, 14

ათინის კონცხი 15

ათინის ლივა 15

ათინის ნავსადგური 15

ათინის ნოლა 15

ათინის ხეობა 17

აიაქა-თაფასი 52

აივალიქი 58

აკ-პინარი 35

აქრა-მეგალე 48

ალაჯა 38

ალი-ფაშა 35, 51

ალიჯა 56

ამბარლუკი 49
ანდონი 45, 49
ანჩოროხი 70
არაბ მუჰალესი 16
არაბოლლი 16
არაკლი-ხოჯა 52
არანაში 18, 20
არდალა 70
არდინეოსი 33
არზრუმი 9
ართაშენი 22
ართაშენის უბანი 67
არკოტილა 31
არკოტლი 41
არმუდლა 34
არმუდლუ 35
არმუთლა 35
არნაში 18
არონი 49
არსიანის ქედი 57
არსიფოსი 30, 31
არქაბე 5
არქაბე, მდ. 70
არქაბეს უბანი 67
არხავე 6, 70
ასკიჩა 37, 60
ასკი ხანი 37, 39
ასკუროსი 33, 44
აფიანოსი 49
აფსარი 15
აფსაროსი 54, 55
აქინდესი 49
აქიუნ-ბაბა-თაფასი 70
აღგეზი 50
აღმოსავლეთი გურია 6, 55
აყ-ფინარი 35, 36
აშიკლარ-დარასი 30
აშიკლარი 30
აჩაბა 8

აჭარა 52, 57
აჭის ეკლესია 23
აჭისწყლის ხეობა 22, 23
აჯაბა 8
აჯილუნ-თაფასი 70
ახალი სოფელი 52
ახგესი 50
ახინგესი 50

ბ

ბაბაკირი 10
ბაბილათი 5
ბადარა 14
ბადარი 14
ბადრ 14
ბაზარი 16
ბათომი 6, 27, 42, 48, 55
ბათუმი 44
ბაიაზ-სუ 34, 35
ბაირ-ქოი 60
ბალლი-ქოი 60
ბალთაშ-ბოინი 13, 37, 38
ბალთაშ-დალი 38
ბარიხი 70
ბარმაკსიზი 13
ბარცხანა 52
ბაქმაზლი 39
ბაღდადლი 39
ბაღჩისარაი 53
ბაშ-კეი 12
ბაშ-ქოი 12
ბაშლი 10
ბაშქო 9
ბაშქოი 11, 13
ბახაიდინ ფაშა 53
ბახმაზლი 39
ბეიუკ-დერე 33
ბეიუქ-დერე 8, 33
ბეიუქ-ტაშხანა 30
ბეიუქ-ქოი 36

ბექჩილარი 35
ბიბროსი 34
ბიზანტია 46
ბილარგეთი 70
ბილდიჩირი 52
ბოგილუდი 64
ბოგინა 25, 28
ბოდალდი 13
ბოზუქ-ყალა 36
ბოლბ-ულია 11
ბონჯული 70
ბჟუჟი მდ. 55
ბუდარა 14
ბუზლი-პინარი 32
ბუზლი-ფინარი 32, 34
ბუზლუ-პინარი 32
ბუიუკ-დერე 5, 7, 69
ბუკისციხე 6
ბუკნა 27, 30
ბულეფი 10, 11
ბულეფი სუფლა 10, 12
ბულეფი ულია 11
ბულეფის წყალი 5, 10, 11
ბულუფის ხეობა 8
ბუხა 70

ბ

გალატა 31, 70
გეზათ-ქოი 38
გელგელი 48
გიოლ-იაილა 59
გიოლ-იაილა-დადი 59
გიულშან-თაფასი 13
გიულშან-ტაპასი 13
გიულშენ-ტეპე 13
გლობონი 17
გოგოლეისუბანი 6
გოგორ-კარა-დერე 54
გოგორ-ხავლი 54
გოლივატი 10

გომის მთა 55
გონიის მხარე 52, 55
გორამითი 26
გორმაღალი 23
გურია 55, 66
გუტოსი 40

დ

დაგირმან-დარა 48
დადევათი 7, 11
დადივათი 7
დავიდათი 7, 11
დაკირმან-დარა 48
დაკმა-იაილასი 70, 71
დალვათი 24
დალავატი 24
დალაქი გიოლი 32, 33
დალი-კავან-ბოინი 13
დალი-კარან-ბოინი 71
დამირ-დალი 57
დამირ-კაპუ 57
დამირ-კაფი 56, 57, 58
დამურ-დალი 35
დამურ-თაფასი 35
დამურ-კაფი 35
დანგრე 9
დარა 32
დარა ბაზარი 35, 52, 53
დარა ქოო 59
დასავლეთი კოლხეთი 61
დად-ალთი 54, 55
დად-ბაში-ბელი 59
დეგირმანდერესი 63
დევებოინი 13
დერბენდი 70
დერებაშ-ლიმბოსი 49
დერემენდერესი 63
დერე-ქოის მთა 58
დიქტაში 37, 60
დჟამატი 24

დუღუვათი 14
დუმან-ყაია 37
დუხნევათი 22, 24, 29

ე

ეგრისის სამეფო 62
ევქსინის პონტო 14
ელ-ბაში 54
ემეთილი 43, 48
ემეტი 48
ენი-ქოი 40, 41, 43
ენიჯა-ქოი 34
ერალმა 59
ერევანი 14
ესკი-ტრაპიზონი 3
ესკი-ტრაპიზონის პლატო 59

ვ

ვაკე-იმერეთი 7
ვანის(ი) 25
ვარდა 58
ვარდიგორა 13
ვარდციხე 13
ვარძია 66
ველინა-ირმალი 14
ველიქოი 35
ვენეკი 26
ვენეკ-სუ 25
ვენექ-დერე 25
ვენექი 3, 25, 26, 29
ვენექ-სუი 28
ვენექ-წარი 25
ვენელი 25
ვერშემბეგი 30
ვიჯე-თუდენი 7
ვიჯე-ჟილენი 7
ვიჯე-სუფლა 7
ვიჯე-ულია 7
ვონითი 48

ზ

ზაგნათი 13

ზავონდიქი 37
ზანათი 13
ზანჯელი 31
ზაღნათი 13
ზახნათი 12, 13
ზაჰნათი 12, 13
ზელეკი 27
ზელექი 25, 27, 28
ზელეღი 27, 28
ზემო გურია 6
ზემო რაჰა 14
ზიგანეონი 14, 46
ზინჯილრი-ქოფრი 37
ზუგა დერესი 4

თ

თაგინა-თაფასი 10
თაგნიქი 36
თაზიღე 10
თარაბზუნ-ტაში 56
თარსანა 53
თაფა 47
თეოდორიადა 3, 22, 23
თერკამი 32
თიგლაჯი-ქოი 49
თირაქლიკი 32
თოლოქრო 67
თორდოვათი 27
თოფურიათი 60
თოხახი-თაფასი 70
თუდენი ბულეფი 10
თულუმ ფინარი 58

ი

იაგა 31
იაილა 58
იაილა-ჩილარი 54, 55
იაკა 31
იალი-ქოი 53
იამიშლიქი 70
იანიქ-დაღი 30, 31

იაქა 31
იაღლი-ტაში 49, 50
ივეროსი 49
ილასტასი 56
ილიჯა 56
იმერეთი 13
ინჯა-სუ 35
ისკარეთი 70
ისკარეთის მთა 70
ისლამ ფაშა 39
ისო 26
ისპირი 9
ისტროსი, მდ. 54
იქიზდერე 58
იქსენითი 43, 44
იქსენიტი 42
იმკანჯა-დაგი 56
იმკენჯა-დალი 56
იმქენსი-დერე 56
იმქენჯა-დარასი 56

კ

კაბაკ-კეი 55
კაბაქ-ქოი 53, 55
კაბსირეი-სუფლა 70
კაბსირეი-ულია 70
კაგუდით-იაილასი 71
კავალი 51, 52
კავაკდიზი 49
კავკასია 20
კავადიზი 49
კავალი 49
კაინე პარემბოლე 54, 55
კაკლიშყონა 65
კაკსოვათი 22
კალამოსი 50, 51
კალაპოტამი 54
კალაპოტამოსი 54, 56, 57, 58
კალაში 3, 54, 55, 56, 57, 58
კალაჯიკი 21, 22

კალე 43, 48
კალეჯუკი 20, 21, 22, 24, 25, 27, 29
კალეჯუდი 21, 22
კალო 54
კალონ 54
კალოსი 44, 54, 55
კალოპოტამოს-დერე 3, 44, 53, 54
კალოსპოტამოსი 54
კალოსტენი 40, 41
კალუა 55
კალუტორუსი 52
კამანი 32
კანდევა 49
კანეარ-კეი 50
კაბდურან-პაშა 32
კაპისრე 68
კაპისტრა 68
კაპისტრო 68
კაპიტან-ფაშა 32
კაპნესი 49
კარა-აგაჩლი-დაგი 34
კარა-დერე 26
კარა-მახმუდი 36
კარამიში 39
კატოი 14
კაფუდან-ფაშა 32
კაშკარი 9, 12
კაჩანი 59
კედირვა 70
კელგალი 48
კემურჩილარ 50
კეჩი-ოლი 52
კვარიათი 3
კიზ-კალე 15
კიზ-კულე 15, 23
კითათი 20
კილაროს 51
კინტრიში 23
კირამიდ-ქოი 37

კირკლარ-დაღი 29, 60
კირკლარ-ტაპასი 49, 50
კირკნალი 37
კისა 70
კიტათი 18
კიტატი 20
კიუტანქოის ვილაეთი 48
კოკსოვატი 25
კოლოპოტამო 54
კოლხეთი 46
კომიკა 31
კომინუ 7
კონსტანტინოპოლი 47
კორდილა 2
კორდილე 21, 33
კორდილონი 21, 55
კორდი-ქოი 60
კოტა 14
კოტინუსი 38
კოქსევეთი 25
კოქსოვათი 22, 25, 27
კოშა 10
კოხი 60
კუვაროსი 40, 41
კუზიკა 12, 13, 27
კუკულათი 17
კუკულათ-ლაროზი 22, 24
კუკულატი 17
კუკულეთი 17
კუკუშლა 32
კულაში 6
კულაშის ჯვარცმის ეკლესია 6
კუმ-ხალა 37
კუპტუნი 70
კურაი-საბგა 56, 57
კურაი-საბღა 56, 57, 58
კუსა 49
ლ
ლაგუსი 17

ლაროზი 17
ლარონი 17
ლაზეთი 40
ლაზიკის სამეფო 61, 62, 63
ლამგო-პაპატ 8
ლამლო 8
ლამლო-პაპათი 5
ლამხუ 8
ლანგო 5, 8, 11
ლაროსი 17, 22, 35, 54
ლარუსი 37
ლაჯაკი 70
ლახოსი 17
ლესტენკოსი 39, 49
ლექხუმი 13
ლაკოსი 53
ლიმანი 15, 70
ლიჩინოსი 35, 54
ლიხაური 23
ლომიჩა 18

მ

მაგალოსი 53
მაგანოს 53
მადენქოი 32
მათლა 58
მათლის მთა 59
მაიაკოვსკი, რაიონი 6
მაკალისკერდი 7
მაკრიალი 69
მალ-თაფა 35
მალმინათი 8
მალპეთი 35, 52
მალპეტერიკ-ლიმანი 35, 52
მამაკივათი 5, 7, 11
მამაკილათი 5, 11
მამიშ-ფაშა-ხანი 37
მამული 31
მანასკორი 8
მანალ-ოდლი 69

მანელ-ოლლი 69
მარიევა 31
მარმარ-კელენი 51
მარსისის მთა 58
მარჩევა 31
მაფავრი 30, 31, 32
მაფაური 31
მეზრე-სარფი 69
მეზრენე 28
მელენი სარფი 47, 56, 68
მელესკური 8, 9
მელესკურის ხეობა 9
მელესკურ-წარი 8
მელიათი 21, 25, 28, 29
მელამენათი 8
მელმენაში 8
მემაკივათი 11
მეპარი 31
მესავრი 31
მესხეთი 66
მეფეური 31
მეფური 31
მექა 33
მეშე 59
მიტო-თაფასი 71
მილოსი 30, 31
მიშე 59
მოლენი სარფი 63, 64, 65, 67, 68
მტკვრის ხეობა 66
მურადიე 38
მუსადაგი 35
მუსადარლი 35
მუსა-დალი 35
მუფტი მაჰალლე 40, 41

ნ

ნაპილოზი 28
ნიაბაური 22, 23
ნოადიხა 16
ნოლა-დიხა 16

ნოღამ-დიხა 16, 17
ნოხლან-სუ 13, 20, 24
ნოხლაჰსო 20
ნოხლაფსუ 20

ო

ოვამა-თაფასი 70
ოდეონიოსი 33
ოზურგეთი 6, 23
ოკანდალე 63, 64
ოკანდალემ-ღალი 64
ოკორდილი 22
ოკორდული 22
ოკორდულე 22
ოკტოლი 55
ომა 51
ონჯევანი 51, 52
ოტალხო 70
ორდი 52
ორდი-ბაზარი 52
ორდიდუზი 52
ორდიბლი-იაილასი 71
ორთა-ქოი 14
ორთახოფა 49
ორმანჯიკი 32
ორტი-ბაზარი 52
ორშა-ქოი 33
ოსკუნ-დადი 10
ოსმალეთი 24
ოფი 26, 44
ოჭადანე 64
ოჯადანე 64
ოხლა-მორი 58

პ

პალვექოზი 36
პაპათი 5, 8
პაპილათი 5, 7, 11
პარმაქსიზი 133
პახლეგან-ტაში 49
პახტა 70

პეტრე-ნიკოლა 12
პირონიტ-ბურუნი 70
პოტოჯურ-ულია 70

ქ

ქინი ბულეფი 11

რ

რამინოს 49
რაშოდია 50
რაშოტა 50, 51
რეილა 46
რეზონ 46
რიზა 44
რიზაიონ 46
რიზე 3, 22, 23, 30, 31, 35, 38, 40, 41, 42, 44, 45, 47, 48, 50, 52, 55
რიზეონ 46
რიზეს მხარე 17, 32, 35, 37, 39
რიზეს ციხე 48
რიზე-წარი 44
რიზონი 14, 46
რიზოსი 44
რიზუს 46
რიონის კოლხეთი 61
რიძიოსი 33
რკინის კარი 57
რკინის მთა 57
რკინის პალო 29, 57
რკინის პალოს მთა 60
როდიუპოლაუსი 14, 46
რომანოზი 40, 42, 48, 49
რომანოზ-ხუმრიკი 41
რომის იმპერია 46
რუზგადლი 59
რუზგარლი 59

ს

საბუნჩილარი 34
სათაფლია 60
სალამათი 37
სალარხა 49
სალარხი 39, 49, 51

სალვა 10
სამიქელამო 7
სანდიქ-ტაში 53
სანიქ-ტაში 53
სანო 5, 6, 7
საპო 5, 8
საპუ 5
საპურ 5
საპური 5
სარაი-ქოი 53
სარანდიკოსი 53
სარბალაზი-მაზრაასი 69
სარდალაზენი 10
სარი იარი 53
სარი იერი 53
სარი ჩაირი, მდ. 53
სარფი 66, 67, 68
საქართველო 2, 3, 4, 7, 52, 54, 55, 57
სახორი 51, 52
სეფალი-კეი 30
სეფილი-ქოი 30
სექედლი 35, 36
სივართა 55, 56
სივარტა 55
სივრი-კაია 58
სივრი-ყაია 58
სირახოსი 40, 42
სირთი 31
სოგიკ-ჩემმა 49
სოლტი 13
სოფოლი 30
სოლოქ-სუ 70
სოლუქ-სუ-თაფასი 70
სოლუქ-ჩემმა 49, 53
სტამბოლი 24
სუდლიჯა 38
სუველი 69
სუკითა 7
სულეთი 13, 20

სულეტი 13
სურმენათი 25, 26, 27, 28
სურმენე 26, 27, 46
სუსარმია 26
სუსურმენა 26
სხალთა, მდ. 53

ტ

ტიგ-ალტი 54
ტავრიდის ქერონესი 54
ტალახა 23
ტალვათი 24, 27
ტარაბზუნ-ტაში 56
ტარსანა 53
ტაქფურ-თაფასი 32, 33
ტაშ-დიბი-თაფასი 70
ტაშ-იოქუში 45
ტაშ-ფინარი 36
ტაშ-ქოი 32
ტაშ-ქოფრი 38, 45
ტაშლი-დარა 36, 38
ტაშლიქი 36, 37
ტაშლიქ-თაფასი 36
ტაშლი-ქოი 60
ტენზინა 9
ტიგლაჯი-კეი 49
ტობანი 10
ტოგა 10, 45
ტოგონი 10
ტოკონი 10
ტონჩა-თაფასი 14
ტოპათი-თაფასი 71
ტორდოვათი 17, 20, 22, 23, 24, 27, 29
ტოხრიები 28
ტრაპეზუნტი 26, 27, 63
ტრაპეზუნტის ქვეყანა 46
ტრაპიზონი 26, 29, 48, 54
ტულუმპინარი 58

უ

უზუნ-დარა 34

უზუნ-ქოი 51

უშირმალი 70

ფ

ფაზარი 15

ფაზარ-ქოი 38

ფაზისი 22, 44, 46

ფაზისის სამიტროპოლიტო 63

ფათხია 53, 54

ფალიკალია 20

ფანაგი 31

ფატლა 45

ფატხია 53

ფაფიქი 43

ფაშა-იანი 43

ფაშა-ქოი 56, 57

ფილარგეთი 6, 67, 70

ფილარდალი 67

ფინდიკლი 36

ფინდოსი 43

ფოზონი 14

ფოსა 49

ფსიქროს 54

ფსიხრონ 54

ფურტუნა 8, 9, 13, 14

ქ

ქამაშინოსი 41, 44

ქასარჩილარი 38

ქაუმხაზი 68

ქემერი 3, 25, 29

ქემერ-ბურუნი 29

ქემერის კონცხი 15, 30

ქემურჩილარი 50

ქენარი 50

ქენარ-ქოი 50

ქესალი 60

ქესმა-ტაში 30

ქეჩიოღლი 52

ქვამხარი 68

ქვაოწიდე 65

ქვამურგვალი 65
ქვამხაზი 68
ქვაჩეჩმე 65
ქვაჭადანა 65
ქვაჭაჭი 65
ქვახეხი 66
ქილარი 51
ქირაზლი 58
ქირაზლა-დაღი 59
ქოვახიდ-იაილასი 71
ქოჩ-ტაში 53, 54
ქოხარხი-დაღი 71
ქუან-დარი-თაფასი 70
ქუია-ორანწინონი 20
ქუჩუკ-ტაშხანა 30
ქუჩუკ-ჩაირხანი 89

ღ

ღალატა 70
ღება 14
ღები 14
ღომნოსი 34
ღულივანთი 10

ყ

ყაია-ბაში 56
ყაი-ბაში 56
ყალე 9
ყანლი-დერე 30
ყარა-აღაჩლი-დაღი 34
ყარა-აღაჯა 43, 35
ყარა-აღაჯა-მეჰალესი 34
ყარა-დარა 35, 53, 54
ყარა-დერე 31, 52
ყარა-იამიში 39
ყარა-მახმუდი 36
ყარამიში 49
ყარა-სუ 39, 49
ყარაღაჯი 34
ყიბლა-დაღი 37
ყიბლა-დაღ-დარასი 31, 33, 34

ციბლა-დალ-დერე 21

ციზილ-თოფრალი 52

ცომურჭაჭი 66

ყული-მაზრანნი 69

შ

შაზი 34

შავი ზღვა 21, 26, 54

შავშეთი 57

შაირლარი 32

შანა-მაზრასი 69

შეითან-დარასი 58

შეითან-დალი 57

შილარიტი 17

შილეთი 17

შილერითი 17, 18

შიმშირ-ქოი 59

შუვალ-თაფა 71

შუვალ-იაილასი 71

შუვალი, მთა 71

ჩ

ჩაფუშლი 70

ჩათალ-დარა 35

ჩათალ-თაფა 60

ჩათალ-ყაია 71

ჩათაქ-იაილასი 71

ჩაირი 39

ჩაირლი 52, 53

ჩაკეტ-ორა 5

ჩალული-სირთი 14

ჩამიდ-ოქი 36

ჩამლიქი 58

ჩამლიქ-დარასი 58

ჩამლიქ-იაილასი 71

ჩამლუკი 58

ჩანაკლი-ლაჯე 30

ჩანკიტი 9

ჩანუ 5

ჩანჯული 40, 42, 43

ჩარან-ყაია 50

ჩარიხოსი 40, 42
ჩაქეთ-ორა 5
ჩალრან-ყაია 56, 57
ჩაჩაქი 34
ჩებელი 65
ჩებელეში 65
ჩელეებში 64
ჩეშმა 53
ჩიკარანი 51
ჩილინგერი 30, 31
ჩინგითი 8, 9, 10
ჩიფთა-კავალი 50, 51
ჩიფტა-კავაკ 50
ჩოკალვათი 70
ჩონჯიკი 40, 43
ჩორაბჩილარი 39
ჩოხატაური 6
ჩუკურლუ-ხოჯა 34
ჩუკურლუ-მაუქთი 71
ჩუხმალი 56, 58
ჩხორთოლი 67

ც

ცანზევა 31
ციკარონი 31
ციხე 6
ცუკიტა 7
ცხრაწყარო 67

წ

წანო 5, 6, 8

ჭ

ჭანეთი 2, 3, 5, 6, 29, 33, 47, 49, 58, 60, 61, 62, 63, 68, 69
ჭანეთის მთა 44
ჭანეთის ქედი 50, 57
ჭაჭივათი 8, 20
ჭაჭიეთი 66
ჭაჭკარი 66
ჭიტა კითათი 20
ჭოროხი 23, 57
ჭოროხის ხეობა 44

ქოროხ-ტრაპეზუნტის კოლხეთი 61

ხ

ხალდიზენ-დაღლარი 50

ხალდოსი 40, 41, 49

ხალატოსი 40, 45, 49

ხალიჯანი 34, 35

ხამალოსი 50, 51

ხამიდიე 3, 36

ხამჩიკანი 12

ხანზური 49

ხარტი 49

ხანდაკი 70

ხან-დალი 7

ხანდჟკუმი 12

ხანზირი 52

ხანი 6, 39

ხარველი 45

ხარუს-დალი 37, 39, 50

ხანჩკუნი 12, 20

ხანჭკუმი 20

ხანჭკუნი 12, 13

ხაჩანუსი 41, 42

ხეირათი 36, 39

ხაჩინოსი 40

ხაჭაპითი 27, 28

ხეირათი 36, 39

ხელვაჩაური 3, 25, 27

ხემშინი 10, 44

ხიგიბა 70

ხიკუბა 70

ხინო 10

ხოზარი 18

ხორველი 49

ხოფა, მდ. 70

ხოფის უბანი 67

ხოშნეშინი 18

ხოშნიშინი 17, 18

ხოწა 51

ხოხონი 32

ხუდისა 12, 26, 27
ხუზიკა 24
ხულვენიტა 31
ხუმრიქი 40, 42, 43, 49
ხუნარი 20, 24
ხურმალიქი 56
ხურტოსი 4
ხურტი 11

ჯ

ჯაბათი 24
ჯავიზლიქი 56
ჯავლა-დალი 13
ჯაზი-დალი 35
ჯამედუზი 28
ჯამი 38
ჯამი დალი 38
ჯამიკარი 38
ჯამილელე 38
ჯამიში 38
ჯამიჭალა 38
ჯამალ-დარასი 56
ჯანგახურ-მაზრაასი 69
ჯანილი 57
ჯაჯივათი 18, 20
ჯევიზდიბი 56
ჯევიზდიბიშთეფე 56
ჯეზარლიდალი 58
ჯიათი 18
ჯიგართაზინი 70
ჯიგეთურა 7, 11
ჯიმილი 44, 56, 57
ჯიმილი, მდ. 56
ჯიმილ-დარასი 58
ჯიმილ-დერე 56
ჯიმილის წყალი 57
ჯიხა 69
ჯიხა-თაფასი 70
ჯუნჯა 13

კ

ჰამბინ-მაზრასი 69, 70